საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№37 (461)

17 - 23 ოქტომბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



## ერთად გავიმარჯვოთ საქართველოსთვის! 16

## ქართულ სკოლაში «დედა ენას» აღარ ასწავლიან 4



«სასწავლო პროგრამიდან «დედა ენის» ამოღება, დედის ძუძუ რომ გამოაცალო ბავშვს პირიდან, იმას ნიშნავს»

## როგორ ავხსნათ მოწოდება, რომ არაბული, იაპონური და ჩინური უნდა შევისწავლოთ?!

გვაჩვევენ, რომ ჩვენმა შვილებმა უცხოელ შეფებს გაუღიმონ, ელაქუცონ და მათი ამპარტავნული ტონით გაკეთებული მითითებები უსიტყვოდ შეასრულონ 3

## რატომ უნდა აშენდეს საქართველოში ონკოლოგიური ცენტრი 10



მთავარია, გაკეთდეს, აშენდეს და ათასობით ადამიანს ეშველოს. იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ძვირფასის, სიცოცხლის გადარჩენას, ითხოვენ და სწორედ სიცოცხლის გადასარჩენად ევროპასა და თურქეთს არიან მოდებული



## დოლარის მომავალი და ჩვენი პერსპექტივები 21

## მოვრჩეთ ევროლაქუცს! 24






ნიკა გვარამიამ სათავე დაუდო უხამს ტელელექსიკას მსოფლიოში 6

## მედიაავანტიურა და თვითგაფარჩაკებული ჟურნალისტები

„რუსთავი 2“ ისევეა პასუხისმგებელი ქუჩაში მრავალი ადამიანის ჩაცხრილვაზე, ათასობით პატიმრის წამება-გაუპატიურებაზე, როგორც ამ საშინელებათა ჩამდენი — ბნელიანი სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი

## ნეოლიბერალების მეხუთე კოლონა საქართველოში 7

## შეძლებს თუ არა ზურაბიშვილი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რუსეთთან პირდაპირ დიალოგს?



19

## არჩევნები–2018: წინ — წყალი, უკან — მეწყერი 2




## მრავალპოლუსიანი მსოფლიოს გეგმა მოქმედებაში ტრამპის შესრულებით 21



20 ჩვენ, ქართველები, საით მივდივართ?

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოში მთავარი წინასაარჩევნო პრობლემა კონსერვატიული ელექტორატის უზარმაზარი მასის დამუშავებაა. ყველა ხედავს, როგორ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს ამ ამომრჩევლების გული მოიგოს — ის აკრიტიკებს უკონტროლო მიგრაციას, საუბრობს ეროვნულ ღირებულებებზე, ეკლესიაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში კი ამბობს იმას, რაც მისი მმართველობის პრაქტიკას 100%-ით ეწინააღმდეგება. კონსერვატიული ელექტორატი აღიქვამს მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არა როგორც ლიბერალებს, არამედ როგორც ლიბერალიზმის მედროშეებს. „ქართული ოცნება“, განხილულ შემთხვევაში კი ირაკლი კობახიძე, ცდილობს, ისინი „ნაცმოძრაობას“ დაუკავშიროს.**

# არჩევნები-2018: წინ — წყალი, უკან — მეწყერი




**ოქტომბრის პირველ დეკადაში, ისედაც ჩახლართულ წინასაარჩევნო დრამატურგიას, რომლის ქვაკუთხედს, ალბათ, მაინც ფარული ჩანაწერები წარმოადგენს, კიდევ ორი ხაზი დაემატა. მწვავე განცხადებები პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გაცვალეს, „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგი უგულავამ კი მიხეილ სააკაშვილი გააკრიტიკა. ორივე ეპიზოდს საკმაოდ საინტერესო ქვეტექსტი აქვს.**

**თუ არჩევნებს არა ძველი ან ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი მოიგებს, არამედ ვიღაც სხვა (თეორიულად დავუშვათ), საუკეთესო შემთხვევაში მივიღებთ «მარგველაშვილი 2»-ს და პრეზიდენტის მუდმივ დაპირისპირებას ხელისუფლების სხვა შტოებთან. ამგვარად, დემოკრატიული ფორმის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, დიდი ალბათობით, ანტიდემოკრატიულ ტენდენციებს გააძლიერებს**

პირველ შემთხვევაში დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც 1 ოქტომბერს, კომპანია „ომეგას“ გარშემო აგორებული სკანდალის ფონზე, 13-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომელიც, უპირველესად, ქვეყანაში „დემოკრატიული მმართველობის სისტემის კრიზისს“ მიეძღვნა, რაზეც, განცხადების ავტორების აზრით, მიუთითებს: კლანური მმართველობა სასამართლოში, სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიზება და „პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ცენტრის, სისუსტე და საპარლამენტო პროცესის უბრალო ფორმალობად ქცევა“.

ირაკლი კობახიძემ ამ განცხადების კომენტირებისას საკმაოდ მკვეთრ ფორმულირებებს მიმართა: **„როდესაც ეს 13 ადამიანი – არასამთავრობოები ამბობენ, 2012 წლამდე სასამართლოში იყო უკეთესი ვითარება, ვიდრე დღეს არისო, ისინი არიან, უბრალოდ, უტიფრები, ეს უტიფრობაა. ისინი კომიკურ ჩანაწერებს უწოდებენ იმას, რომ თურმე კორუფციის პრობლემაა ქვეყანაში, მტკიცებულების გარეშე – არასამთავრობო ორგანიზაცია ხარ, „ნაცმოძრაობა“ ხომ არ ხარ“.**

განცხადებების მსგავსი გაცვლა ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის იშვიათი არაა, თუმცა ამ შემთხვევაში დაუყონებლივ დაიწყო „მეორე სერია“, რომლის პროვოცირება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელ **ნიკა გვარამიას** მიერ „ფეისბუკში“ გამოქვეყნებულმა სტატუსმა მოახდინა. მასში ნათქვამი იყო, რომ „ყველა, ვინც **სალომე ზურაბიშვილს** ან აფინანსებს, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დაჰყვება და მხარს უჭერს, უკიდურესად უნდა შევავიწროვოთ“ ...„უნდა დავიმახსოვროთ და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკა. ქვეყნის მოღალატე და მისი მოკავშირეები საჩვენებლად უნდა დაისაჯონ!“ კობახიძემ ამას „ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება“ უწოდა და გააკრიტიკა არასამთავრობოები იმის გამო, რომ მასზე რეაგირება არ მოახდინეს. მისი მთავარი სამიზნე „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ბენიძე გახდა. ამის შემდეგ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ და კიდევ ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღეს კიდევ ერთი ერთობლივი განცხადება, რომელშიც ხაზი გაუსვეს იმას, რომ „პარლამენტის თავმჯდომარის ბოლო დღეების განცხადებები უმთავრესად ემსახურება სწორედ საარჩევნო საკითხებსა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების დელეგიტიმაციას და საზოგადოების, ისევე, როგორც არჩევნებზე დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში, მათი შეფასებების დისკრედიტაციას“.

ამ დაპირისპირებაში შეიძლება ტაქტიკური და სტრატეგიული შემადგენელი გამოვყოთ. არასამთავრობოების 1 ოქტომბრის განცხადების შემდეგ, ხელისუფლება შეეცადა, რომ ბრალმდებლის როლი მოერგო. კობახიძე პირველსავე „სერიაში“ შეტევაზე გადავიდა და ოპონენტები, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსში დაადანაშაულა. ეს კი „ქართული ოცნების“ ელექტორატის კოორდინატთა სისტემაში საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. გვარამიას განცხადებამ ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა დისკუსია სხვა მიმართულებით წაეყვანა — განხილვის მთავარ თემად იქცა გვარამიას რეპლიკები და არა კლანური მმართველობა და 1 ოქტომბრის განცხადებაში ნახსენები სხვა მანკიერებები. მთლიანობაში, ტაქტიკური თვალსაზრისით, ხელისუფლებამ საწადელს მიაღწია, თუმცა იყო კიდევ ერთი, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი.

**საქართველოში მთავარი წინასაარჩევნო პრობლემა კონსერვატიული ელექტორატის უზარმაზარი მასის დამუშავებაა. ყველა ხედავს, როგორ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს ამ ამომრჩევლების გული მოიგოს — ის აკრიტიკებს უკონტროლო მიგრაციას, საუბრობს ეროვნულ ღირებულებებზე, ეკლესიაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში კი ამბობს იმას, რაც მისი მმართველობის პრაქტიკას 100%-ით ეწინააღმდეგება. კონსერვატიული ელექტორატი აღიქვამს მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არა როგორც ლიბერალებს, არამედ როგორც ლიბერალიზმის მედროშეებს. „ქართული ოცნება“, განხილულ შემთხვევაში კი ირაკლი კობახიძე, ცდილობს, ისინი „ნაცმოძრაობას“ დაუკავშიროს.** მმართველ პარტიას, სავარაუდოდ, სურს, კონსერვატიულ ამომრჩეველს „ნაკლები ბოროტების“ როლში მოევლინოს, რომელიც, შესაძლოა, არ შეესაბამება მის იდეალებს, მაგრამ „ნაციონალებისა“ და „ლიბერალების“ ალიანსს უპირისპირდება.

სააკაშვილი სირთულეებს განიცდის, როდესაც ამ ნიშაში შესვლას ცდილობს. ამავე დროს, ტრადიციული ელექტორატის ნაწილს მის პარტიას „ევროპული საქართველო“ ართმევს. ეს, როგორც ჩანს, ფრიად აღიზიანებს სააკაშვილს, რაც ყოფილი თანაგუნდელების მისამართით გაკეთებულ განცხადებებშიც იგრძნობა. მაგალითად, გასულ კვირას მან „ფეისბუკში“ დაწერა: **„ევროპული საქართველო“ არ წარმომადგენს მე!“, „ეს ყოფილი ჩვენი ხალხია (მართალია, დაგვტოვეს, მაგრამ ბევრი სხვა მოგვემატა პრინციპით „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“), მაგრამ საქმის გაკეთებაზე, აბა, რა გითხრათ: მე მათ ბევრი რამ ვასწავლე, ხეზე ასვლის გარდა, და, ხალხს რომ დაეხმარო, ეგეც უნდა იცოდე“.**

კომენტატორების ნაწილი თვლის, რომ დაპირისპირება მოჩვენებითია, ხოლო „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ კონფლიქტი მიზნად ისახავს ელექტორატის გაფართოებას იმ ამომრჩეველთა ხარჯზე, რომელთათვის ადრე მიუღებელი იყო ოდესღაც ერთიანი პარტიის „ნაციონალური“ ან „ევროქართული“ ნაწილი, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ სააკაშვილს სურდა იმ პასუხის მოსმენა, რომელიც გიგი უგულავამ გასცა. უგულავამ შემდეგი რამ თქვა: „თქვენ ინაშვილ-კორკოტას იდეებს ახმოვანებთ, თქვენ და თქვენი კანდიდატი ევროპისა და ნატოს მიმართ სკეფსის აღვივებთ“, მაგრამ მთავარი, ალბათ, შემდეგი ფრაზები იყო: „ტურფა საბაღნარო“ თქვენ მიატოვეთ, ეს ფაქტია და კარგია, რომ ეს კომპლექსი გაწუხებთ. კიდევ დიდი ხანი შეგაწუხებთ, რადგან იცით, რომ ფატალური შეცდომა დაუშვით, როცა ბრძოლის ველი მიატოვეთ“. ამასთანავე, „დაიმახსოვრეთ, ვინც მხოლოდ ძალაუფლებისთვის იბრძვის, ის სამუდამოდ დაკარგავს მას. ისტორიას კი გაუთავებელ „მე, მე, მე, მე“-ს შემოუნახავთ, როგორც ექსპონატს ადამიანური და პოლიტიკური დეგრადაციის“.

ერთი შეხედვით, საბაბი პრინციპული ხასიათის კონფლიქტისთვის „ნაცმოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის არ არსებობს — ორივეს ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი ამოძრავებს, იდეოლოგიაც (თუ დავუშვებთ, რომ მას რევანშის სურვილთან შედარებით რაღაც მნიშვნელობა აქვს) მსგავსი აქვთ. არჩევნების წინ მათ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შეთანხმებას; ვანო მერაბიშვილი ციხიდან გაერთიანებისკენ მოუწოდებს, მაგრამ არის ერთი პრინციპული სხვაობა, რომელიც ჯერ კიდევ 2016 წელს აღინიშნა, როდესაც სააკაშვილი ემხრობოდა რევოლუციურ სცენარს, ხოლო მომავალი „ევროქართველები“ წინააღმდეგობას უწევდნენ, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ კარგად ესმოდათ, — საზღვარგარეთ მყოფ სააკაშვილს არაფერი ემუქრება და ჯოხი მათზე გადატყდება.

წინაპირობები და სათანადო რესურსები რევოლუციისთვის მაშინ არ არსებობდა და ვითარებას კიდევ ერთი გარემოება ართულებდა. სააკაშვილი „რევოლუციად“ ხელისუფლების იმგვარ შეცვლას აღიქვამს, როგორიც მოხდა საქართველოში 2003-ში, უკრაინაში — 2004 და 2014 წლებში, ანუ სიტუაციას, როდესაც მმართველი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადატრიალებას ხელს უწყობს, ან, როგორც მინიმუმი, ხელს არ უშლის.

მაგრამ იგივე სცენარის გამეორების მცდელობა იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლება წინააღმდეგობის გაწევას აპირებს, ხოლო უცხოელი პარტნიორები „რეჟიმ ჩეინჯს“ პრიორიტეტად არ აღიქვამენ, რადიკალური სცენარი ორგანიზატორებისთვის შეიძლება კრახით და უმძიმესი შედეგებით დასრულდეს. გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა, დიდი ალბათობით, იმსხვერპლებს „ნაცმოძრაობას“ და, მასთან ერთად, „ევროპულ საქართველოს“, როგორც ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალას.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: **სააკაშვილი** და **ვაშაძე** მიანიშნებენ იმაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მოგების შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. იურიდიულად ეს შეუძლებელია. ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მწვავე კრიზისის პირობებში, რომლის დროს პროცესი, სავარაუდოდ, არაერთგზის გავა საკონსტიტუციო სივრციდან. ჩვეულებრივ ამომრჩეველს, რომელიც სააკაშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის, ასეთი კრიზისი არაფერში სჭირდება. შეიძლება ითქვას, რომ მან 2016-ში ხმა მსგავსი პერსპექტივის წინააღმდეგაც მისცა და შეიძლება იგივე ახლაც გააკეთოს. ამასთანავე, ყოველივე ამის უკან მყისიერი, „ვადამდელი“ რევანშის წყურვილის გარდა, არანაირი სხვა იდეა არ იგრძნობა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ უგულავა ეუბნება სააკაშვილს: „თქვენი ყოველი გამოჩენა ცისფერ ეკრანზე ივანიშვილის გაბანკროტებული რეჟიმის მაშველი რგოლია, რადგან მხოლოდ შურისძიებასა და ეგოიზმს ასხივებთ“.

ასეა თუ ისე, ამომრჩეველი საკმაოდ მძიმე სიტუაციაშია. საკონსტიტუციო რეფორმის პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა იმას, რომ პრეზიდენტი საპარლამენტო რესპუბლიკაშიც საყოველთაო კენჭისყრით აგვერჩია, ყოველ შემთხვევაში 2018-ში. ახლა კი ვხედავთ, რომ ორი საფრთხე გვემუქრება — დესტაბილიზაციის ან რეჟიმის შემდგომი გამყარების. **თუ არჩევნებს არა ძველი ან ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი მოიგებს, არამედ ვიღაც სხვა (თეორიულად დავუშვათ), საუკეთესო შემთხვევაში მივიღებთ „მარგველაშვილი 2“-ს და პრეზიდენტის მუდმივ დაპირისპირებას ხელისუფლების სხვა შტოებთან. ამგვარად, დემოკრატიული ფორმის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, დიდი ალბათობით, ანტიდემოკრატიულ ტენდენციებს გააძლიერებს.**

ხედავთ, სად გამოადგებოდათ მუშებს ვაშაძის რჩევა?! ჩინური რომ იცოდნენ, ხომ ასცდებოდათ ჯოხის მოღერება და ყვირილი, პირდაპირ მონურად შეასრულებდნენ იმ სამუშაოს, რომელიც არ უნდა შეასრულონ. და მერე რა, რომ წყალი არ აქვთ; მერე რა, რომ სასადილო არ აქვთ; მერე რა, რომ ქუჩაში თუ მინდორში იცვლიან ტანსაცმელს... რისთვის სჭირდებათ საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი?! მონა მშიერი უნდა იყოს და შიშველ-ტიტველი. ბარემ დიდ კლასიკოსსაც დავესესხები, მაძღარი კაცი ვერ ააშენებსო სვეტიცხოველს და დღევანდელი რეალობის „სვეტიცხოველი“ ხომ თბოსადგურები, ჰესები და მისთანებია.

სწავლა მოსწავლეთა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კომუნისტების ზეობის პერიოდში, იმ კომუნისტების, დღეს რომ სალანძღავად ქცეულან, საშუალო განათლების დონით საქართველო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე იმყოფებოდა. ერთ სულ მოსახლეზე რაოდენობის მხრივ ქართველი მეცნიერებისა და აკადემიკოსების რაოდენობა იმდენი იყო, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას უსწრებდა. ჩვენს თაობას აუცილებლად ემახსოვრება, როგორ გვასწავლიდნენ სკოლებში, უნივერსიტეტში (ერთი იყო მაშინ), როგორ ვითარდებოდა განათლების სფერო...

# როგორ ავხსნათ მოწოდება, რომ არაბული, იაპონური და ჩინური უნდა ვისწავლოთ?!



*** „ველოსიპედის ბორბალი, რომელიც წყობიდან გამოვიდა, გაფუჭდა და გდია ღობის ძირში, ფიქრობს, განიცდის და ხვდება, როგორი კარგია მარტოობა“,** — ეს მოთხრობა თუ ერთ წინადადებიანი ნოველა მეორე კლასის სახელმძღვანელოში წერია და იქვეა „ჩამჭრელი“ კითხვა მეორეკლასელთათვის — **„რას განიცდის მარტო მყოფი, გაფუჭებული ბორბალი?!“**

როგორია?! მეორეკლასელმა ბავშვმა, რომელსაც ნანახი აქვს ველოსიპედიც და ბორბალიც, უნდა გაითავისოს, რომ ის განიცდის, ხვდება, რომ მარტოა და თანაც, რა კარგია მარტოობა. გარდა იმისა, რომ ბავშვმა უნდა წარმოიდგინოს გაფუჭებული ბორბლის განცდები, უნდა იცოდეს, რომ თურმე მარტოობა კარგია.

მეორე მოთხრობაზეც ვთქვათ, რომელიც უკვე საზღვრებს გასცდა და კოსმოსში „გაიჭრა“.

*** „უცხო პლანეტაზე არ არის სკოლა და ბავშვები განათლებას სითხეებით იღებენ. ბუნება წითელი სითხეა, მათემატიკა — მწვანე, ხოლო სპორტი — უფერო, წყალს ჰგავს. ზარმაც ბავშვებს არ სურთ ამ სითხეების მიღება, მაგრამ მშობლებს სახლში ჰყავთ რობოტი, რომელიც სვამს წითელ სითხეს და იწყებს ბუნებაზე საუბარს...“**

ვერ გეტყვით, ვისი შექმნილია ეს „შედევრი“, მაგრამ ფაქტია, რომ განათლების სამინისტრომ მოიწონა, სახელმძღვანელოში შეიტანა და ახლა ბავშვები სწავლობენ, რომ სკოლის გარეშე, სითხის მიღებით შეიძლება საგნების სწავლა. ბარემ ერთი ლექსიც წავიკითხოთ პირველკლასელთა სახელმძღვანელოდან და შემდეგ მთავარიც ვთქვათ. ლექსს ჰქვია „გიკვირს?! ნუ გიკვირს!“

*** „ვინც არ მიყვარდა,**
**მან ხო მიკვანტა!**
**ვინცა მიყვარდა,**
**მანცა მიკვანტა!**
**მანცა მიკვანტა,**
**ვინცა მიყვარდა!**
**და, რო მიკვანტა,**
**ვინცა მიყვარდა!**
**ვერ დაგიმალავ,**
**მეცა პირკატა!“**

ამას **პირველკლასელი რომ წაიკითხავს და თანაც დაიზეპირებს, მერე რომ ეტყვიან, — აბა, პატარავ, ლექსი მოყევიო და ამას რომ წაიკითხავს, როგორ განწყობაზე უნდა დადგეს ადამიანი?!** თუმცა, განწყობა პრეზიდენტობის კანდიდატმა **გრიგოლ ვაშაძემ** გამოგვიკვეთა. ჯერ თქვა: ჩემი შვილი იმ სკოლაში დადის, რომელშიც ნამდვილი თბილისელების შვილებიო (სავარაუდოდ, ხოხობს ჩამოყოლილებს გულისხმობდა) და მერე უფრო გაგვანათლა: **„აუცილებელია, რომ ბავშვებს პირველი კლასიდანვე ვასწავლოთ ჩინური, არაბული და იაპონური ენები. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სამსახური მუდმივად გარანტირებული ექნებათ და ძებნა არ მოუწევთ“**.

ის, რომ საქართველოში ყველაფერი ჩინელებს, არაბებსა და ირანელებს მიაქვთ, ცხადია და ამას არც არავინ უარყოფს. ერთი ეგაა, მოსახლეობას იმედი აქვს, რომ მომავალში სიტუაცია გამოსწორდება და უცხოტომელების ფეხქვეშ გაფენილი ხელისუფლება გონს მოეგება, მაგრამ ისე ჩანს, **საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი აქვთ ზესახელმწიფოებს, ეს კარგად იციან როგორც ამჟამინდელ ხელისუფლებაში, ისე მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარებულ გუნდში და აქედანვე გვაჩვევენ, რომ ჩვენს შვილებს არაბული და ჩინური უნდა შევასწავლოთ. უნდა შევასწავლოთ იმიტომ, რომ რეალურად დღეს საქართველოში, რაიმე სპეციალობას კი არა, უცხოელი შეფებისთვის გაღიმებას, ლაქუცსა და მათი ამპარტავნული ტონით გაკეთებული მითითებების უსიტყვოდ შესრულებას მოითხოვენ.** ამპარტავნულად იმიტომ, რომ არ გვთვლიან სრულფასოვან ადამიანებად, არ გვთვლიან ტოლ-სწორად. **ამის საფუძველს გარკვეულწილად თვითონ ვაძლევთ, რადგან უთავმოყვარეოდ ვიქცევით, არ (აღარ) გვაქვს განათლება (სწავლა გვინდა, მაგრამ არ გვასწავლიან, საგანმანათლებლო პროგრამები გვაქვს მდარე, ზედაპირული), საკუთარს არ ვუფრთხილდებით, ერთი დღით ვცხოვრობთ, წუთიერ გამორჩენას ვართ დახარბებული, უცხოელებიც არ გვინდობენ და ბოლომდე გვიმონებენ.**

გრიგოლ ვაშაძეს არ უთქვამს, სხვა ენებთან ერთად, პირველ რიგში, გამართული ქართული უნდა ვასწავლოთ მომავალ თაობასო. არ უთქვამს, **რადგან როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ხელმძღვანელი ამერიკელი და ევროპელი მამები არ თვლიან საჭიროდ, მშობლიური ქართული ვიცოდეთ. ჩვენ მათთვის მომსახურე პერსონალი ვართ, ის პერსონალი, რომელიც დამონებული უნდა იყოს, მათ მოემსახუროს და ამიტომ სასურველია, მათი ენა იცოდეს, რადგან ამპარტავნული ტონით გაცემული ბრძანება ყველამ გაიგოს და საამისოდ თარჯიმანი არ დასჭირდეთ, ზედმეტი ხარჯია.**

სხვაგვარად **როგორ ავხსნათ მოწოდება, რომ არაბული, იაპონური და ჩინური უნდა ვისწავლოთ?!** რამდენი ადამიანი იცით, სამუშაოდ ირანში, არაბეთში, იაპონიაში, ჩინეთში რომ წასულა?! ახლა ის ვთქვათ, რამდენ ჩინელს, ირანელსა და არაბს ხედავთ თქვენ გარშემო? გამოდის თუ არა, რომ **სწორედ ეს იგულისხმა ვაშაძემ, აქ ჩამოსული უცხოტომელები, როცა ამბობდა, სამსახურები გარანტირებული გექნებათო?!** საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე იმასაც კი არ ჰპირდება ამომრჩეველს, ქარხნები უნდა აშენდეს, მუშა-ხელი დაგვჭირდება, ადგილობრივები უნდა დასაქმდნენ და ეგებ გაჭირვებას თავი დავაღწიოთო. არა, ბატონებო, **საპრეზიდენტო კანდიდატის დაპირებაა, თუ არაბულსა და ჩინურს ისწავლით, საქართველოში ჩამოსულები დაგასაქმებენ და დაგიმონებენო.**




სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ჩინურ **კომპანია China Tianchen Engineering Corporation**-ში მომუშავე მუშები გაიფიცნენ. როგორ გგონიათ, რა იყო მათი გაფიცვის მიზეზი?

**„სამუშაო ობიექტზე არ არის სასმელი წყალი, სასადილო, არ გვაქვს გამოსაცვლელი ოთახები, არ არის ტრანსპორტი, დანიშნულ ადგილამდე რომ მივიდეთ. არ გვაქვს კონტრაქტები და შესაბამისად, არანაირი დაზღვევა. გვაიძულებენ ისეთი რამის კეთებას, რაც კონკრეტულმა მუშამ არ იცის. მაგალითად, ერთ-ერთ მუშას აიძულებდნენ, აირშედუღებაზე ემუშავა, როცა ის ბოლო ხმაზე ყვიროდა, რომ ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. არ ჰყავთ თარჯიმანი და, როცა მათ ნათქვამს ვერ ვიგებთ, ყვირილს იწყებენ, ხელებს იქნევენ, რამდენჯერმე ჯოხიც მოგვიღერეს“,** — ამბობენ გაფიცული მუშები.

ხედავთ, სად გამოადგებოდათ მუშებს ვაშაძის რჩევა?! ჩინური რომ იცოდნენ, ხომ აცდებოდათ ჯოხის მოღერება და ყვირილი? პირდაპირ მონურად შეასრულებდნენ იმ სამუშაოს, რომელიც არ უნდა შეასრულონ და მერე რა, რომ წყალი არ აქვთ; მერე რა, რომ სასადილო არ აქვთ?! მერე რა, რომ ქუჩაში თუ მინდორში იცვლიან ტანსაცმელს... რისთვის სჭირდებათ საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი?! მონა მშიერი უნდა იყოს და შიშველ-ტიტველი. ბარემ დიდ კლასიკოსსაც დავესესხები, მაძღარი კაცი ვერ ააშენებსო სვეტიცხოველს და დღევანდელი რეალობის „სვეტიცხოველი“ ხომ თბოსადგურები, ჰესები და მისთანებია.

სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობაა სრულიად საქართველოს მასშტაბით. **უცხოელი, რაც უნდა კარგი განწყობით იყოს ჩამოსული, ხვდება, რომ ერი დამონების გზას ადგას, რომ გამათხოვრებულ და გათითოკაცებულ „ყოფილ ერს“ ლუკმაპურის საშოვნელად და ოჯახის დასაპურებლად ყველაფერზე უწევს წასვლა, ყველაფრის ამტანია და ამიტომ ერთ სახრეს ყველა თლის, გადატყავებულ ბეჭებზე რომ გადაგვიჭიროს, და ვაი, რომ ამ ბეჭებს საკუთარი ნებით ვუშვერთ, რადგან, სხვა შემთხვევაში, შინ დაბრუნებულებს, მშიერი ბავშვები გვხვდებიან, ის ბავშვები, რომლებსაც სკოლაში ბორბლის მარტოობაზე ესაუბრებიან და გარდა იმისა, რომ ღობის ძირში მიგდებული ბორბლის ფიქრების ჩაწვდომას აიძულებენ, იმასაც ეუბნებიან, რომ მარტოობა კარგია.**

ასე იქნება მანამ, **სანამ თვითონ არ ვისწავლით საკუთარი თავის დაფასებას; სანამ არ გავითავისებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მასპინძლები ვართ და არა სტუმრები,** საკუთარ ქვეყანაში მეტი უფლება რომ გვაქვს. და, ეს იმის მიუხედავად, რომ ნებისმიერ ჩამოსულ უცხოელს ინვესტორად აღიქვამენ ხელისუფალნი და ცივ ნიავს არ აკარებენ. სამაგიეროდ, ადგილობრივებს თითსაც უქნევენ და სახრესაც, როცა საქმე უცხოელის ინტერესებს ეხება. ჩვენ ხომ მოწინავე ქვეყანა უნდა გავხდეთ მომსახურების სფეროში, ჩვენ ხომ მოსამსახურეებად უნდა გავზარდოთ მომავალი თაობა და, ალბათ, **ყველა ვერ ივლის იმ სკოლაში, რომელშიც „ნამდვილი თბილისელების“ შვილები სწავლობენ. ჩვენ, რიგითი მოკვდავები, პროვინციალები დაბადებიდან განწირულები ვართ იმისთვის, რომ ჩინური და არაბული ვისწავლოთ, რათა უცხოტომელ ბატონს თავის ენაზე ვესაუბროთ და თარჯიმნის აყვანაში ფული დავუზოგოთ.** ეს ჩვენ ვართ, ქართველები, ერი, რომელიც წარსულით ამაყობს, საკუთარი დამწერლობით ამაყობს და ესეც უნდა წაგვართვან, ესეც უნდა დავივიწყოთ. წარსულიც და აწმყოც ჩინური იეროგლიფებით უნდა დაიწეროს და კითხვაც მარჯვნიდან მარცხნივ უნდა ვისწავლოთ, უკუღმა... გაუკუღმართებულ ცხოვრებას უხდება ნამეტნავად!

**ბესო ბარბაქაძე**

ევროკავშირის დირექტივები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2009 წელს განათლების სამინისტროში გრიფირებისას 9 „დედა ენა“ იყო წარდგენილი — 9 ავტორის „დედა ენა“, გადამღერებული გოგებაშვილისგან, მაგრამ გოგებაშვილი არსად ნახსენები არ იყო. გოგებაშვილს აქვს საავტორო უფლებები და ჩვენ მივმართეთ „საქსტანდარტსა“ და „საქპატენტს“, ვთქვით, რომ ავტორის ძარცვასთან გვქონდა საქმე, მაგრამ მსგავს შემთხვევებს არავინ დაგიდევთ“.**

# ქართულ სკოლაში «დედა ენას» აღარ ასწავლიან

**„დედა ენას“ — ქართული ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს — 2013 წელს კულტურის სამინისტრომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 2014 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მას განესაზღვრა ეროვნული კატეგორია; ძეგლი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს იუნესკოს მიერ საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლისა — ქართული ანბანისა. ყოველივე ეს სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ამ ძეგლის სიცოცხლისუნარიანობა და დაიცვას იგი. სწორედ ამ მიზნით 2018 წელს განათლების მინისტრის, ბატონ მერაბ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის საფუძველზე სასკოლოდ გადაემუშავებინა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“; ამ საქმის ინიციატორი და ძირითადი შემსრულებელი იყო იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება. კომისიის მუშაობას ზედამხედველობას უწევდა მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია. კომისიამ (თავმჯდომარე აკად. ავთანდილ არაბული) დათქმულ ვადებში დაასრულა სამუშაო და იაკობ გოგებაშვილის პრინციპების გათვალისწინებით სასკოლოდ მოამზადა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. გაუგებარი მიზეზების გამო, განათლების სამინისტრომ არ შეასრულა დაპირება და ეროვნული სკოლა დარჩა „დედა ენის“ გარეშე! „დედა ენა“, ფაქტობრივად, შეეწირა გრიფირების სისტემაში არსებულ უკანონობას. ეს კი შეიქნა ქართული საზოგადოების სამართლიანი აღშფოთების მიზეზი.**
**სწორედ ამ მიზეზით 2018 წლის 11 ოქტომბერს, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა შეკრება თემაზე: „გადავარჩინოთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“; დავუბრუნოთ იგი ქართულ სკოლას!“**

## გამოგვიცხადეს, — რეორგანიზაციააო და გოგებაშვილი სკოლის მიღმა დატოვეს



გიორგი გოგოლაშვილი და დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე)



### „თუ ქართულ სკოლაში „დედა ენა“ არ იქნება, გადარჩენა არ გვიწერია“

**დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე), იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე:**

— ჩვენი შეხვედრა არც პროტესტია და არც პოლიტიკური აქტი. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ერი და ბერი ერთად დავდგეთ, მთავრობამ და მხედრობამ კი სულიერი გამოღვიძება განიცადოს.

ბევრი ჩვენნაირი პატარა ერი დრომ და ისტორიამ გააქრო, ქართველები დღემდე მოვედით და ფეხზეც ვდგავართ. ჩვენ ენამ, მამულმა და სარწმუნოებამ გადაგვარჩინა. დღეს ამ სამი ბურჯიდან თითქმის აღარაფერი შეგვრჩა. მიწა და სარწმუნოება გადამთიელებმა გაგვინადგურეს, ხოლო ენას ჩვენვე ვებრძვით.

**საქართველოს არ ახსოვს მსგავსი რამ, რაც დღეს მოხდა — „დედა ენა“ ამოიღეს სკოლიდან.** წინა წლებში „დედა ენა“ ეწერა წიგნს, მართალია, ის არ იყო „დედა ენა“, მაგრამ ახლა „დედა ენაც“ აღარ აწერია. „დედა ენიდან“ ხომ მადლი გადმოდის?! „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის საავტორო სიტყვაა, მანამდე ეს არავის გამოუყენებია. სამწუხაროდ, დღეს ისეთი ქართველებიც არსებობენ, რომლებიც ამბობენ, 21-ე საუკუნეში დედა ენა რა საჭიროაო.

**— რატომ აღარ ასწავლიან „დედა ენას“?**

— ეს ჩვენ არ ვიცით. ვიცით ის, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგ იაკობ გოგებაშვილს პატრონი აღარ ჰყოლია, თუმცა მისი სწავლება არ შეწყვეტილა. ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება და ჩვენ ვიკისრეთ „დედა ენის“ მოვლა-პატრონობა, მაგრამ, როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, **„დედა ენის“ დაწერას გაცილებით ნაკლები დრო მოვანდომე, ვიდრე მის დაცვასო, ჩვენც ასე გვიწევს მისი დაცვა.** არ გვინდოდა, აქამდე მისულიყო საქმე და, გოგებაშვილის „დედა ენის“ გამო, სრულიად საქართველო დამდგარიყო ფეხზე.

**თუ ქართულ სკოლაში „დედა ენა“ არ იქნება, ცხონება და გადარჩენა არ გვიწერია. „დედა ენაზე“ გაზრდილი ბავშვი ზნეობრივად გამართულია.**

საქართველოში არის 35 კულტურული ძეგლი, მათგან ხუთი ეროვნული კატეგორიისაა. ქართული ენა ცოცხალ, ეროვნულ, კულტურულ ძეგლად აღიარეს. ეს აღიარება მოხდა ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, სადაც 150 ადამიანი ფეხზე ადგა და ქართულ ანბანს ტაში დაუკრა, ამ დროს საქართველოში „დედა ენა“ სწავლებიდან ამოიღეს. **თუ დღეს დავთმობთ იმას, რომ „დედა ენა“ არ ისწავლებოდეს, ხვალ ქართული ენის დათმობა მოგვიწევს, რადგან პრიორიტეტი ინგლისური ენა გახდა. მივმართავთ სრულიად საქართველოს, მთავრობასა და მხედრობას: ჩვენ დავარისხებთ განგაშის ზარებს და ვამცნობთ ყველას — ქართულ სკოლაში „დედა ენა“ აღარ არის!**

იუნესკოს გადაწყვეტილების შემდეგ, გვინდოდა, „დედა ენა“ კანონით დაცული ყოფილიყო, **პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებას** ვაკეთებდით, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა და ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დღეს ჩვენ გვერდით არის სრულიად საქართველო — ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო დაწესებულება, კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა ჩამოთვლასაც გაზეთის ფორმატი არ ეყოფა.



### „დღეს სკოლაში „დედა ენა“ არ არის, სკოლა დარჩა გოგებაშვილის გარეშე“

**გიორგი გოგოლაშვილი, ენათმეცნიერი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე:**

**— საქართველოში ხუთი ეროვნული კატეგორიის არამატერიალური კულტურული ძეგლია: ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგია, ქართული ანბანი, „დედა ენა“ და ქართული ჭიდაობა.** სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და უზრუნველყოს მისი სიცოცხლისუნარიანობა. თუკი ძეგლს მოაკლდება სიცოცხლისუნარიანობა, მას ძეგლის სტატუსს უჩერებენ. თუ იუნესკოს მოთხოვნებს ვერ შეასრულებს ქვეყანა, ძეგლის სტატუსი შეუჩერდება და ჩვენ ეს გამოცდილება, თანაც ძალიან მწარე, უკვე გვაქვს ბაგრატის ტაძრის მიმართ.

მსოფლიოში მხოლოდ ქართულ ანბანს აქვს საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და იმის გამო, რომ „დედა ენა“ სასკოლო საგნების ნუსხიდან ამოიღეს, შესაძლოა, ქართულ ანბანსაც შეექმნას საფრთხე.

2009 წელს განათლების სამინისტროში გრიფირებისას 9 „დედა ენა“ იყო წარდგენილი — 9 ავტორის „დედა ენა“, გადამღერებული გოგებაშვილისგან, მაგრამ გოგებაშვილი ნახსენები არ იყო. გოგებაშვილს აქვს საავტორო უფლებები და ჩვენ მივმართეთ „საქსტანდარტსა“ და „საქპატენტს“, ვთქვით, რომ ავტორის ძარცვასთან გვქონდა საქმე, მაგრამ მსგავს შემთხვევებს, არავინ დაგიდევთ.

მას შემდეგ, რაც „დედა ენამ“ ძეგლის სტატუსი მიიღო, განათლების ყოფილ მინისტრებთან გვქონდა შეხვედრები; განათლების სამინისტრომ მიმართა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, რომ, **რადგან „დედა ენა“ არის კულტურული ძეგლი, წარმოდგენილი ყველა სახელმძღვანელო, რომლებსაც ერქმევა „დედა ენა“ და იქნება გოგებაშვილის მეთოდზე დამყარებული, უნდა შეესაბამებოდეს ძეგლს. უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც „დედა ენის“ შექმნისას იაკობისეულ „დედა ენასთან“ შესაბამისობას დაადასტურებდა.** საკონკურსოდ წარდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მიერ მომზადებული გოგებაშვილის „დედა ენა“, დასკვნაც დადებითი იყო, მაგრამ **განათლების სამინისტრომ ეს დასკვნა არ გაითვალისწინა და დღეს სკოლაში „დედა ენა“ აღარ არის, სკოლა დარჩა გოგებაშვილის გარეშე. განათლების სამინისტროს ნებართვით სექტემბერში სკოლაში შევიდა ის სამი სახელმძღვანელო, რომლებსაც უარყოფითი დასკვნა ჰქონდა.**

გოგებაშვილის „დედა ენის“ სტატუსი, როგორც ძეგლისა, მოითხოვს, რომ განათლების სამინისტროში შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც გოგებაშვილის სიცოცხლეშივე გამოცემულ „დედა ენას“ თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოიყვანს და შეიტანს სკოლაში. წიგნში დაცული უნდა იყოს გოგებაშვილის პრიციპები, რომლებზე საუბარიც ახლა შორს წაგვიყვანს, რადგან უნიკალურია.

ყოფილმა მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა შექმნა ზემონახსენები კომისია, თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული,** წევრები: ენათმეცნიერები, ლიტერატურის მცოდნეები, მხატვრები, პედაგოგები, ფსიქოლოგები. კომისიამ დათქმულ დროში მოამზადა უნიკალური სახელმძღვანელო, მაგრამ **გამოგვიცხადეს, — რეორგანიზაციააო და გოგებაშვილი სკოლის მიღმა დატოვეს. სამაგიეროდ, სკოლაში შევიდა ისეთი ავტორების წიგნები, რომელთა სახელი და გვარიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, აქ დამსწრე საზოგადოებისთვის, უცხოა.** სკოლაში შევიდა სამი წიგნი, რომლებშიც რამდენიმე ადგილას გადამღერებულია იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ სხვა ავტორის სახელი აწერია, რაც, მსუბუქად რომ ვთქვათ, პლაგიატია. არის სახელმძღვანელო, რომელიც **არჩილ სულაკაურის** გამოცემულია, სადაც „ა“ ასოს სწავლება ატმით, ალუბლით, ასკლითა და აქლემით იწყება. ეს პირველი გაკვეთილია. „აი იას“ პატრონები ბავშვებს რას ვთავაზობთ?!

**„შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედა ენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის ისტორიაში“,** — ეს სიტყვები **გრიგოლ აბაშიძეს** ეკუთვნის. სამწუხაროდ, დღეს „დედა ენა“ უპატრონოდ დაგვრჩა. წელს ვეღარაფერს მოვახერხებთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალი წლიდან წიგნი სკოლაში შევიდეს. იაკობ გოგებაშვილისადმი ასე- ▶

**«დღეს სკოლაში «დედა ენა» აღარ ისწავლება. განათლების სამინისტროს ნებართვით სექტემბერში სკოლაში შეიტანეს ის სამი სახელმძღვანელო, რომლებსაც უარყოფითი დასკვნა ჰქონდათ»**

**„იყო დრო, როდესაც ქართული ენის დასაცავად ქუჩაში ვიდექით, მაგრამ მაშინ ვიცოდით, ვის ვებრძოდით. ახლა ისეთი განცდა მაქვს, რომ ცუდ სიზმარში ვარ და აღარასოდეს დასრულდება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ერთ დღეს მწერალთა კავშირში შემოიჭრებოდნენ, გალაკტიონის, ვაჟას, ილიას წიგნებზე ირბენდნენ, ფანჯრებიდან გადაყრიდნენ უდიდეს საგანძურს და საქართველო გაჩუმდებოდა. იმ ხელისუფლებამ დედა გვიტირა! ამ ხელისუფლებას წერილი გავუგზავნეთ იმის თაობაზე, თუ როგორ ნადგურდება უნიკალური არქივები შენობის არარსებობის გამო, მაგრამ არავის აინტერესებს“.**

ევროკავშირის დირექტივები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...თი მოპყრობა ქართველი ერის ღალატია!

**— თუ სამართლებრივი გზით ვერაფერს მოახერხებთ და, ძალისხმევის მიუხედავად, მაინც არ დააბრუნეს სკოლაში „დედაენა“, რა ზომებს მიმართავთ?**

— პარლამენტში უკვე გვითხრეს, რომ ჩვენი ინიციატივა მიიღეს წარმოებაში, მაგრამ, თუკი „დედა ენის“ დასაბრუნებლად შიმშილობა დამჭირდა, ამისთვისაც მზად ვარ. ვიშიმშილებ იქამდე, სანამ იაკობ გოგებაშვილს სკოლაში არ დავაბრუნებთ. ვიტოვებ იმედს, რომ, ვისაც ხელეწიფება ამ პრობლემის მოგვარება, გონიერება ეყოფა. **წიგნის სკოლაში დაბრუნებას მხარს უჭერს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, შემოქმედებითი კავშირები, სრულიად საქართველო. პრობლემა მაინც მოუგვარებელი თუ დარჩა, ჩვენ გზადაგზა საზოგადოებას შევატყობინებთ, რას მოვიმოქმედებთ, მაგრამ ამ ეტაპზე ქუჩაში გასვლისგან თავს ვიკავებთ.**



## „გოგებაშვილს კი არა, ფულის გულისთვის დედის საფლავსაც სიხარულით გაყიდიან“

**მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

— აქ ითქვა, რომ ვიღაცას შეცდომა მოუვიდა და ამიტომ აღარ არის „დედა ენა“ სკოლაში, მაგრამ არავის არაფერი ეშლება, ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება. **იყო დრო, როდესაც ქართული ენის დასაცავად ქუჩაში ვიდექით, მაგრამ მაშინ ვიცოდით, ვის ვებრძოდით. ახლა ისეთი განცდა მაქვს, რომ ცუდ სიზმარში ვარ და აღარასოდეს დასრულდება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ერთ დღეს მწერალთა კავშირში შემოიჭრებოდნენ, გალაკტიონის, ვაჟას, ილიას წიგნებზე ირბენდნენ, ფანჯრებიდან გადაყრიდნენ უდიდეს საგანძურს და საქართველო გაჩუმდებოდა.** იმ ხელისუფლებამ დედა გვიტირა, ამ ხელისუფლებას კი წერილი გავუგზავნეთ, როგორ ნადგურდება უნიკალური არქივები შენობის არარსებობის გამო, მაგრამ არავის აინტერესებს.

ფრანკფურტში წიგნის დღეებზე წაიყვანეს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეროვნული ცნობიერება არ აქვთ, ლექსში „დედასამშობლო“ არ აქვთ ნახსენები. ასე რომ, აღარაფერი მიკვირს, გოგებაშვილის სკოლიდან ამოღება იმის გაგრძელებაა, რაც წლების წინათ დაიწყო.

**გოგებაშვილის ტრაგედია გაგრძელებაა იმის, რომ საქართველომ შოთა რუსთაველის იუბილე არ გადაიხადა. ჰამლეტ გონაშვილის იუბილის ჩატარებაზე ერთწინადადებიანი პასუხი მივიღეთ: „დარბაზი არ გვაქვს“.** ეს გრძელდება დაუსრულებლად. დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების იუბილეზე ფულს არ ყოფენ, ამიტომ არც აინტერესებთ, მაგრამ, **თუ გამოჩნდა პროექტი, რომელზეც ფული გამოიყო, იმ წუთშივე რომელიმე მაღალჩინოსანი ჩაიჯიბავს.**

მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „დედა ენას“ ძეგლის სტატუსი არ შეუნარჩუნდეს, ზუსტად ისე, როგორც ეს მოხდა „ცისკრისა“ და ბაგრატის ტაძრის მიმართ. გოგებაშვილს კი არა, ფულის გულისთვის დედის საფლავსაც სიხარულით გაყიდიან.

ჩვენი დუმილი უდიდესი დანაშაულია, უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. სირცხვილია, რომ დღეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ ვსაუბრობთ ამდენს. მეტი სიმკაცრეა საჭირო. **შვილებს გვიკლავენ ფულითა და უცხოეთით.**



## „ვამხილოთ ყველა, ვისაც წვლილი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილის სასწავლო პროგრამიდან ამოღებაში, დავბეჭდოთ მათი ფოტოები და გავაკრათ ყველგან, რათა ერი იცნობდეს თავის სამარცხვინო შვილებს“

**ელგუჯა ბურდული, მსახიობი:**

— „დედა ენას“ ამდენი მსჯელობა არ სჭირდება. დავწეროთ სტატია, ვამხილოთ ყველა, ვისაც წვლილი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილის სწავლებიდან ამოღებაში, დავბეჭდოთ ყველას ფოტოები და გავაკრათ ყველგან, რათა ერი იცნობდეს თავის სამარცხვინო შვილებს. ამისთვის თუ ფულია საჭირო, ამ ფულს მეც გავიღებ.



## „ყველაფერი მზად გვქონდა იმისთვის, რომ გოგებაშვილის ძეგლი დაგვედგა ვარიანის გზაზე, მაგრამ, როგორც კი შეიტყვეს ეს ამბავი რაღაც ძალებმა, პოლიციის შენობა ჩადგეს“

**ვალერი სუხიშვილი, გორის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:**

— უნივერსიტეტში მოდიან ბავშვები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ გოგებაშვილზე. ჩვენ ყველაფერი მზად გვქონდა იმისთვის, რომ გოგებაშვილის ძეგლი დაგვედგა ვარიანის გზაზე, მაგრამ, როგორც კი შეიტყვეს ეს ამბავი რაღაც ძალებმა, პოლიციის შენობა ჩადგეს. არადა, იქ მემორიალური დაფა იყო, რომელზეც ეწერა, რომ დაიდგმებოდა გოგებაშვილის ძეგლი.

საზოგადოების დიდი ნაწილი აქ არის, ჩვენ გვერდით, მაგრამ არის მეორე ნაწილი — კუჭის მონები, რომლებიც უცხოური დაფინანსებისთვის ყველაფერს ყიდიან. თუ საჭირო შეიქნა, მთავრობის წევრებამდე უნდა მივიდეთ, დავსხდეთ და ვუთხრათ ჩვენი გულისტკივილი. ესენი ეროვნულობას, საქართველოს ებრძვიან. სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი სამშობლო უნდა გადავარჩინოთ. ეს ჩვენი თაობის ვალია.

**ამ უვარგისი რეფორმების ბრალია ყველაფერი. ჩვენ თუ არ გადავეცით მომავალ თაობებს, ვინ არის გოგებაშვილი, მათ საიდან ეცოდინებათ?! მიმდინარე რეფორმები მიმართულია ეროვნული ცნობიერების წაშლისკენ. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებმა ქართულად არ იაზროვნონ. გოგებაშვილზე ილია ამბობდა, რომ ის ყველა ჩვენგანზე მაღალიაო და ამ ხელისუფლებისთვის ვერ გახდა დიდი**



## „დედა ენის“ სასწავლო პროგრამიდან ამოღება, დედის ძუძუ რომ გამოაცალო ბავშვს პირიდან, იმას ნიშნავს“

**თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი:**

— მოთმინებამ გადაგვარჩინა ქართველები. მსჯელობა უფრო გვეხერხება, ვიდრე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამდენმა მსჯელობამ მათი თავგასულობა გამოიწვია, პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

სასკოლო საგნების ნუსხიდან „დედა ენის“ ამოღება, დედის ძუძუ რომ გამოაცალო ბავშვს პირიდან, იმას ნიშნავს. ერთმა ჩემმა მეგობარმა პოეტმა ასეთი სიტყვები დაწერა: **„იავნანას ვერ მღერიან ძიძები, იავნანა დედამ უნდა იმღეროს“. ჩვენი შვილები კი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ უნდა გაიზარდონ.**

რევოლუციას არ ვითხოვ, მაგრამ მეტი სიმკაცრე საჭიროა. მე, ერთი რიგითი ქართველი, მზად ვარ, ვიბრძოლო ისე, როგორც საჭიროება მოითხოვს.

30 წლის წინათ დაიწყო გოგებაშვილის აბუჩად აგდება, მაგრამ დღეს უკვე გადაწყვიტეს, მისი ხსენებაც აღარ იყოს სკოლებში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაც ერთმა კაცმა გადაწყვიტა, ეს წიგნი ამოეღოთ სასკოლო პროგრამიდან.

**— განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს აბრალებთ ამ ყველაფერს?**

— რასაკვირველია, ამ უვარგისი რეფორმების ბრალია ყველაფერი. ჩვენ თუ არ გადავეცით მომავალ თაობებს, ვინ არის გოგებაშვილი, მათ საიდან ეცოდინებათ?! მიმდინარე რეფორმები მიმართულია ეროვნული ცნობიერების წაშლისკენ. **ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებმა ქართულად არ იაზროვნონ. გოგებაშვილზე ილია ამბობდა, რომ ის ყველა ჩვენგანზე მაღალიაო და ამ ხელისუფლებისთვის ვერ გახდა დიდი.**

**— გოგებაშვილის „დედა ენის“ სასკოლო სახელმძღვანელოების სიიდან ამოღება — ეს არის უვიცობით გამოწვეული პრობლემა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება?**

— ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ქვეყანაში არიან გოგებაშვილის მოყვარულები და „მოგებაშვილის“ მოყვარულები. **ჩვენი მთავრობა „მოგებაშვილის“ მოყვარულია.** ქვეყანა ფულის კეთებაზეა გადასული. ისეთი ადამიანები, როგორიც ხაზარაძეა, სწორედ იმ უმსგავსობებს აფინანსებენ, რომლებსაც ახლა ბავშვებს ასწავლიან სკოლაში. **ხაზარაძე „დედა ენას“ არასოდეს დააფინანსებს.**



## „გოგებაშვილი თავის სამშობლოში ჩაიწიხლა“

**ავთანდილ არაბული, აკადემიკოსი:**

— გოგებაშვილი თავის სამშობლოში ჩაიწიხლა. მიმდინარე წლის სასწავლო პროცესში **იაკობ გოგებაშვილის უკვდავ ძეგლს გზა გადაუკეტეს ქართული სკოლისკენ.** სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას „დედა ენა“. უნიკალურად მომზადებული „დედა ენა“ სკოლის გარეთ დარჩა. განათლების სამინისტრომ პირობა არ შეასრულა და უნიკალური ძეგლი გრიფირებას შეეწირა. ჩვენ აღშფოთებულნი ვართ. კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ადგილი. უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, რომლებმაც კანონის გვერდის ავლით მიიღეს გადაწყვეტილება და „დედა ენა“ ჩაანაცვლეს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



**«სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას «დედა ენა». «დედა ენა» სკოლის გარეთ დარჩა. განათლების სამინისტრომ პირობა არ შეასრულა და უნიკალური ძეგლი გრიფირებას შეეწირა»**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სიმართლე ითქვას, ცოტა საეჭვოა ნაციონალების ასე გამოტვინება, რომ აი ამ უსუსური „სკანდალებით“ ცდილობენ რევოლუციის მოწყობას... უფრო მგონია, რომ აქ საქმე გვაქვს აფერასთან, რომელიც ნიკა გვარამიამ, ელისო კილაძემ და კიდევ რამდენიმე „მსხვილმა“ და თაღლითმა ჟურნალისტმა ჩაატარეს ნაცების შურისძიებით აღვსილი „ბელადებისთვის“ დიდი ფულის გამოცინცვლის მიზნით.**

# თაღლითურ-რევოლუციური მედიაავანტიურა და თვითგაფარჩაკებული ჟურნალისტები

## ნიკა გვარამიამ სათავე დაუდო უხამს ტელელექსიკას მსოფლიოში

**დილიდან ვფიქრობ — ნეტავ, რა ჩანაწერი, რა აუდიო თუ ვიდეოფირი შეიძლება წარმოადგინონ მაყურებლისა და მსმენელის წინაშე ნიკა გვარამიამ და მისმა სამარცხვინო კანტორამ ისეთი, რომ მათ დაძახილზე და მათ უკან მდგომი გაფარჩაკებული პოლიტიკური პარტიის მოწოდებაზე ხალხის სერიოზული მასა გამოვიდეს ქუჩაში?!**




დავუშვათ, მოიპოვონ ვიდეომასალა, რომელშიც **ბიძინა ივანიშვილი** საუზმობს ახალდაბადებული ჩვილების გულ-ღვიძლით, ამ შემთხვევაში მაინც თუ დაიწყება ამ ქვეყანაში ქუჩის აქციებისა და სერიოზული პროტესტის ტალღა?

მესმის, რომ ძალიან შავბნელი და, ალბათ, ცოტა არაკორექტული მაგალითი მოვიყვანე, მაგრამ მიმიტევეთ, უბრალოდ, მინდოდა, მთელი სიმძაფრით წარმომეჩინა, მართლა რა მაგრად და რა ღრმად ზის ნიკა გვარამია თავისი უკვე საბოლოოდ გადაფარჩაკებული „რუსთავი 2“-ით, მის უკან მდგომი გამარგინალებული პოლიტიკური პარტიითა და მისი ლიდერებით სწორედ იქ, სადაც თავადვე ბრძანა.

რამდენიმე დღეა, ტვინი წაიღო ნაცებისა და მათ მიერ მოსყიდული ე.წ. ჟურნალისტების წიკვინმა: **„ხალხო! თუკი 2012 წელს ციხის კადრების გავრცელებიდან რამდენიმე წუთში უკვე სავსე იყო ქუჩები და ხალხი სპონტანურად გამოდიოდა სახლებიდან და მირბოდა რუსთაველზე, ახლა რომ გამოქვეყნდა ეს ფარული ჩანაწერები, რატომ არ გამოდიხართ ქუჩაში?“**

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთ-ერთი ასეთი პირწმინდად მოსყიდული „ჟურნალისტის“ მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი. **„კიდევ რა ჩანაწერები უნდა მოისმინოთ და ნახოთ, რომ რუსთაველი ხალხით გადაივსოს? აუდიტორია 115 სადაა? პროფკავშირები სადაა? სტუდენტებო, სად ხართ?“** — მოთქვამს ეს საყოველთაოდ ცნობილი ინტრიგანი, რომელსაც რატომღაც ჩვენში „ჟურნალისტად“ მოიხსენიებენ და სხვადასხვა თოქშოუში ჭკუასაც კი ეკითხებიან.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ: მთელი ეს ცირკი, რომელიც საქართველოში, უკვე რამდენიმე თვეა, თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და, სამწუხაროდ, ძალიან ტრაგიკულ ფაქტებსაც კი აუფასურებს, ერთი მთლიანი სცენარის ძირითადი ხაზია. ოღონდ ვერ ვიტყვით, რომ ამ ტრაგიკომედიის სცენარისტი ნიჭიერია ან ოდნავ მაინც რეალურად და სწორად აზროვნებს.

პირდაპირ ვიტყვი ჩემს ეჭვსაც: დღეს საქართველოში „ჟურნალისტების რევოლუციის“ მცდელობაა, რადგან აქ გაცილებით დიდი როლი აქვთ დაკისრებული ჟურნალისტებსა და მედიას, ვიდრე ეს ჰქონდა 2003 წელს ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს „რუსთავი 2“-ს.

როგორც ჩანს, **სცენარიც სწორედ ამ ჟურნალისტების შექმნილია და „პატრონისთვის“ პირობაც აქვთ მიცემული — ქვეყანაში დიდ არეულობებს, შფოთს, მრავალრიცხოვან აქციებსა და მიტინგებს გამოვიწვევთო.**

სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქართულ ტელეეთერებში უკვე ხშირად ვხედავთ წყობიდან გამოსულ, გამწარებულ, ლამის ჭკუიდან გადასულ ჟურნალისტებს. ფაქტია, რომ მათი გათვლა აბსოლუტურად მცდარი გამოდგა, ისინი ვერ უსრულებენ „პატრონს“ იმას, რასაც შეჰპირდნენ და რაშიც, სავარაუდოდ, დიდძალი ფულიც აიღეს. „პატრონი“ კი, რა თქმა უნდა, ითხოვს.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „რუსთავი 2“-ის ყველა გადაცემის წამყვანი და თან გენერალური დირექტორი **ნიკა გვარამია** პირდაპირ ეთერში წყობიდან გამოვიდა და საქვეყნოდ გაჰყვიროდა: „მძღ...ში ვზივართო“. მოგვიანებით მას არც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი **ნიკა მელია** ჩამორჩა და ჟურნალისტ-რესპონდენტიანად, ორივემ „ყვე...ის“ თემაზე განაგრძეს საუბარი. ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, მაგრამ, ვინაიდან ამ ორმა ძალიან „კულტურულმა“ ახალგაზრდამ ზუსტად ამ სიტყვებით ისაუბრა, ალბათ, არასწორი იქნება, ჩვენ ისინი შედარებით კორექტული შესატყვისებით ჩავანაცვლოდ. დამეთანხმებით, უპრეცენდენტო შემთხვევაა და **ნიკა გვარამიამ სათავე დაუდო უხამს ტელელექსიკას მსოფლიოში.** კი, გინება და სხვა სახის უხამსობები ტელეეკრანიდან ადრეც გვსმენია, მაგრამ ეს არის ან ფილმში, ან რომელიმე რესპონდენტს წამოსცდება ხოლმე, ან ჩხუბისა და შეხლა-შემოხლისას გადაღებულ კადრებში გაიპარება. ტელეგადაცემის წამყვანს კი, მით უფრო ამავე ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, ასეთი სიტყვებით ესაუბროს ეთერში, არ მახსენდება. გვარამიას გააფთრება სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ იგი ვერ ამართლებს ავანსად გაცემულ დაპირებას: **„მომეცით დიდი ფული და ქვეყანაში სიტუაციას ავაფეთქებ!“**

დიახ, ალბათ, გეხსომებათ, არც ისე ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკა გვარამიას ეს მუქარა პირველად გაისმა, როდესაც მან ეთერში თქვა: **„ბიძინა ივანიშვილო და ოცნების ხელისუფლებავ, მე გპირდებით, რომ ჯოჯოხეთს მოგიწყობთ და სიტუაციას აგიფეთქებთ!“**

საწყის ეტაპზე, როდესაც საზოგადოების მოტყუებული ნაწილი გამოვიდა ქუჩაში უსამართლოდ დაჩაგრული შვილმოკლული მამის მხარდასაჭერად, გამოუვიდათ კიდეც ავანტიურისტ ჟურნალისტებს სიტუაციის „დამუხტვა“, თუმცა „აფეთქებამდე“ საქმე ვერ მივიდა და ამის მიზეზი რამდენიმე იყო: პირველ რიგში, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ **ხელისუფალთა დინჯი და სწორი ნაბიჯები — მირზა სუბელიანის** დაპატიმრებით დაწყებული, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნით დამთავრებული.

**ყველაზე მთავარი ფაქტორი, რატომაც „მუხტი“ არ გადაიზარდა „აფეთქებაში“, რა თქმა უნდა, ნაცების ფაქტორია.** ვერაფრით ვერ მოხერხდა და ვერც მოხერხდებოდა იმის დამალვა, რომ ამ აქციების უკან სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ დგას, რადგან, როგორც ჩანს, ისინი არ ელოდნენ გენერალური პროკურორის გადადგომას, სხვა დამთმობ ნაბიჯებს ხელისუფლებისგან და სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ ასეთ რეალობას. **ნაცებმა თავიანთი მმართველობისთვის დამახასიათებელ სიჯიუტეზე გათვალეს და ვერ წარმოიდგინეს, რომ მოქმედი ხელისუფლება გენერალურ პროკურორსა და თითქმის მთელ მთავრობას გაწირავდა...**

ამიტომ სრულიად არაადეკვატური შეიქნა მათი მოთხოვნები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან წასვლისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის თაობაზე. აკი, ეს მოთხოვნა უნდა ყოფილიყო იქიდან გამომდინარე, რომ „ქართული ოცნება“ არაფერს დათმობდა, შვილმოკლულ მამას არც ერთ მოთხოვნას არ შეუსრულებდა და ხალხსაც ფეხებზე დაიკიდებდა! აი, ამის გამო უნდა გაეხმაურებინათ რადიკალური მოთხოვნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისა. მათთვის მოულოდნელად, „ოცნებამ“ ნაცების სტილში არ იმოქმედა და საკმაოდ ბევრი რამე დათმო. ამ ფონზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მაინც ჯიუტად მოთხოვნამ, კეთლგონიერ საზოგადოებაში უკვე სერიოზული ეჭვი გააჩინა. **ყოველივე საბოლოოდ მიშა სააკაშვილის უცხოეთიდან ხშირმა ჩართვებმა დაადასტურა და „ასაფეთქებელი დენთიც“ დაიცალა, ანუ ქუჩა ხალხისგან გაიცალა... რაც შეეხება მცდელობას, რომ „ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერები ნაცებისდროინდელ ციხის კადრებს, პოლიციის მიერ ადამიანების მკვლელობის ფაქტებსა და ბიზნესის „ახევებს“ გაუტოლონ, სრულიად წარუმატებელი და უაზროა.** ჯერ ერთი — ციხის საშინელებებთან ეს გვარამიული აუდიოთამაშები ახლოსაც ვერ მივა თავისი სიმძიმით, მეორეც — ყოფილი **პროკურორი სუბელიანი, მართალია, საუბრობს რომ იგი ცემითა და დაშინებით სძალავდა ჩვენებას ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტებს, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ პერსონებს, რომლებიც ნაცების პერიოდში ძალადობრივ დანაშაულში იყვნენ ეჭვმიტანილნი.** სუბელიანის საუბარი მართალიც რომ იყოს და არა დადგმული, გამოდის, რომ ის სცემდა იმ ეჭვმიტანილებს, რომლებიც ნაცების ზეობის ხანაში თვითონ **აწამებდნენ პატიმრებს**, ანუ **ახალაიას, კოდუას, ქარდავას** დავალებების შემსრულებლებს. მართალია, ნებისმიერი ეჭვმიტანილის წამება გაუმართლებელია, მაგრამ საზოგადოების თვალში იმხელა აღშფოთებას რომ ვერ გამოიწვევს, როგორიც გამოიწვია სრულიად უდანაშაულო და უბრალო მოქალაქეების წამებამ, ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს. ასევეა საქმე **„ბიზნესის ახევის“** ბრალდების შემთხვევაშიც. ჯერ ერთი, ნაცების პერიოდში ბიზნესის უკანონოდ წართმევას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ასეთი დაზარალებული ბიზნესმენები ასობით იყვნენ, რომელთა დიდი ნაწილი უცხოეთში გარბოდა და იქიდან ტეხდა ხმაურს, ხოლო „ოცნებისგან დატერორებული“ მხოლოდ ორადორი კომპანია იპოვეს „ნაცჟურნალისტებმა“ – „ომეგა“ და „სვეტი“. ისიც ძალიან საეჭვო „სამხილებით“, თანაც ამ კომპანიებს სერიოზული ფინანსური დავალიანებები აქვს ბიუჯეტის. შეგვიძლია ვთქვათ, **რომ ამ ფარული ჩანაწერების მიხედვით, მათი ნამდვილობა რომც ვირწმუნოთ, „ოცნების“ სახელისუფლო ეშელონებთან დაახლოებული პირები ბიუჯეტის წინაშე დავალიანების მქონე ორიოდე ბიზნესმენს, უბრალოდ, სთავაზობენ თავიანთი გავლენების გამოყენებით ბიზნესის გადარჩენას, რაშიც ითხოვენ „წილში ჩაჯდომას“.** მართალია, ესეც უკანონობაა, მაგრამ, საზოგადოების გაღიზიანებისა და „ქუჩაში გამოვარდნის“ თვალსაზრისით, ეს ახლოსაც ვერ მივა იმ ასეულობით შემთხვევასთან, როდესაც ბიზნესებს „ახევდნენ“ სრულიად სუფთა ბუღალტერიის მქონე, ბიუჯეტთან პირნათელ და პატიოსან ბიზნესმენებს, თანაც არა „წილში ჩაჯდომით“, არამედ სრულიად, 100 პროცენტის ერთ ღამეში ნოტარიული გადაფორმებით.

სიმართლე ითქვას, ცოტა საეჭვოა ნაციონალების ასე გამოტვინება, რომ ამ უსუსური „სკანდალებით“ ცდილობენ რევოლუციის მოწყობას... უფრო მგონია, რომ აქ საქმე გვაქვს აფერასთან, რომელიც **ნიკა გვარამიამ, ელისო კილაძემ** და კიდევ რამდენიმე „მსხვილმა“ და თაღლითმა ჟურნალისტმა ჩაატარეს ნაცების შურისძიებით აღვსილი „ბელადებისთვის“ დიდი ფულის გამოცინცვლის მიზნით. ვფიქრობ, უკანასკნელი შტერიც მიხვდება, რომ თუნდაც აშკარავდებოდეს ამ ჩანაწერებით, ასევე სარალიძის საქმითა და „ომეგას“ საქმით გარკვეული უკანონობები სახელმწიფოში, ეს მაინც არ არის მმართველი ძალის ხელისუფლებიდან გაგდებისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნისთვის საკმარისი საფუძველი. საბოლოოდ კი, რა თქმა უნდა, „ოცნების“ პირდაპირი „დამსახურებაა“, რომ დღეს მწამებლები, მკვლელები, ბიზნესის რეკეტირები და ტოტალიტარული მმართველობის ტიპური წარმომადგენლები „ქართულ ოცნებას“ აქეთ უწოდებენ „მწამებლებს“, „მკვლელებს“, „ბიზნესის რეკეტირებსა“ და „ტოტალიტარულ მმართველ ძალას“.

ეს კოჰაბიტაციის სრულიად ლოგიკური შედეგია. ხოლო ტაქტიკა, რომ დააბრალოს მოწინააღმდეგეს ყველა ის სიბინძურე და უკანონობა, რომელსაც თვითონ სჩადიოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ აპრობირებული მეთოდია ხალხის მოსატყუებლად და ხელისუფლების ხელში რევოლუციური გზით ჩასაგდებად...

ერთია მხოლოდ — დღეს 2003 წელი აღარ არის, არც საზოგადოებაა ისეთი მოუმზადებელი და გულუბრყვილო, რომ ყველა ტყუილი დაიჯეროს და აღარც „რუსთავი 2“-ს აქვს ისეთი „პირუთვნელი“ და „მიუკერძოებელი“ იმიჯი, როგორიც „ვარდების რევილუციის“ დროს ჰქონდა. მით უფრო, რომ **ისეთი ტუტუცი, უზრდელი, შეურაცხადი და სამარცხვინოდ არასერიოზული გენერალური დირექტორი, რომელსაც, ჭკუადამჯდარი და მოაზროვნე კი არა, ორკლასდამთავრებული ცანცარა მოსწავლეც კი ვერ აღიქვამს სერიოზულ პერსონად, არათუ „რუსთავი 2“-ს, არამედ მსოფლიოს არც ერთ ასე თუ ისე თავმოყვარე ტელევიზიას არასოდეს ჰყოლია.**

**რუსოფობიით გაჟღენთილი ასო-ების წარმომადგენლები, ახალგამოჩეკილი „თეოლოგები“ თუ „ექსპერტები“ იმპერატიული ტონით საუბრობენ იმაზე, რომ ამ საქმეში საქართველოს ეკლესიამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) გავლენის აგენტ, ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსსა და უკრაინის „რასკოლნიკებს“ უნდა დაუჭიროს მხარი და არა რუსეთის უძლიერეს, უმდიდრეს და უდიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის წმინდა სინოდი 15 ოქტომბერს მინსკში შეიკრიბა და გამოიტანა განჩინება, რომლის ძალითაც მოსკოვის პატრიარქატი ყოველგვარ ევქარისტულ კავშირს წყვეტს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან.**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალების მეხუთე კოლონა საქართველოში

**ინგა გრიგოლიას ამასწინანდელ გადაცემა „რეაქციაში“, რომელიც ზაზა ოქუაშვილისა და მისი კნეინა ნატო ჩხეიძის ცნობილი თემისადმი იყო მიძღვნილი, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ჩაერთო და უკვე ყოფილ თანაგუნდელებზე საუბრისას გადაცემის წამყვანს შეახსენა, რომ „ომეგა-ჯგუფის“ დამფუძნებლის მიერ ჩაწერილი აუდიომასალის გასაჯაროება „რუსთავი 2“-მა დაიწყო. ამაზე ქართული ტელესივრცის მარად „პრიმადონამ“ და „ობიექტურობის“ ეტალონმა ინგა გრიგოლიამ „პატრიოტთა ალიანსის“ გენმდივანი „პროფესიონალურად“ დაამუნათა: — შენთვის რა არის მთავარი — ზაზა ოქუაშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალი თუ ის, რომელმა ტელევიზიამ დაიწყო საერთაშორისო მასშტაბით „გასკანდალება“?..**

ირმა ინაშვილის დამცველად ვერ გამოვდგები, მაგრამ, რომ იტყვიან, სიმართლეს გაუმარჯოსო, ჰაი, გიდი, დიახაც, მთავარი სწორედ ის არის, რომ რატომღაც (თუ რატომ „რატომღაც“, ამაზე ქვემოთ) მაინცდამაინც „რუსთავი 2“-მა დაიწყო ერთუჯრედიანი ოქუაშვილის „დაჩაგვრის“ გლობალური მასშტაბის სკანდალად შეფუთვა. პროცესი, რომლის დროსაც, როგორც ყოველთვის, ტელეკომპანიად წოდებული სპეცსამსახური, ობიექტურ მაუწყებლად კი არა, დაინტერესებულ მხარედ მოგვევლინა. წინამდებარე წერილის შექმნაც ამან განაპირობა და არა მხოლოდ „რუსთავი 2“-ის მიმართ, არამედ, საზოგადოდ, იმ ინსტიტუტების მიმართაც, რომლებიც, დიდი ხანია, აშკარად თუ ფარულად ებრძვიან ყოველივე ეროვნულს, მართლმადიდებლურს, ტრადიციულს და ა.შ., მოკლედ, ყველაფერ იმას, რითაც ქართველი საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ეროვნული „მეს“ იდენტიფიკაციას ახდენდა.

**ე.წ. ნაციონალური ტელევიზიები, არასამთავრობო ორგანიზაციები (ქვემოთ, სადაც დამჭირდება ამ უხსენებლების ხსენება, მარტივად ასო-ს დავწერ), სახალხო დამცველი, აშშ-ის საელჩო, ორად გახლეჩილი ნაცები, „ქართული ოცნების“ ლიბერასტული ნაწილი** (მდინარაძეები, თალაკვაძეები, ჩუგოშვილები და ა.შ.), **თუმცა რაღა ნაწილი, როდესაც ისინი, სამწუხაროდ, უმრავლესობაში არიან აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში**... ზემონახსენები ინსტიტუტები, ყველანი ერთად და ცალცალკე, იმ ქართველთმოძულე ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილები არიან, რომელსაც საქართველოში მოქმედი აშშ-დასავლეთ ევროპის მმართველი აგრესიული ნეოლიბერალების მეხუთე კოლონა ჰქვია. საზოგადოებას შევახსენებ, რომ ე.წ. ვარდების რევოლუცია დიდწილად „რუსთავი 2“-ის „შემოქმედებაა“ — 2003 წლის 22-23 ნოემბრის მოვლენებს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „რევოლუცია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში“. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ — მცირე ხნით ეს საამაყო თიკუნიც შეიფერეს „დამოუკიდებელი ტელევიზიის“ კომუფლაჟში გახვეულმა სპეცსამსახურის თანამშრომლებმა, მაგრამ სულ მალე, როგორც აღმოჩნდა, „ვარდების რევოლუციით“ გაწბილებულმა ქართველმა ხალხმა „რუსთავი 2“ საკუთარ ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიად მონათლა. ამ სახელს, ლამის 20 წელიწადია, დამსახურებულად ატარებს საქართველოში მეხუთე კოლონის ერთ-ერთი ფლაგმანი „რუსთავი 2“.

**9 წლის განმავლობაში სწორედ „რუსთავი 2“ ცდილობდა, გვეცხოვრა „დემოკრატიის შუქურის“ ილუზიაში; სწორედ მისი ჟურნალისტებად წოდებული მეხუთე კოლონის წარმომადგენლები „ვერ ხედავდნენ“ ქართველი ხალხის მიმართ დემოკრატიის სახელით განხორციელებულ რეპრესიებს და, აქედან გამომდინარე, ეს „ტელეკომპანია“ ისევეა (იქნებ უფრო მეტადაც?) პასუხისმგებელი ქუჩაში ასობით ჩაცხრილულ ახალგაზრდაზე, ათასობით პატიმრის წამება-გაუპატიურებაზე, როგორც ამ საშინელებების ჩამდენი, ბნედიანი სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი.**

სტატიის დასაწყისში „რუსთავი 2“-ის მიმართ სიტყვა „რატომღაც“ გამოვიყენე. რაც, სულ ცოტა, უადგილოა, რადგან, უახლეს ისტორიაში ზემოყვანილი მცირე ექსკურსიდან გამომდინარე, ეს „ტელევიზია“ რატომღაც ისე რომ არ იქცეოდეს, როგორც იქცევა, ეს იქნებოდა გასაკვირი.

იმ ადამიანებს, რომლებსაც ბედნიერება გვქონდა, საბჭოთა საქართველოში გვეცხოვრა, გვახსოვს კომუნისტების ლოზუნგი: „ვამბობთ პარტიას — ვგულისხმობთ ლენინს, ვამბობთ ლენინს — ვგულისხმობთ პარტიას!“ თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა დღეს, ოღონდ საბჭოთა ლოზუნგის მცირე პერიფრაზით: **ვამბობთ „რუსთავი 2“-ს — ვგულისხმობთ მიშას, ვამბობთ მიშას — ვგულისხმობთ „რუსთავი 2“-ს.**

თითქმის ანალოგიური-მეთქი, რადგან ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავებაა იმ დროსა და ამ დროს შორის — თუ კომუნისტური ლოზუნგის სტრიქონებს შორის საქართველოსა და ქართველების კეთილდღეობა იკითხებოდა, „რუსთავი 2“-მიშას ლოზუნგი ყოველგვარი ეროვნულის, მართლმადიდებლობის ამოგდებას ნიშნავს.

**„რუსთავი 2“-ნაცების პოლიტიკურ-რევანშისტულმა ტანდემმა განსაკუთრებით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აიშვა თავი, რადგან ბიძინა ივანიშვილმა (ისევე, როგორც 2012 წლის არჩევნებზე) 4 წლის შემდეგაც უზრუნველყო მათი სოლიდური რაოდენობით შესვლა პარლამენტში და ისინიც ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავიდნენ.**

ამ შეტევის დაწყების მაუწყებელი პირველი მერცხალი „დაჩაგრული“ „რუსთავი 2“-ის დასაცავად აგორებული აქციები იყო, როცა მოხდა მანამდე უპრეცედენტო რამ — მაშინ, როდესაც უბრალო მოკვდავ-



**9 წლის განმავლობაში სწორედ „რუსთავი 2“ ცდილობდა, გვეცხოვრა „დემოკრატიის შუქურის“ ილუზიაში; სწორედ მისი ჟურნალისტებად წოდებული მეხუთე კოლონის წარმომადგენლები „ვერ ხედავდნენ“ ქართველი ხალხის მიმართ დემოკრატიის სახელით განხორციელებულ რეპრესიებს და, აქედან გამომდინარე, ეს „ტელეკომპანია“ ისევეა (იქნებ უფრო მეტადაც?!) პასუხისმგებელი ქუჩაში მრავალი ადამიანის ჩაცხრილვაზე, ათასობით პატიმრის წამება-გაუპატიურებაზე, როგორც ამ საშინელებათა ჩამდენი — ბნედიანი სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი**

ნი წლობით ელოდებიან ევროპის სასამართლოში საქმის წარმოებაში მიღებას, სტრასბურგის სასამართლომ რამდენიმე დღეში წარმოებაში მიიღო „რუსთავი 2“-ის საჩივარი და ვერდიქტიც გამოიტანა — ხატოვნად თუ ვიტყვით: „ხელები შორს „რუსთავი 2“-ისგანო“, რაც ქოცების ფარჩაკმა ხელისუფლებამ უსიტყვოდ აღასრულა ისე, რომ არც გახსენებია თავისი ბაქიბუქი: ამ ტელევიზიას ნამდვილ მფლობელს, **ქიბარ ხალვაშს,** დავუბრუნებო.

შემდეგ იყო ე.წ. ციანიდის საქმე, რომელიც, რა თქმა უნდა, პირველმა „რუსთავი 2“-მა გაახმაურა, რადგან ამ ჩახლართულ საქმეში მთავარმა ბრალდებულმა მამა **გიორგი მამალაძემ** „რატომღაც“ წერილობითი „აღსარება“ მხოლოდ „რუსთავი 2“-ს გაუგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, ამ „აღსარების“ კომენტირება-განმარტებებისთვის მეუფე **პეტრე ცაავა** (იგივე, მეუფე ყანდური) მიიწვია, რომელიც პირდაპირ ეთერში დროში შეუზღუდავად ქართველ საზოგადოებას „უდანაშაულო“ მღვდელს გვაცოდებდა და პარალელურად საქართველოდ დედაეკლესიისა და პირადად მისი უწმინდესობის, კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა. ამ ქმედებას, სხვათა შორის, დღემდე განაგრძობს „რუსთავი 2“-ის ლამის შტატიანი რესპონდენტი, ჭყონდიდის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე, ჩვენ მიერ ყანდურად შერაცხილი.

შემდეგ — **კლუბ „ბასიანთან“ დაკავშირებული მოვლენები, 2-3 დღის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტი დაკავებული რომ ჰქონდათ ნარკომანებს, ბარიგებს, ლგბტ-პედერასტებს, მეძავებსა და მათ მხარდამჭერ „პრადვინუტ“ მწერლებს, პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს და ა.შ., რომელთა საპროტესტო აქციებს ლამის 24-საათიან რეჟიმში გადაცემდა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“.**

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა?

**ვინმეს სჯერა, რომ ტელევიზიად წოდებულ სპეცსამსახურს**, რომელიც დუმდა **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის მკვლელობებზე, 26 მაისზე, 7 ნოემბერზე ან კიდევ უარესი — თუ ხმას იღებდა, მხოლოდ ამ დანაშაულების „გასაპრავებლად“, მართლა შესტკიოდა გული ბიჭების დაღუპვაზე?**

ზემოთ, მეხუთე კოლონა-მეთქი და, „რუსთავი 2“-ის გარდა, მის სხვა შემადგენლებზე ჯერ არაფერი გვითქვამს, არა იმიტომ, რომ დაგვავიწყდა, არამედ იმიტომ, რომ ტელევიზიად წოდებული სპეცსამსახური უდავო ლიდერია მეხუთე კოლონისა, ხოლო მისი იდეური ფილიალებია ტვ-პირველი თუ „იბერია“.

**რაც შეეხება ასო-ებს, ე.წ. სახალხო დამცველის ინსტიტუტს, ესენი — ლგბტ პირებით დაწყებული, მეძავებით, ნარკობარიგებით გაგრძელებული და მოძალებული მიგრანტებით დამთავრებული — ყველას და ყველაფერს იცავენ, ქართველი ერის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების გარდა. ე.წ. ოჯახური ძალადობის თითიდან გამოწოვილი თემით შენიღბულები, პრაქტიკულად, ტრადიციული ქართული ოჯახის ინსტიტუტს ებრძვიან. ე.წ. სახალხო დამცველი იქამდეც კი გათავხედდა, რომ საუკუნეებგამოვლილი ფასეულობა, ტერმინი „ოჯახის უფროსი“ ქალთა დისკრიმინაციად გამოგვიცხადა.** მეტიც — ეს ორგანიზაციები დღედაღამ ღნავიან, რომ ეკლესია არ უნდა ერეოდეს სახელმწიფო საქმეებში, თუმცა თვითონ უზოდიშოდ ერევიან ეკლესიის საქმეებში. კერძოდ, უკრაინისთვის მსოფლიო პატრიარქის მიერ ავტოკეფალიის მინიჭების საქმეში. **რუსოფობიით გაჟღენთილი ასო-ების წარმომადგენლები, ახალგამოჩეკილი „თეოლოგები“ თუ „ექსპერტები“ იმპერატიული ტონით საუბრობენ იმაზე, რომ ამ საქმეში საქართველოს ეკლესიამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) გავლენის აგენტ, ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსსა და უკრაინის „რასკოლნიკებს“ უნდა დაუჭიროს მხარი და არა რუსეთის უძლიერეს, უმდიდრესსა და უდიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის წმინდა სინოდი 15 ოქტომბერს მინსკში შეიკრიბა და გამოიტანა განჩინება, რომლის ძალითაც მოსკოვის პატრიარქატი ყოველგვარ ევქარისტულ კავშირს წყვეტს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან.**

ამ ყველაფერს, სავარაუდოდ, მძიმე შედეგები მოჰყვება, პირველ რიგში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და პირადად ბართოლომეოსისთვის, რადგან ავტოკეფალური ეკლესიების უმრავლესობა (მათი რიცხვი 15-ია), დიდი ალბათობით, მოსკოვის საპატრიარქოს დაუჭერს მხარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბართოლომეოსი და კონსტანტინოპოლი იმ ვირტუალურ პირველობასაც დაკარგავენ, რომელსაც დღემდე ფლობდნენ და **რუსეთი, რომელიც კონსტანტინოპოლის სტამბოლად გადაქცევის შემდეგ მსოფლიო მართლმადიდებლობის უპირობო ლიდერი და უპირველესი დამცველია, მესამე რომის სტატუსს ოფიციალურად გაიფორმებს.**

ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, რომ **კრემლთან ასოცირებული პოლიტოლოგები თუ ჟურნალისტები, რომ იტყვიან, ღია ტექსტით საუბრობენ, რომ, თუ „რასკოლნიკები“ მოსკოვის საპატრიარქოს კუთვნილი ტაძრების დაუფლებას შეეცდებიან (რაც უეჭველად მოხდება), კრემლმა უკრაინაში მცხოვრები მოსკოვის საპატრიარქოს მრევლი უნდა დაიცვას თვით რუსეთის რეგულარული არმიის გამოყენებითაც კი.**

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, კრემლთან ასოცირებული პოლიტოლოგები თუ ჟურნალისტები ხშირად იმას ასაჯაროვებენ ხოლმე, რაზეც რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში მსჯელობენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ამ თემაზე ამას წინათ რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** მეთაურობით. ათასჯერ თქმულს, ათასმეერთედ გავიმეორებ — **სულ ცოტა, 10-15 წელიწადია, რაც მიმდინარეობს მსოფლიო ნეოლიბერალების შეტევა იმ ქვეყნებზე, რომლებმაც ფსევდო-ლიბერალური ფასეულობები არ მიიღეს და შესაბამისად, ტრადიციული ფასეულობების ერთგულები დარჩნენ.** შეიძლება რუსეთი არ გიყვარდეს, მაგრამ იმის აღიარება არ უნდა გიჭირდეს, რომ ტრადიციული ფასეულობების დამცველად მსოფლიოში, უპირველესად, ეს მართლმადიდებელი სახელმწიფო განიხილება და **ის, რაც სირიაში თუ უკრაინაში ხდება, გნებავთ, გაუთავებელი ეკონომიკური სანქციები, სხვა არაფერი იყო აშშ-ის მიერ რუსეთისთვის, მართლმადიდებლობისთვის გამოუცხადებელი ომის გარდა. ხოლო აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ მართული ე.წ. მსოფლიო პატრიარქის მიერ უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის“ აშკარად პოლიტიკური მოტივაციით ავტოკეფალიის მიცემის მცდელობა ომის გამოცხადების ტოლფასია.**

ამ ომში ქოც-ნაცების ხელისუფლება, რომელიც მეხუთე კოლონაა საქართველოში, ვის მხარეს იდგა და იდგება, გასაგებია, მაგრამ საკითხავი ის არის, ვისთან იქნება 21-ე საუკუნის დიდი სქიზმის შედეგად ორად გახლეჩილ მართლმადიდებელ სამყაროში საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია — ბართოლომეოსის მიმდევარ ლიბერასტებთან თუ კონსერვატორ მოსკოვის საპატრიარქოსთან, ანუ იგივე რუსეთთან? რუსეთთან, ვისთანაც პოლიტიკური დიალოგის დასაწყებად, როგორც ჩანს, ერთმორწმუნეობის გარდა, სხვა საფუძველი, სამწუხაროდ, აღარ გაგვაჩნია...

**დავით მხეიძე**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თითოეულ ავტოკეფალურ ეკლესიას შეუძლია ავტონომიური სტატუსის მინიჭება მხოლოდ იმ ეკლესიისთვის, რომელიც მისი კანონიკური გეოგრაფიული ოლქის ფარგლებში მდებარეობს“. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ახლახან მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უკრაინა სწორედ მისი კონტროლის ზონაში შევიდა. ბართოლომეოს პირველი შეიძლება განიხილავდეს გადაწყვეტილებას ავტონომიის და არა ავტოკეფალიის შესახებ, როგორც კომპრომისულ ვარიანტს, რომელიც, ერთი მხრივ, მკვეთრად გააფართოებს მის გავლენას და, მეორე მხრივ, არ მიიყვანს კონფლიქტს მოსკოვთან სრულმასშტაბიან განხეთქილებამდე“.**

# უკრაინული ავტოკეფალია: განხეთქილება ახლოვდება

**გასულ კვირას ბოლო საუკუნეების ისტორიაში მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიზისი დაიწყო მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდმა უკრაინასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც რუსეთში უმწვავესი რეაქცია გამოიწვია. რა შეიძლება მოუტანოს ამ კონფლიქტმა უკრაინას, რუსეთს, საქართველოსა და მართლმადიდებლური სამყაროს სხვა ქვეყნებს?**

მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქოს სინოდმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ „ადასტურებს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე“. მან, აგრეთვე, გააუქმა რუსეთის ეკლესიის ყველა ანათემა და აკრძალვა, რომლებიც უკრაინას ეხებოდა, კერძოდ, აღუდგინა ყველა უფლება და წოდება **ფილარეტ დენისენკოს**, რომელსაც რუსეთის ეკლესია განხეთქილების მთავარ ორგანიზატორსა და კიევის საპატრიარქოს თვითგამოცხადებულ ლიდერს უწოდებს. იგივე ეხება რუსეთის ეკლესიისთვის მიუღებელი რელიგიური სტრუქტურის „უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“ კიდევ ერთ ლიდერს — **მაკარ მალეტიჩს.**

კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ გააუქმა 1686 წლის განჩინებაც, რომლითაც აღიარა მოსკოვის საპატრიარქოს უფლება, კიევის მიტროპოლიტი დანიშნოს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინაში მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის სტავროპიგიის (საეკლესიო წარმომადგენლობის) უსწრაფესი გახსნის შესახებ. ის გარდამავალ ეტაპზე უკრაინის ეკლესიის მართვის მთავარ ინსტრუმენტად მოიაზრება.

**არავინ იცის, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გარდამავალი პერიოდი. კონსტანტინოპოლს არ შეუძლია დაუყვნებლივ აღიაროს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია, რადგან ამ ეტაპზე ერთიანი უკრაინული ეკლესია არ არსებობს. შესაბამისად, უნდა გაიმართოს გამაერთიანებელი საეკლესიო კრება. ფილარეტ დენისენკო ვარაუდობს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება, მაგრამ არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც პროცესი შეიძლება შეაფერხოს. ესენია, უპირველესად, კონკურენცია უკრაინელ იერარქებს შორის, ამასთანავე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სურვილი — არ მიიყვანოს საქმე რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობის სრულ გაწყვეტამდე.**

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის საპატრიარქო არ აღიარებდა დენისენკოსა და მალეტიჩის საეკლესიო ორგანიზაციებს, ისინი მაინც „დე ფაქტო“ აკონტროლებდნენ დიდი რაოდენობის მრევლს. დღეს სიტუაცია შეიცვალა — კონტროლი კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელში გადავიდა. ძნელი სათქმელია, დაუბრუნებს თუ არა მყისიერად პატრიარქი ბართოლომეოსი მართვის სადავეებს ადგილობრივ იერარქებს, მითუმეტეს, რომ გარემოებები შესაძლებლობას აძლევს, გარდამავალი პერიოდი თითქმის უსასრულოდ გაწელოს.

ფილარეტ დენისენკოს აზრით, „გამაერთიანებელ“ კრილობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მისი საპატრიარქოს 41-მა დელეგატმა, მალეტიჩის „ავტოკეფალური ეკლესიის“ 12-მა და მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიის 10-მა წარმომადგენელმა. ამ უკანასკნელთა მონაწილეობა საეჭვოა. ავტოკეფალიის ისეთი მომხრე, როგორიცაა ჩერკასისისა და კანევის მიტროპოლიტი **სოფრონიუსი**, აცხადებს, რომ „ფილარეტთან ერთ ეკლესიაში არ შევა“. ავტოკეფალიის კიდევ ერთი მომხრე მიტროპოლიტი ალექსანდრე აცხადებს, რომ დარწმუნებული არაა, უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა კრებაში, სადაც კანონიკური ეკლესიის წარმომადგენლები უმცირესობაში იქნებიან.

საინტერესოა, რომ ფილარეტი კიევის მიტროპოლიტი ჯერ კიდევ 1966 წელს გახდა. 1990 წელს სურდა რუსეთის პატრიარქობა, მაგრამ ეპისკოპოსებმა ალექსი მეორე აირჩიეს. 1992-ში მოსკოვის საპატრიარქომ ის მიტროპოლიტის პოსტს ჩამოაცილა. რუსეთში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფილარეტი ავტოკეფალიის ბაირახტარი გახდა. მან არ აღიარა რუსეთში მიღებული გადაწყვეტილება და 1992 წელს თავი პატრიარქად გამოაცხადა. იმ გავლენის გამო, რომელსაც ის კიევში ათწლეულების განმავლობაში ფლობდა, მის წამოწყებაში მონაწილეობა ბევრმა მღვდელმსახურმა და მრევლის წარმომადგენელმა მიიღო. საწყის ეტაპზე დიდი დახმარება მას უკრაინის პრეზიდენტმა **ლეონიდ კრავჩუკმა** გაუწია. რაც შეეხება მეორე (მალეტიჩის) სტრუქტურას, მას გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის 1917-ში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, შეიქმნა; საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო და ლეგალურ სივრცეში მხოლოდ 90-იანებში ამოქმედდა.

საინტერესოა, რომ 2016 წელს, კრეტის საეკლესიო კრებაზე ავტოკეფალიის საკითხზე არ უმსჯელიათ, სამაგიეროდ დეტალურად განიხილეს ავტონომიის საკითხი და შემდეგი დადგენილება მიიღეს: **„თითოეულ ავტოკეფალურ ეკლესიას შეუძლია ავტონომიური სტატუსის მინიჭება მხოლოდ იმ ეკლესიისთვის, რომელიც მისი კანონიკური გეოგრაფიული ოლქის ფარგლებში მდებარეობს“. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ახლახან მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უკრაინა სწორედ მისი კონტროლის ზონაში შევიდა. ბართოლომეოს პირველი შეიძლება განიხილავდეს გადაწყვეტილებას ავტონომიის და არა ავტოკეფალიის შესახებ, როგორც კომპრომისულ ვარიანტს, რომელიც, ერთი მხრივ, მკვეთრად გააფართოებს მის გავლენას და, მეორე მხრივ, არ მიიყვანს კონფლიქტს მოსკოვთან სრულმასშტაბიან განხეთქილებამდე. ამგვარად, მოლოდინები ავტოკეფალიასთან დაკავშირებით შეიძლება ზედმეტად ოპტიმისტური აღმოჩნდეს.**



**კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ გააუქმა 1686 წლის განჩინებაც, რომლითაც აღიარა მოსკოვის საპატრიარქოს უფლება, კიევის მიტროპოლიტი დანიშნოს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინაში მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის სტავროპიგიის (საეკლესიო წარმომადგენლობის) უსწრაფესი გახსნის შესახებ. ის გარდამავალ ეტაპზე უკრაინის ეკლესიის მართვის მთავარ ინსტრუმენტად მოიაზრება**

არის ერთი ქვეყანა, რომელშიც მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტრუქტურები მშვიდობიანად თანაარსებობენ. ეს არის ესტონეთი. უკრაინაში კი, მისი მასშტაბისა და კონფლიქტის სიმწვავის გათვალისწინებით, კომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელი ჩანს.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ **კირილეს** პრესმდივანმა, მღვდელმა **ალექსანდრე ვოლკოვმა** მიღებულ გადაწყვეტილებებს „კატასტროფული“ უწოდა და დასძინა, რომ ის „განხეთქილების ლეგალიზაციას“ ახდენს: „ეს მიაყენებს კატასტროფულ ზიანს მილიონობით მართლმადიდებელ მორწმუნეს უკრაინაში, იმიტომ, რომ ახლა რაღაც საშინელება დაიწყება“.

მოსკოვში მკვეთრად გააკრიტიკეს უკრაინელ იერარქებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებაც. რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ ლეგოიდამ თქვა, რომ „კონსტანტინოპოლმა უპრეცედენტო ანტიკანონიკური ქმედება ჩაიდინა“, როდესაც ურთიერთობაში შევიდა იმ უკრაინელ მღვდელმთავრებთან, რომლებიც რუსულმა ეკლესიამ განკვეთა. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინაში სტავროპიგიის შექმნას, რუსეთის საპატრიარქოს კიდევ ერთი წარმომადგენლის ნიკოლაი ბალაშოვის თქმით, „ეს მართლმადიდებლური კანონიკური წყობის საფუძვლების განადგურების მცდელობაა“.

**მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში ბართოლომეოს პირველის ანათემაზე გადაცემის შესაძლებლობაც კი არ გამორიცხეს. „ისინი, კონსტანტინოპოლის პატრიარქები, ერესში არაერთგზის ჩავარდნილან. პატრიარქს უცოდველობის სტატუსი არ აქვს“, — განაცხადა ამ ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვასილი ანისიმოვმა.**

სამაგიეროდ, ფილარეტ დენისენკოსთან ერთად, სიხარულს ვერ მალავდა უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო**. „გადაწყვეტილება ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ უკვე მიღებულია. ეს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფოებრიობის, მსოფლიო გეოპოლიტიკის საკითხია. ეს არის მესამე რომის, როგორც მსოფლიო ბატონობაზე მოსკოვის უძველესი კონცეპტუალური განაცხადის, დაცემა“.

თუმცა მესამე რომის დამხობამდე პოროშენკოს საპრეზიდენტო არჩევნები აქვს მოსაგები, რომელიც გაისად 31 მარტს გაიმართება. რეიტინგებში ჯერ-ჯერობით იულია ტიმოშენკო ლიდერობს. მიხეილ დრაგომანოვის სახელობის სოციოლოგიური ცენტრის მონაცემების თანახმად, მისთვის ხმის მიცემას გამოკითხულთა 15,7% აპირებს, პოროშენკოსთვის კი — 12,3%. სხვა სოციოლოგიური სამსახურების ციფრები ოდნავ განსხვავებულია, თუმცა პოროშენკოს ჩამორჩენა ყველგან ჩანს. ომი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ნეგატიურად მოქმედებს პოროშენკოს მეორე ვადით არჩევის პერსპექტივაზე. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, უკრაინა ევროპის ყველაზე ღარიბი სახელმწიფო გახდა, 2017-ში მას ყოფილმა აუტსაიდერმა მოლდოვამ გაუსწრო, ამიტომ პოროშენკო ძალზე აქტიურად იყენებს ავტოკეფალიის თემას, რომელმაც, თეორიულად, შეიძლება მისი რეიტინგი გაზარდოს.**

დაპირისპირება ავტოკეფალიის გარშემო მხოლოდ საეკლესიო სამართლის ნიუანსებს როდი ეხება, არამედ უამრავ საეკლესიო შენობას, მათ შორის ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორიცაა კიევ-პეჩორის ლავრა — დღეს მათ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია აკონტროლებს, თუმცა თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ უკრაინელი მღვდელმთავრები, რომლებიც გასულ კვირას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადავიდნენ, შეეცდებიან, მათ დაეუფლონ. ეს კი, დიდი ალბათობით, მრევლის დაპირისპირებას და, შესაძლოა, სერიოზულ შეტაკებებს გამოიწვევს.

კრემლმა მოსალოდნელი ესკალაციის თაობაზე საკმაოდ ხისტი კომენტარი გააკეთა. **„თუ განვითარებული მოვლენები მართლსაწინააღმდეგო კალაპოტში გადავა, რა თქმა უნდა, რუსეთი დაიცავს მართლმადიდებლების ინტერესებს ისე, როგორც ის რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესებს იცავს“**, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა**. ვლადიმერ პუტინმა ამ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს სხდომა გამართა.

**ფონდ „დემოკრატიული ინიციატივის“ მონაცემებით, ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნას გამოკითხული უკრაინელების 31% ემხრობა, 20% კი წინააღმდეგია, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან მრევლში, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება, სიტუაცია განსხვავებულია — ავტოკეფალიას მხარს უჭერს 23%, 40% კი მისი წინააღმდეგია. ამჟამად ამ სტრუქტურას უკრაინაში 11 392 ტაძარი ექვემდებარება, კიევის საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესიას (დენისენკო), რომელიც ახლახან კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში გადავიდა, — 3784, ხოლო მალეტიჩის სტრუქტურას — 868. საინტერესოა, რომ სოციოლოგების მიერ გამოკითხულთა 23,4% არ ან ვერ აზუსტებს, რომელ ეკლესიას ეკუთვნის, და აცხადებს, რომ „უბრალოდ მართლმადიდებელია“. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ბოლო გადაწყვეტილებას, დიდი ალბათობით, განხეთქილება და სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვება, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით მილიონობით ადამიანი ჩაერთვება.**

**ლუკა ნემსაძე**

**„თუკი ბართოლომეოსს მხარი აუბეს სხვა ადგილობრივმა ეკლესიებმაც, წარმოუდგენელი მასშტაბის განხეთქილებას ვიხილავთ მართლმადიდებელ სამყაროში. აი, ამიტომაა საჭირო ჩვენს ეკლესიაში არსებული საღი ძალების დიდი სიფრთხილე და პრინციპულობა, თორემ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს“.**

ჩაკურსი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ფილარეტის ტესტი» და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**მსოფლიო პატრიარქად წოდებულმა ბართოლომეოსმა, რომელმაც სამარცხვინო ქმედებებით უკვე მოახერხა მართლმადიდებელ სამყაროში შფოთის შეტანა, ამჯერად თვითმარქვია ფილარეტს ანათემით დაწესებული გარკვეული შეზღუდვები მოუხსნა და ეკლესიიდან განკვეთილებთან და მათ მიმდევრებთან კანონიკური ურთიერთობა აღადგინა. ამით მან კიევში ერთპიროვნული მმართველობის განმტკიცება დაიწყო და უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკური სივრცის ოკუპირებას ლამობს... საით მიჰყავს ბართოლომეოსის ამ ქმედებებს მართლმადიდებელი სამყარო და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ მომავალში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**



ლევან ჩაჩუა:

## მსოფლიო პატრიარქის ასეთი ქმედებები რუსეთსა და უკრაინას შორის ახალ სისხლისღვრას გამოიწვევს

**— ბატონო ლევან, მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა უკრაინელ ფილარეტს ანათემა მოხსნა და განხეთქილების შემტანი მეთაურები ეკლესიის წიაღში დააბრუნა. რას ნიშნავს ეს მართლმადიდებელი სამყაროსთვის და რა შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლისთვის, ეს არის ეკლესიის ერთობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ პატრიარქი ბართოლომეოსი არ არის რომის პაპი და მას არ აქვს უფლება ასეთი თვითნებობის, ისევე, როგორც სხვა არცერთი ადგილობრივი ეკლესიის იერარქს. თუმცა, სამწუხაროდ, უკრაინაში კანონიკური ნორმების უხეში დარღვევით უკვე მოახდინეს ისეთი რამ, რამაც შესაძლოა ძალიან ცუდი, მე ვიტყოდი, სახიფათო პრეცენდენტის ფორმა შეიძინოს მართლმადიდებელ სამყაროში.

**ფილარეტს** რაც შეეხება, სჯულის კანონის მიხედვით, ადგილობრივი ეკლესიის მიერ დადებული ანათემის მოხსნა შეუძლია მხოლოდ ამ ეკლესიას და სხვას ამაში ჩარევის უფლება არ აქვს. კიდევ ვიმეორებ: მართლმადიდებლობა არ არის პაპიზმი, რომ ვინმემ ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ერთია, როცა საუბარია საეკლესიო კანონებზე და მეორე — როცა საუბარია პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია ორი დიდი მართლმადიდებელი სამყაროს — ბერძნულენოვანისა და რუსულენოვანის — გადაკიდებისკენ, ანუ **მათ უკვე მოახერხეს ორი მოძმე ერის, რუსებისა და უკრაინელების, გადაკიდება, დღეს კი შუღლს აღვივებენ ბერძნულენოვან და რუსულენოვან სამყაროს შორის, რაც თავისთავად დიდი დარტყმაა, როგორც ამ ქვეყნების ეკლესიებისთვის, ისე, საერთოდ, მართლმადიდებლობისთვის მსოფლიოში.**

**— მიუხედავად იმისა, რომ ბართოლომეოსის ქმედებები კანონიკურ ნორმებს უხეშად არღვევს, ჯერჯერობით ვერც ერთი ადგილობრივი ეკლესია საჯაროდ ვერ ბედავს მისგან გამიჯვნას. რითი შეიძლება ეს აიხსნას?**

— ძალიან საფრთხილო თემაა. ერთია მოვლენის შეფასება, მაგრამ ნაადრევი დასკვნის გამოტანას, ბუნებრივია, ყველა ერიდება. გარდა ამისა, **მსოფლიო საპატრიარქოს უკან დგანან ის გავლენიანი დასავლური ძალები, რომლებსაც სერიოზული ზემოქმედება შეუძლიათ სახელმწიფოებრივ დონეზე.** ვფიქრობ, საბოლოოდ მართლმადიდებელი სამყარო შეინარჩუნებს ერთობას და საეკლესიო სამართლის, სჯულის კანონების მიხედვით დაგმობს ამ თვითნებობას, ნაკლებად გაითვალისწინებს პოლიტიკურ კონიუნქტურას და პატრიარქ ბართოლომეოსის „მსოფლიო პატრიარქის ტიტულს, რომელსაც ასე უმართებულოდ იყენებს კონსტანტინოპოლის, რეალობაში სტამბოლის, პატრიარქი...

**— რას გულისხმობთ?**

— სტამბოლში საპატრიარქო წირვას მხოლოდ ორასიოდე კაცი თუ ესწრება (საქართველოში ყველაზე პატარა სოფლის მღვდელს ჰყავს მრევლში 200 მორწმუნე), **რა მსოფლიო პატრიარქობაზეა პრეტენზია და სხვისი უფლებების დაცვაზე საუბარი, როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსებსა და სასულიერო პირებს სამღვდელო სამოსელით ქუჩაში სიარულის უფლებასაც არ აძლევენ და ისინი კოსტიუმითა და ჯინსებით დადიან სტამბოლის ქუჩებში?!** რატომ აძლევს ეს ადამიანი თავს ამდენის უფლებას, საოცარია პირდაპირ. საერთოდ, საეკლესიო სამართლის მიხედვით, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ამისთვის ე.წ. მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებიც კმარა, სადაც პატრიარქი ბართოლომეოსი მღვდლების მეორედ ქორწინებას და მთელი რიგი ეკუმენისტური სიახლეების შემოღებას ითხოვდა სხვა ადგილობრივი ეკლესიების იერარქებისგან. ყველაფერი, რაც დღეს ხდება რუსეთის ეკლესიის გარშემო, განპირობებულია პოლიტიკური სარჩულით, ვინაიდან ბართოლომეოსის პერსონას ჩვეულებრივ პოლიტიკურ ინსრუმენტად იყენებენ დასავლეთის გარკვეული ძალები. ეს ერთი და მეორე, რაც ყველაზე ცუდია, **ასეთი ტიპის ქმედებები მსოფლიო პატრიარქისგან, რუსეთ-უკრაინას შორის ახალი სისხლისღვრის პროვოცირებას უწყობს ხელს.** სხვათა შორის, ამას წინათ ვნახე რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის პირდაპირი განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთს ექნება შესაბამისი რეაქცია, თუ რადიკალური ქმედებები განხორციელდება უკრაინაში მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესიის წარმომადგენლების მიმართ...

**— კონკრეტულად რა შეიძლება აღმოჩნდეს ამის მაპროვოცირებელი? რა იგულისხმება რადიკალურ ქმედებებში?**

— იქ უკვე მიდის შევარდნები, ტაძრების წართმევის მცდელობა, სასულიერო პირების ფიზიკური შეურაცხყოფა, დევნა, რამდენიმე მღვდელი მოკლეს კიდეც... აი, ეს ყველაფერი გამწვავდება იმის ფონზე, რომ მსოფლიო პატრიარქმა მათ, ფაქტობრივად, მწვანე აუნთო და გაჩაღდება ჩვეულებრივი რელიგიური კონფლიქტი. სხვათა შორის, იყო უკვე დონეცკსა და ლუგანსკში რამდენიმე ასეთი ფაქტი და, თუ ასე გაგრძელდა, ბუნებრივია, რუსეთს ექნება რეაქცია — სისხლისღვრა, რომელიც ცოტა შენელდა, ახალ ფაზაში გადავა. **თუმცა ამ ყველაფერში ვხედავ კიდევ უფრო დიდ საფრთხეს იმ თვალსაზრისით, რომ ეს ყველაფერი, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს. ახლა ვიღაცას შეიძლება გაეცინოს, მაგრამ რეალური ნიშნები იმის, რომ საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში კონფლიქტი გაცილებით ფართო მასშტაბებს შეიძენს, უკვე არის.**

ახლა ვინ არის ფილარეტი?! სიცრუის თქმა რომ არ დამაბრალონ, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფაქტს გაგახსენებთ: ყველამ ნახა და, ალბათ, თქვენც გექნებათ ინტერნეტში ნანახი კადრები, როცა სომეხი მონოფიზიტი ადებს მას თავზე ხელს, უკითხავს ლოცვას და ღმერთს შესთხოვს, მიანიჭოს კურნების მადლი. იქვეა ბერძენი კათოლიკე ე.წ. მღვდელი და ისიც ანალოგიურად იქცევა. ანუ კათოლიკე და მონოფიზიტი შესთხოვენ უფალს, რომ ფილარეტს კურნების ძალა მიანიჭოს და ბოლოს **ფილარეტი ამბობს: რა მნიშვნელობა აქვს, სომხური იქნება, კათოლიკური თუ სხვა, ღმერთი ერთია და ჩვენ შორის განსხვავება არ არისო...** ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა და აქ უკვე პასუხიც აღარ არის საჭირო: **კაცს, რომელიც მონოფიზიტობას, კათოლიციზმს, პროტესტანტიზმსა და სხვა ათასგვარ მწვალებლობას მართლმადიდებლობასთან აიგივებს, შეიძლება მართლმადიდებელი პატრიარქის ტიტული მიანიჭო? საერთოდ, ქრისტიანი შეიძლება უწოდო?**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და მათ შორის სინოდში ბართოლომეოსს ჰყავს არაერთი დამცველი. როგორ ფიქრობთ, ამან რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საპატრიარქოს პოზიციაზე?**

— სიახლე არავისთვის არის ის, რომ დღევანდელ სინოდში არიან **სააკაშვილის** მომხრე ეპისკოპოსები, რომლებიც წლების განმავლობაში გვერდით ედგნენ სისხლიან რეჟიმს, მაგრამ ისინი, საბედნიეროდ, არ სარგებლობენ დიდი ნდობით და არც მრევლის სიმრავლით გამოირჩევიან. პოლიტიკოსებს რაც შეეხება, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რას წერენ სოციალურ ქსელში ყოფილი თუ მოქმედი ნაციონალები და მათი მხარდამჭერი პირწავარდნილი „ლიბერალები“...

**— რას წერენ?**

— მათი გვერდები სავსეა ფილარეტის მხარდამჭერი პოსტებით. მეტსაც გეტყვით, ყველაზე პირწავარდნილი ნაციონალების სურათებს ნახავთ ფილარეტის გვერდზე, დაწყებული **სააკაშვილით,** დამთავრებული **კობა სუბელიანით,** რომელსაც კვერთხი ეჭირა პატრიარქის და შემდეგ, თანამდებობა რომ მიეღო, **უგულავას** მსგავსად, უღალატა მას. აი, ასეთი ხალხი დგას დღეს რეალურად იმ გაშმაგებული პროპაგანდის უკან, რომ თურმე უკრაინის ეკლესიის აღიარება-არაღიარება ტესტია საქართველოს საპატრიარქოსთვის. დიახ, ტესტია და, ჩემი აზრით, **ძალიან კარგია, რომ ნაცზონდერები ასე ღიად გამოხატავენ თავიანთ პოზიციას; კარგია, რომ პატრიარქის მოღალატეები დაუფარავად უჭერენ მხარს თვითმარქვია ფილარეტს. არაფერს ვამბობ მის პატრონ ბართოლომეოსზე, რომელიც მომართულია იმისთვის, რომ არიოს და ყველაფერი თავდაყირა დააყენოს მართლმადიდებელ სამყაროში.**

**— ვთქვათ, საპატრიარქოში მყოფმა პროდასავლურმა ძალებმა თავიანთი გაიტანეს და „ტესტი“, რომელიც უკრაინის ეკლესიის აღიარება-არაღიარებით უნდა ჩავაბაროთ, „ლიბერალებისთვის“ სასურველი შედეგით დასრულდეს, რას მივიღებთ შედეგად?**

— ღმერთმა დაგვიფაროს! რას მივიღებთ და **იმას, რომ სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, მაგრამ ხალხს, რომელიც მზადაა თანამდებობისთვის სამშობლო დათმოს, აფხაზეთი და სამაჩაბლო ადარდებს?!** ისე, ფილარეტი თუ შეიძლება პატრიარქად იწოდებოდეს, იმავე ლოგიკით, აფხაზეთში მყოფ რომელიმე თვითმარქვიას რატომ არ შეიძლება აფხაზეთის უმაღლესი იერარქი უწოდონ, ფიქრობენ კი ამაზე ის უგუნურები, რომლებიც საკუთარი განცხადებებით რუსეთს ამ ნაბიჯისკენ უბიძგებენ?! **ვიმეორებ: თუკი ბართოლომეოსს მხარი აუბეს სხვა ადგილობრივმა ეკლესიებმაც, წარმოუდგენელი მასშტაბის განხეთქილებას ვიხილავთ მართლმადიდებელ სამყაროში.** აი, ამიტომაა საჭირო ჩვენს ეკლესიაში არსებული საღი ძალების დიდი სიფრთხილე და პრინციპულობა, თორემ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს. თუმცა, რომც მოხდეს უბედურება და მიიღონ კანონები, რომლებიც საეკლესიო სამართალს ეწინააღმდეგება, მორწმუნე მრევლი მაინც არ დაემორჩილება. მართლმადიდებელი ერი არასოდეს მიიღებს და შეეგუება ქრისტიანობის დამახინჯებას. ასე რომ, ბართოლომეოსი კი არა, ათი ბართლომეოსი რომ გაერთიანდეს, მორწმუნე მრევლი, სინდისი და ნამუსი ეკლესიისა, როგორც მას აღმოსავლეთის პატრიარქები მოიხსენიებენ 1848 წლის ეპისტოლეში, ყოველთვის იდგება საეკლესიო ერთობისა და ქრისტეს ეკლესიის სწავლების სიწმინდის დაცვის სადარაჯოზე.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## განცხადება

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 34-ე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია, რომელიც ლიბერალურმა პრესამ თავისი ინტერპრეტაციით წარმოაჩინა. კონკრეტულად, იქ ნახსენებია მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის მისამართით სიტყვები „მსოფლიო აფერისტი“, რომელიც მე (მღვდელ გიორგი რაზმაძეს) კი არ მეკუთვნოდა, არამედ გაზეთის რედაქციის ინტერპრეტაცია იყო, რომელზეც შემდგომ ნომერში გაზეთმა თავისი განმარტება გააკეთა და დაადასტურა, რომ ზემოთ ნახსენები ფრაზა ეკუთვნოდა სწორედ „საქართველოსა და მსოფლიოს“ და არა მე. როგორც ვთქვით, ამ სტატიამ გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. შეიძლება, ჩემი მხრიდან გაკეთებულმა სხვა კომენტარებმა, კერძოდ, „ბართოლომეოსი მტერია ეკლესიისა და იგი ოდიოზური პიროვნებაა“ საქართველოს ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი ჩააყენა უხეხულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ჩემი გამონათქვამებისთვის მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსის, მისი უწმინდესობის ილია მეორისა და საქართველოს ეკლესიის სინოდის წინაშე ვითხოვ შენდობას.

**მამა გიორგი რაზმაძე**

მედიცინა და საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა გვახსენდება, რა თანხა იხარჯება თუნდაც ამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქუჩაში გაკრულ პლაკატებსა თუ მოსახლეობასთან შეხვედრისთვის, მანქანების კოლონის საწვავით უზრუნველყოფისთვის, გული გვეკუმშება. საპრეზიდენტო კანდიდატების ანგარიშზე მილიონობით ლარის შემოწირულობა ხორციელდება და გვერწმუნეთ, თქვენ ონკოლოგიური ცენტრის მშენებლობა დააანონსეთ, ანგარიში გახსენით და ყველაზე გაჭირვებულიც კი გაიმეტებს მცირე თანხას გადასარიცხად.**

# რატომ უნდა აშენდეს საქართველოში ონკოლოგიური ცენტრი

**ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ყოველი ასი ადამიანიდან ოთხს სიმსივნე აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველოში სიმსივნით დაავადებული დაახლოებით 15 ათასი ადამიანია. აი, ონკოლოგიური ცენტრი კი მხოლოდ ერთი გვაქვს, ძველი, კომუნისტების აშენებული, რა თქმა უნდა, სარემონტო და, რბილად რომ ვთქვათ, უკეთესის სურვილს რომ ტოვებს, ისეთი. იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ ქუჩაში, სოციალურ ქსელებში, ტელევიზიით... ხშირად მოგვიწოდებენ, რომ დავეხმაროთ ბავშვს, მოზარდს, ახალგაზრდას, რომელსაც სწორედ სიმსივნური დაავადების გამო, საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდება და ამისთვის თანხაა საჭირო. ეს „საზღვარგარეთი" კი ძირითად შემთხვევაში თურქეთია, ქვეყანა, რომელშიც ერთ-ერთი უდიდესი ონკოლოგიური ცენტრი არსებობს და ბევრი ქართველი ექიმი მუშაობს.**

რა გამოდის?! გვყავს სპეციალისტები, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი საავადმყოფო, რომელშიც ისინი იმუშავებენ. უფრო ზუსტად, საქართველოში, იმ ერთადერთ ონკოცენტრში, ამდენი ადგილი არ არის და, რომც იყოს, პირობები არ არის.

* შეკვეთილთან ახლოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2016 წელს საზეიმოდ გაიხსნა **„ბლექ სი არენა"**, ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი საქართველოში, რომელიც 115 მილიონი დოლარი დაჯდა. ის ბიძინა ივანიშვილმა ააშენა და შემდეგ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. ჩვენს ქვეყანას მისი შენახვა წლიურად მილიონი უჯდება. რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, როცა დიდი საკონცერტო დარბაზი გაქვს, მაგრამ...

* პროექტი **„პანორამა თბილისი"** მილიარდზე მეტი დაჯდება, უფრო ზუსტად, ჯერჯერობით 400 მილიონი დოლარის ინვესტიცია იგეგმება, შემდეგ — კიდევ ერთი ამდენის და თანხა, საბოლოო ჯამში, ორ მილიონ ლარს მიაღწევს. ეს პროექტიც შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში გადავა და, დიდი ალბათობით, სახელმწიფოს მისი შენახვა წლიურად „ბლექ სი არენაზე" მეტი დაუჯდება. ესეც ძალიან კარგია, მაგრამ...

* ბოლო ოთხ წელიწადში საქართველოში აშენებული რაგბის სტადიონების საერთო ღირებულებამ 12 მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს პროექტიც ივანიშვილის ინიციატივით განხორციელდა და რაგბის კავშირს უსასყიდლოდ გადაეცა. ჯანსაღი თაობა ძალიან კარგია და რაც მეტი სარბიელი იქნება ქვეყანაში, მით უკეთესი, მაგრამ...

* **სრულყოფილი ონკოლოგიური ცენტრის, ასე ვთქვათ, ონკოქალაქის მშენებლობა ნახევარი მილიარდი არ დაჯდება. თავის მშენებლობიანაღჭურვიანად სახელმწიფოს, შესაძლოა, 300-დან 400 მილიონამდე დაეხარჯოს. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ამდენივე თანხა დაჯდა ევროპასა და ჩვენს მეზობლად — თურქეთში. რას ნიშნავს ასეთი საავადმყოფოს აშენება?**

პირველ რიგში, იმას, რომ საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ აღარ ივლიან და მკურნალობას აქ ჩაიტარებენ. მთავარი ის არის, რომ, საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის ფონზე, მკურნალობა იმის ნახევარიც არ დაჯდება, რაც ღირს საზღვარგარეთ. მესამე და უმთავრესი — **სრულყოფილი ონკოლოგიური ცენტრის აშენების შემთხვევაში, საქართველოში სამკურნალოდ ჩამოვლენ მეზობელი ქვეყნებიდან და ეს კიდევ ცალკე შემოსავალი იქნება. სწორედ ამ შემოსავლის ხარჯზე შეიძლება მთლიანად კლინიკისა და იმ ექიმების შენახვა, რომლებიც ახლა ევროპისა თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში არიან მიმოფანტულნი და წამყვან სპეციალისტებად ითვლებიან.**

კავკასიის რეგიონში ყველაზე საგანგაშო მაჩვენებელი ონკოლოგიური დაავადებების მხრივ სწორედ საქართველოს აქვს. მეტიც, მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიკავია და, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, ამ მიმართულებით განხორციელდეს ინვესტიციები. უფრო თუ დავკონკრეტდებით, მოსახლეობასაც „ბლექ სი არენასა" და „პანორამა თბილისის" ახალ ხედებს ეს ურჩევნია. თუ არ გჯერათ, გამოკითხვა ჩაატარეთ. არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც ამ პრობლემით ოჯახის წევრი, მეგობარი, მეზობელი, ნათესავი, ნაცნობი არ ჰყავდეს დაავადებული და არ წუხდეს. კიდევ ვიმეორებთ: ეს არ იქნება მხოლოდ საქველმოქმედო პროექტი, **თუ თანამედროვე სტანდარტების კლინიკა გაკეთდება, გვერწმუნეთ, უცხოეთიდან სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანების რაოდენობა შეინახავს კლინიკასაც და მის პერსონალსაც. სამწუხაროდ, ეს მსოფლიო პრობლემაა და ვარაუდი, რომ დღე-დღეზე გამოიგონებენ კიბოს სამკურნალო წამალს, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, ვარაუდად რჩება.**

სხვათა შორის, წინა ხელისუფლების პირობებში, პირველმა ლედიმ **სანდრა რულოვსმა** კონკრეტულ სფეროში „ღმერთქალის" სახელი მას შემდეგ დაიგდო, როცა მკერდის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი ჩამოაყალიბა და ქალბატონებს უფასო გამოკვლევებს უტარებდა. ამან შედეგი მოიტანა, პრევენცია მოხდა არაერთი შემთხვევის და არაერთი ქალი, ცუდ შემთხვევაში, მკერდის მოჭრას, უარეს შემთხვევაში კი, ფატალურ შედეგს გადაურჩა. არ იყო ეს ყველაფერი უზარმაზარ თანხებთან დაკავშირებული და, **როცა გვახსენდება, რა თანხა იხარჯება თუნდაც ამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქუჩაში გაკრულ პლაკატებსა თუ მოსახლეობასთან შეხვედრისთვის, მანქანების კოლონის საწვავით უზრუნველყოფისთვის, გული გვეკუმშება. საპრეზიდენტო კანდიდატების ანგარიშზე მილიონობით ლარის შემოწირულობა ხორციელდება და გვერწმუნეთ, თქვენ ონკოლოგიური ცენტრის მშენებლობა დააანონსეთ, ანგარიში გახსენით და ყველაზე გაჭირვებულიც კი გაიმეტებს მცირე თანხას გადასარიცხავად.**

ეს ხომ არ არის სანახაობა, ეს ხომ არ არის გასართობი?! **ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, რომელიც ასე აწუხებს ყველას და დაავადების, რომელიც დაბინძურებული გარემოს, უვარგისი საკვების, გენმოდიფიცირებული პროდუქტის და კიდევ სხვა ათასი უბედურების გამო უტევს, როგორც ახალ, ისე ძველ თაობას.** და მერე ოჯახის წევრები ყიდიან ყველაფერს, რაც გააჩნიათ, ყიდიან იმიტომ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნონ ახლობლებს და, საბოლოო ჯამში, მაინც ხელგაშვერილი დადიან კარდაკარ, აბიჯებენ თავმოყვარეობას და დახმარებას ითხოვენ, დახმარებას სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ დროს კი, **როცა გვესმის, რომ ამა თუ იმ პროექტში ათეულ მილიონობით ლარი ჩაიდოო, ძნელი გადასახარშია, ძნელი აღსაქმელია. ესეც ხომ პროექტია? აქაც ხომ დასაქმდებიან ადამიანები, ექიმების გარდა, საზოგადოდ, მომსახურე პერსონალი, აქაც ხომ იქნება შემოსავალი? და კიდევ ვიმეორებთ: ასეთი დაწესებულება საკუთარ თავს თვითონ შეინახავს.**

სხვათა შორის, 2015 წელს, ანუ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ებრაელი ინვესტორები იყვნენ დაინტერესებულნი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დიდი სამედიცინო ცენტრის აშენებით. საუბარი იყო 18 ჰექტარ მიწაზე და მასზე არსებულ შენობებზე, რომლებიც ერთდროულად ათი ათასზე მეტ ადამიანს მოემსახურებოდა. ამ ცენტრში იქნებოდა ყველაფერი, ანუ იქ შესულ ადამიანს არ დასჭირდებოდა სხვა კლინიკა, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა, იმიტომ, რომ, ასეული მილიონი ინვესტიციის ჩადების სანაცვლოდ, ებრაელები მიწის გადაცემას სიმბოლურად — ერთ ლარად ითხოვდნენ, ხელისუფლებამ კი ეს არ გააკეთა, უარი თქვა და მიწა 15 მილიონი დაუფასა. არ იყო ესეც უსაშველო თანხა, მაგრამ გაბრაზდნენ ისინი: პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბის ცენტრს ვაშენებთ და თქვენ ზედმეტს გვახდევინებთო. პირადად ვესაუბრე მაშინ იმ ინვესტორებს და ისიც თქვეს, ეკონომიკის მინისტრამდე არ მოგვიშვეს, ქვედა რგოლი გვესაუბრებოდაო (ეკონომიკის მინისტრი მაშინ **გიორგი კვირიკაშვილი** იყო). სხვათა შორის, ამ ამბიდან რამდენიმე წელიწადში, უკვე პრემიერ კვირიკაშვილს ვკითხეთ აღნიშნულის შესახებ და... მან არაფერი იცოდა არც ებრაელი ინვესტორების, არც სამედიცინო ცენტრის და არც მოთხოვნილი 15 მილიონის შესახებ, ანუ ქვედა რგოლმა ფულის მოტეხვა გადაწყვიტა და ასე დავკარგეთ ის, რაც შეიძლებოდა გადარჩენის ერთ-ერთი წყარო ყოფილიყო ბევრი ადამიანისთვის.

სწორედ ამიტომ, კი არ გთხოვთ, **მოვითხოვთ, რომ საქართველოში აშენდეს ონკოლოგიური ცენტრი და იქნება ეს სახელმწიფოსგან დაფინანსებული თუ რომელიმე ბიზნესმენის ქველმოქმედება, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, გაკეთდეს, აშენდეს და ათასობით ადამიანს ეშველოს; იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ძვირფასის, სიცოცხლის გადარჩენას, ითხოვენ და სწორედ სიცოცხლის გადასარჩენად ევროპასა და თურქეთს არიან მოდებულნი.** ადამიანის სიცოცხლეზე დიდი ღირებულება არც აქამდე ყოფილა და არც მომავალში იქნება, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ მას და მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ბავშვების სიცოცხლეს ეხება. გვერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში, უფულობის გამო გაყიდული ბინებისა და, შესაბამისად, გაუბედურებული ოჯახების რიცხვიც მცირე იქნება და ამომრჩეველსაც ნებისმიერ დროს ეტყვით: აგერ, საერთაშორისო დონის ცენტრი ხომ გავაკეთეთო. და ამ დაყვედრებას ხალხი აიტანს, აიტანს იმიტომ, რომ იქ მეორედ დაიბადებიან ადამიანები.

**ბესო ბარბაქაძე**



**მოვითხოვთ, საქართველოში აშენდეს ონკოლოგიური ცენტრი და იქნება ეს სახელმწიფოსგან დაფინანსებული თუ რომელიმე ბიზნესმენის ქველმოქმედება, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, გაკეთდეს, აშენდეს და ათასობით ადამიანს ეშველოს. იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლის გადარჩენას, ითხოვენ და სწორედ სიცოცხლის გადასარჩენად ევროპასა და თურქეთს არიან მოდებული**

**სრულყოფილი ონკოლოგიური ცენტრის აშენების შემთხვევაში, საქართველოში სამკურნალოდ ჩამოვლენ მეზობელი ქვეყნებიდან და ეს კიდევ ცალკე შემოსავალია. სწორედ ამ შემოსავლის ხარჯზე შეიძლება მთლიანად კლინიკის და იმ ექიმების შენახვა, რომლებიც ახლა ევროპისა თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში არიან მიმოფანტულნი და წამყვან სპეციალისტებად ითვლებიან... თუ თანამედროვე სტანდარტების კლინიკა გაკეთდება, გვერწმუნეთ, უცხოეთიდან სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანების რაოდენობა შეინახავს კლინიკასაც და მის პერსონალსაც**

„ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს“?

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ტყუიან პრეზიდენტობის კანდიდატები

## «დიახ, იტყუებიან, მაგრამ აბა თუ არ ამით, რითი დაამტკიცონ გონიერება?»

**28 ოქტომბერს „რჩეულ-ჭკვიანები“ გაფაციცებით ელოდებიან, მაგრამ იმას კი არა, სამართალმა პური რომ ჭამოს, — სასწაული რომ მოხდეს და პრეზიდენტობას გამოჰკრან ხელი. „რჩეულ-ჭკვიანებში“ ყველა კანდიდატს როდი ვგულისხმობთ, რადგან მათ შორის საკმარისად არიან ისეთებიც, რომელთა შესახებ მხოლოდ მათ გარშემო შემოკრებილმა მხარდამჭერებმა და საზოგადოების მცირე ნაწილმა იციან. ცნობილია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას განცხადებით პრეზიდენტობის 54-მა მსურველმა მიმართა (რა შთამბეჭდავი რაოდენობაა), მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საბოლოოდ მხოლოდ 25 პრეზიდენტობის კანდიდატი დაარეგისტრირა.**

ყველა კანდიდატი დარწმუნებული ჩანს, რომ ყველაფერს გააკეთებს და ძლიერი პრეზიდენტი იქნება...

შიში არავის ემჩნევა —
ვერშეძლებისა და
უძლურების შიში,
დამარცხების შიში,
წინააღმდეგობების შიში,
ლანძღვისა და გინების შიში,
ხალხის მრისხანების შიში...

ეს კი მხოლოდ ზედმეტად პატივმოყვარე ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი...

დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ვერ იტანდა ამნაირად პატივმოყვარეთ: მზად ვარ, ასეთებს რუბლი მივცე, თან ისიც ვუთხრა: როცა გაიგებ საკუთარი თავის ფასს, დამიბრუნე ხურდა რუბლისაო...

სად არის ამ დაქცეულ ქვეყანაში ამდენი რუბლი ან ლარი, მათ მისაცემად რომ იკმარებს?!

არადა, რა ბევრია პატივმოყვარე...

ვინმეს შეუძლია, დაასახელოს დამოუკიდებელი საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მთელი ამ ხნის განმავლობაში დანიშნული ან არჩეული ქართული საქმის მსახურის იმიჯის და ამავე დროს საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესიონალი, რომელზეც თამამად შეიძლება გავრცელდეს **აკაკი წერეთლის** აზრი, რომ რჩეულ-ჭკვიანებს **„თავისი პირადობა დავიწყებული აქვსთ! ისინი იმას კი არ ჰფიქრობენ, რომ ხალხს თავი შევაყვაროთ, პატივი ვაცემიოთ და დიდ რამედ მივამჩნევინოთ ჩვენი თავიო. მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ შეაყვარონ სხვებსაც ის კეთილი საქმე, რომლისათვისაც იმათ თავი გაუწირავთ და გაიყვანონ სხვებიც სამუშაოდ იმ გზაზე, რომელზედაც თვითონ დგანან! მათთვის არ არსებობს წამიერი აწმყო!.. იმათა სწამთ მხოლოდ ხანგძლივი მომავალი!“**

სამაგიეროდ ეს აზრია ზუსტად ზედგამოჭრილი დღევანდელ დღეზე: **„რა დრო დაგვიდგა? ყველა იბერება! ყველა ყალყზედ დგება! სიტყვით ზარბაზნის არ ეშინიათ, მაგრამ საქმით კი ნევსის ჩხვლეტაც მალე დაჩუტავსთ გუდასავით; მაგრამ ბედი მათი, რომ ნემსის მჩხვეტელიც არავინა ჰყავსთ?.. და არა ჰყავსთ მისგამო, რომ ხალხი დაეცა, სულით მხთალი შეიქნა და საქმით უსწორო!“**

დუმს საზოგადოება.

თითქოს „დუმილის შეთქმულებაა“, ისე გარინდულა, მაგრამ **„საზოგადოების გარინდება“ სამშობლოს ხსნა კი არა, მისი მიძინებაა. და თუ ეს კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს, მაშინ ამგვარ მიძინებას შეიძლება სამუდამო განსვენებაც მოჰყვეს...“** ნიკო ნიკოლაძის ამ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე; და იმასაც, ხალხს რომ ჰგონია, არჩევანი 25 საპრეზიდენტო კანდიდატიდან მხოლოდ რამდენიმე „გაცვეთილ“ პოლიტიკურ სახეს შორის აქვს გასაკეთებელი; იმასაც, სალომე ზურაბიშვილის „ფრთიან“ გამონათქვამებზე მთელი სოციალური ქსელი რომ ხარხარებს (რა გვაცინებს, ჩვენ უბედურებს!)...

მავანი ჟურნალისტებს ამუნათებს, „არაპროფესული ქცევებისთვის“ (სტილი დაცულია): „ჟურნალისტი გამოჭერაზე კი არ უნდა იყოს ჩასაფრებული, მართლაც ამგვარად, საკუთარი უტვინობის დასამტკიცებლად, არამედ ხალხს გზა გაუნათოსო“.

სალომე კი აფრქვევს და აფრქვევს „სიბრძნეს“, მაგრამ ეს „უტვინი ხალხი“ ვერ იგებს, იმიტომ, რომ „გაუნათლებელია“, „დაბალი“ დონისაა, თორემ ამომრჩეველთა მცირე ნაწილისთვის (იმედია, მცირე) აბსოლუტურად „გასაგებია“ ზურაბიშვილის ნათქვამი:

„ფანტასტიური სივრცე გვაქვს, სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო“;

„პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხთან, მაგრამ მაინც ზევით უნდა იყოს“;

„ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს ვეტომდებელი, უნდა იყოს იდეამდებელი“;

„მე კიდევაც დავბრუნდი და ხვალ კიდევაც პრეზიდენტი ვიქნები“;

„დღევანდელ დღესთან დაკავშირებით, მე ვიტყვი ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციით და დღევანდელი კონსტიტუციით უკვე, მაგრამ ხვალინდელი კონსტიტუციით კიდევ უფრო არის და იქნება...“;

„სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძე რაღაცა უფრო მითოსები არის, ვიდრე რეალურად ცოდნა იმის შესახებ, თუ ესენი რას წარმოადგენდნენ და რა აზრებს ავრცელებდნენ“;

„მსოფლიოში მოცემულობა და ახალი იდეები, ინოვაციები — ეს ყველაფერი ერთად უნდა შევტყვათ და ამითი წავალთ წინ“.

თურმე ეს არის „ორიგინალურობით, ყოველმხრივ და ყველა მიმართულებით, ჩვენთვის მიუწვდომელი, ნამდვილად ევროპული, პარიზული, არაორდინალური“ აზრები.

„მერწმუნეთ, რაც უფრო ორიგინალური და ღირსეული იქნებით, უამრავი ჟურნალისტი შემოგეხვევათ და თანდათანობით უამრავი ხალხი. ...საინტერესო გამოსვლებით ახსენით ბევრი რამ, მოგვაწოდეთ თეზისები, თეზისები და თეზისები და ნახავთ, რაც მოხდება, აქედან მთელ საქართველოს მიწვდება მთელი ხმა. თქვენ ხომ პარიზელი ხართ, შემოიტანეთ ეს ნაპერწკალი ჩვენში. ჭეშმარიტი პარიზელის ქცევის“, — ამას რომ ადამიანი გირჩევს, ან მტერი უნდა იყოს შენი, ან თავში ყველაფერი ვერ უნდა ჰქონდეს წესრიგში.

„ჩვენ ბევრი არ გვჭირდება დღეს, თქვენი თამამი და ორიგინალური გამოსვლების გარდა (რა „მოკრძალებულია“ — რედ.), მთელი პრეზიდენტობის განმავლობაშიო“.

**ვაი ჩვენს პატრონს!**

„მაშინ დაიძვრება ახალი კადრები თქვენ ირგვლივ, რომელსაც თქვენ მოიკრებთ. მერე ბევრი მათგანი პარლამენტში წავა და ბევრიც მთავრობაში. ქვეყანა გამოიღვიძებს, ისწავლის სწორ აზროვნებას, გახდება ერთიანი და მართლაც მოხდება სულ მალე სასწაული, ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ... ამას თუ გაგვიკეთებთ, ჩვენ ძეგლს დაგიდგამთ“.

**ღმერთმა დაგვიფაროს!**



**«საზოგადოების გარინდება» სამშობლოს ხსნა კი არა, მისი მიძინებაა. და თუ ეს კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს, მაშინ ამგვარ მიძინებას შეიძლება სამუდამო განსვენებაც მოჰყვეს...»**

### არჩევნები



თუმცა რა პრობლემაა — ველოსიპედისა და ფლოსტების ძეგლი თუ დგას...

„ხედავთ, რა საშიში ხართ იმათთვის, ვისაც ქვეყნის ჯიჯგნა უნდა?“

აქ კი ნამდვილად დაგეთანხმებით: მართლაც საშიშია ქვეყნისთვის ასეთი ადამიანი, პრეზიდენტი — მით უმეტეს... რადგან ქვეყნის ჯიჯგნა მერე ნახეთ!

მაპატიოს ქალბატონმა სალომემ, მთელი ამ ბაღლამის გადმონთხევა მასზე რომ მომიხდა, მაგრამ, თუ ლუარსაბისა არ იყოს, იკითხავს: რაღა მაინც და მაინც მე წამავლე ხელი, ჩემისთანა ათასიაო; ილიასავით ვუპასუხებთ: იმიტომ, რომ ათასსა შენა გევხარ და ათასი კიდევ შენაო.

მგონი, ძალიან პირდაპირობა გამომივიდა, მაგრამ, აკაკის რჩევა გავითვალისწინე: „საზოგადო საქმეში პირდაპირობა უნდა. — ვინ არ იცის, რომ ერთი ადგილიდამ მეორე ადგილამდე სწორი გზა უფრო მალე მიიყვანს, ვინემ მრუდე, მაგრამ ყველა კი მრუდე გზას ეტანება. და ეტანება იმიტომ, რომ ყველა ერთი მეორეს ეფარებიან და გამოჩენა არ უნდათ!“

**ახლაც „ისეთი უბედური რამ დროა, რომ, გამარჯვებას რომ კაცი გეუბნებოდეს, იცოდეთ, რომ სტყუის, გულში უთუოდ სხვა აქვს. მარცხენა კბილებით რომ რამესა ჰღეჭდეს ვინმე, დარწმუნდი, რომ ტყვილათ აწძრევს მარცხნივ ყბებს, საღეჭი კი მარჯვნით ექნება. დიახ, იტყუებიან, მაგრამ აბა თუ არ ამითი, რითი დაამტკიცონ გონიერება?...**

ვინ არა სტყუის? ვინ არ ცუღლუტობს? მაგრამ თავს მითი მართლულობენ, რომ „არ იქნება, სოფელია, დიპლომატობა საჭიროა, პირდაპირობა სიგიჟე იქნებაო და სხვანი“ და ის კი არა თუ მხთალი ვარ და პირ-და-პირობის მეშინიანო!.. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს მაგალითად, გზავნიან „დროებაში“ სტატიებს, რომლითაც ცუდს ამხილებენ; — კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ვაი ის არის, რომ თავის სახელისა და გვარის გამოცხადებას ვერ ჰბედვენ, იმ იმედით რომ მე ვერ მიცნონ და ეგებ სხვას დააბრალონო!.. ეს დიპლომატობაა, თუ სულის სიგლახაკე? თუ კარგია მისი ნაწერი და ქვეყნის სასარგებლო, რათ ვისმესი ეშინიან, რომ ღობეს ეფარება, და თუ ცუდია და შესარცხვენი, რათ იჭირვებს საქმეს, რომ სწერს? აბა, ამას ჰქვიან „მინდა, მაგრამ მეშინიანო“ არა, ის, **ვისაც საზოგადოების მავნებელის პირ-და-პირ მხილება არ შეუძლიან, გაჩუმდეს. ნუღა გამოდის ასპარეზზედ! მიუჯდეს კერას!! მიხვეულ-მოხვეულათ მოქმედება სირცხვილია“.**

**პრეზიდენტობის კანდიდატების უმრავლესობა ურცხვად ტყუის, ხალხს თვალში ნაცარს აყრის, მაგრამ ცუდი ნიშნები იკვეთება მათთვის: არ შერჩება არავის დღეის ამას იქით ორპირობა! მოსთხოვენ ანგარიშს! აბა, გამობრძანდნენ ასპარეზზე და მაშინ ჩაახედებენ სარკეში და დაანახვებენ თავიანთ „მოთხუპნულ ცხვირ-პირს“.**

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო“.

„სადა ხარ ეხლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა. რა ვუყოთ? **ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს** — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს“ (ილია).

იმედი მაქვს, ჩემი მკითხველიც გამოიცნობს.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**P.S. ერთხელ ბატონმა ოტია იოსელიანმა ბრძანა: „საკუთარ ღირსებას ციხე-გალავანი უნდა შემოავლო, დაბალ ღობეს ყველა ძაღლი და მამაძაღლი გადმოალაჯებსო“.**

**ეჰ, სჭირდება კი ამათ ან ღობე, ან გალავანი?!**

**პრეზიდენტობის კანდიდატების უმრავლესობა ურცხვად ტყუის, ხალხს თვალში ნაცარს აყრის, მაგრამ ცუდი ნიშნები იკვეთება მათთვის: არ შერჩება არავის დღეის ამას იქით ორპირობა! მოსთხოვენ ანგარიშს! აბა, გამობრძანდნენ ასპარეზზე და მაშინ ჩაახედებენ სარკეში და დაანახვებენ თავიანთ «მოთხუპნულ ცხვირ-პირს»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„შეგიძლიათ, კომპეტენტური ადამიანების მოგონებები წაიკითხოთ, მათი, ვინც სტალინს ახლოს იცნობდა: გ. ჟუკოვის, ა. ვასილევსკის, კ. როკოსოვსკის, ნ. კუზნეცოვის, ი. ისაკოვის, ს. შტემენკოსა და სხვა სამხედრო მეთაურების. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სტალინი დამოუკიდებლად მოაზროვნე და საკუთარი აზრის დაცვის უნარის მქონე ადამიანებს განსაკუთრებით აფასებდა. გიორგი ჟუკოვი, რომელიც სტალინს კარგად იცნობდა, პირდაპირ წერს, რომ სტალინთან შეკამათებაცშეიძლებოდა“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34-36 (458-460)

# სტალინის პორტრეტისთვის

## სტალინი და ივანე ბენედიქტოვი

**ვასრულებ რა ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოთა მოღვაწის, ივანე ბენედიქტოვის, მოგონებებს სტალინზე, მომდევნო წერილებში შემოგთავაზებთ ასევე საბჭოთა სამთავრობო ელიტის წარმომადგენლის, არსენ ზვერევის, მასალების ანალიზს. ზვერევი საინტერესოა არა მხოლოდ სტალინთან ახლო ურთიერთობითა და საქმიანობით, არამედ ის გამორჩეული იყო პიროვნული თვისებებითაც. არსენ ზვერევმა თავისი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერა არა მხოლოდ საბჭოთა ელიტაში, არამედ მსოფლიოს ფინანსურ სამყაროში. ასე რომ, მკითხველს არანაკლებ საინტერესო პიროვნებასთან შეხვედრას ვპირდები. ახლა კი განვაგრძოთ სტალინის მოღვაწეობის შესახებ ივანე ბენედიქტოვის მოგონებების დასკვნითი ნაწილის გაცნობა.**

„მისმინე, ივანე, უსიამოვნებაში ცხვირს ნუ ჰყოფ“, — მითხრა **ხრუშჩოვის** აპარატში მომუშავე ჩემმა მეგობარმა. — ის არც ისეთი დემოკრატია, ერთი შეხედვით როგორც გეჩვენება. მაინც ვერ დაარწმუნებ, სამსახურს კი ნამდვილად დაკარგავ“. ეს რჩევა არ გავითვალისწინე და მალე სოფლის მეურნეობაში ხელმძღვანელ თანამდებობას დავემშვიდობე — ინდოეთში ელჩად გამიშვა. უსიამოვნებებში გახვევა არც დიპლომატიურ სამსახურში ყოფნისას მაკლდა. ჩემი თვალსაზრისის მიხედვით გადადგმული ნაბიჯები ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას იწვევდა. შიშისა და საფრთხის მიუხედავად, პირველად საბჭოთა ისტორიაში, საზღვარგარეთ, დელიში, საელჩოს ტერიტორიასთან მიწის დიდი ნაკვეთი შევისყიდეთ. დღეს ინდოეთის დედაქალაქში მიწის ფასმა ათჯერ მოიმატა, ჩვენ კი საკმაოდ დიდი დანაზოგი გავაკეთეთ. იმ პერიოდში მსგავს ოპერაციებს ეჭვით უყურებდნენ. მიწის ნაკვეთის შეძენა „სოციალიზმისთვის უცხო მეთოდი“ იყო და კომუნიზმს არ შეეფერებოდა. ფინანსთა სამინისტროში ჩემი ადრინდელი კავშირებით საჭირო თანხების გამოყოფას მივაღწიე. პირველად სწორედ მაშინ გავაცნობიერე, როგორი მომატებული იყო ბიუროკრატია მაღალ საფეხურებზე — ცუდი უფრო სწრაფად ვრცელდებოდა, ვიდრე კარგი. თავის დაზღვევისა და პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარების მიდრეკილება კი აპარატში ყოველთვის არსებობდა. თქვენს კითხვას დავუბრუნდები და გავიმეორებ: **სწორედ ხრუშჩოვმა დაიწყო იმ ადამიანების მოშორება, რომლებიც თავიანთ თვალსაზრისს მტკიცედ იცავდნენ.**

სტალინისდროინდელი ბევრი კომისარი, რომლებიც მწარე სიმართლის პირდაპირ თქმას იყვნენ მიჩვეულნი, თანამდებობას თავისი ნებით ტოვებდნენ. ისინი კი, ვინც ხრუშჩოვის გვერდით რჩებოდა, კარგად აცნობიერებდნენ, იმ მომენტიდან მათი ნების განმკარგავი ვინ იქნებოდა. ხრუშჩოვი მართალი იყო, როცა 1946 წლის ოქტომბერში, მისი მისამართით შეურაცხყოფის მოსმენის შემდეგ, ყველაფერში თანამებრძოლები დაადანაშაულა, რომ ეს მათი მხრიდან მუდმივი კომპრომისებითა და სიჩუმით იყო გამოწვეული. სამაგიეროდ, ხრუშჩოვს აღარ ახსოვდა, რომ მსგავს სტილს თვითონ ნერგავდა.

**კითხვა:** — **დავუშვათ ხრუშჩოვი უფრო ავტორიტარული იყო, ვიდრე სხვები ფიქრობენ, მაგრამ იმის დაჯერება რთულია, რომ დამოუკიდებელ ადამიანებს სტალინი უფრო საჭიროებდა...**

**პასუხი:** — მიუხედავად ყველაფრისა, ასეა. **შეგიძლიათ კომპეტენტური ადამიანების მოგონებები წაიკითხოთ, მათი, ვინც სტალინს ახლოს იცნობდა: გ. ჟუკოვის, ა. ვასილევსკის, კ. როკოსოვსკის, ნ. კუზნეცოვის, ი. ისაკოვის, ს. შტემენკოსა და სხვა სამხედრო მეთაურების. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სტალინი დამოუკიდებლად მოაზროვნე და საკუთარი აზრის დაცვის უნარის მქონე ადამიანებს განსაკუთრებით აფასებდა. გიორგი ჟუკოვი, რომელიც სტალინს კარგად იცნობდა, პირდაპირ წერს, რომ სტალინთან შეკამათებაც შეიძლებოდა.**

იმ დროისთვის ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, **ალექსანდრე იაკოვლევის,** წიგნში „ცხოვრების მიზანი“ სტალინის მუშაობის მეთოდები საუკეთესოდაა შეფასებული. სტალინი ისეთი ადამიანების მიმართ იჩენდა ინტერესს, რომლებსაც მყარი და **დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი და ნებისმიერის წინაშე საკუთარი მოსაზრების დაცვა შეეძლოთ და პირიქით — არ უყვარდა უნებისყოფო, გამომრჩენი და ბელადის ნებას დაყოლიებულები. „კარგი სპეციალისტია, — თქვა ერთხელ სტალინმა ერთ-ერთზე, მაგრამ მისი დანიშვნა ხელმძღვანელ ადგილზე არ შეიძლება, მოგებაზეა ორიენტირებული. „უფროსობის“ ასეთი სიყვარული მტერზე მეტად დაგვაზიანებს“.**

რა თქმა უნდა, იშვიათად, მაგრამ სტალინისთვის წინააღმდეგობის გაწევაც გვიწევდა. მასთან კამათი არც ისე ადვილი იყო, რაც მისი უდიდესი ავტორიტეტის ბრალი სულაც არ გახლდათ. სტალინი ნებისმიერ საკითხს ღრმად და ყოველმხრივ აანალიზებდა, ოპონენტში ყველაზე სუსტი პოზიციის დანახვის უნარი ჰქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ, **წინააღმდეგი თუ იქნებოდი, ამისთვის არ დაისჯებოდი, ამას მხოლოდ უმნიშვნელო უთანხმოება მოჰყვებოდა, მაგრამ, თუ მართალი აღმოჩნდებოდი, მის თვალში ავტორიტეტი გემატებოდა. თუ სიმართლეს არ იტყოდი, სიმშვიდეს არ დაირღვევდი, შემდეგ კი ეს ყველაფერი გაირკვეოდა, სტალინის ნდობას დაკარგავდი და ველარასოდეს დაიბრუნებდი. სიმართლის თქმას ამიტომაც გვასწავლიდა.**




**საბჭოეთში პიროვნების კულტის წინააღმდეგ კამპანიას ის მიესალმებოდა, ვისთვისაც სამართლიანი შრომა, რკინის დისციპლინა და წესრიგი სირთულეს წარმოადგენდა. ესენი იყვნენ უსაქმურები, თაღლითები და სხვის ხარჯზე მცხოვრები პარაზიტი ადამიანები, რომლებიც, თუ გაბედავდი და შეეხებოდი, მაშინვე იწყებდნენ ყვირილს «დესპოტიზმზე», «თავისუფლების შეზღუდვასა» და «სტალინის რეპრესიების რეციდივების» არსებობაზე**

თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა სტალინს პირადი მოსაზრების გათვალისწინებით მაღალ თანამდებობაზე გამორჩენისადმი მიდრეკილი ადამიანების დანიშვნაც დაუშვია, რაც, ალბათ, საჭირო ადამიანების მწვავე უკმარისობითაც იყო გამოწვეული. ჩემი აზრით, ასე მოხდა **ვიშინსკის** შემთხვევაშიც, რომელიც გარკვეული ხნით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა. იგი იშვიათი ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, ბრწყინვალე განათლებისა და ღრმა ცოდნის მქონე პიროვნება გახლდათ, მაგრამ არსით ოპორტუნისტი იყო. კიდევ ვიმეორებ, რომ ყურადღება პრინციპულ, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს ექცეოდა. სწორედ ამიტომ **ომის წლებში სტალინი ტყუილად არ ექახდა ჟუკოვს თავის მემკვიდრეს, ომის შემდეგ წლებში კი — ნიკოლაი ვოზნესენსკის. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც რკინის ნებისყოფითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდნენ და სამხედრო და სახელმწიფო საკითხების განხილვისას სტალინს ყველაზე ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ.** თუნდაც ცკ-ის პარტიის პლენუმზე სტალინის ბოლო გამოსვლა ავიღოთ, რომლის დროსაც მან ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება და რამდენიმე ადამიანის მაღალი თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა უახლოესი მოკავშირეები — **ვიაჩესლავ მოლოტოვი** და **ანასტას მიქოიანი,** რომლებსაც ბევრი სტალინის მემკვიდრეებად თვლიდა და რომლებმაც ბელადის კრიტიკა მუშაობაში გამოუვლენელი სიმტკიცის გამო დაიმსახურეს. მოლოტოვის მიმართ ნათქვამი შენიშვნა დღესაც უსამართლოდ მიმაჩნია, თუმცა სატალინის მიდგომა უფრო მეტად საჩვენებელი შინაარსის იყო. აქ საქმე არც „ფარულ თამაშს“ ეხებოდა და არც „ბიზანტიურ ეშმაკობას“, რომლის შესახებ საუბარიც ევროპის „სტალინოლოგებსა“ და „მრჩევლებს“ ძალიან უყვართ. მათ ნაშრომებს საზღვარგარეთ ყოფნისას საკმაოდ კარგად გავეცანი. საქმე ის არის, რომ სულ მალე სტალინმა თავისი თვალსაზრისით ღირსეული მემკვიდრე შეარჩია ერთ-ერთი მაღალი თანამდებობისთვის. ვგულისხმობ **პანტელეიმონ პონომარენკოს,** რომელიც ომის დროს პარტიზანული მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელი იყო. სტალინი იმასაც ითვალისწინებდა, რომ პონომარენკო მისი უახლოესი გარემოცვიდან არ იყო და თავისი პოზიცია გააჩნდა და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება არასოდეს უცდია. **პოლიტბიუროს რამდენიმე წევრის მიერ ხელმოწერილი საბუთი პონომარენკოს დანიშვნის შესახებ გამზადებული იყო, მაგრამ სტალინის სურვილის შესრულებას მისმა გარდაცვალებამ შეუშალა ხელი. ცკ-ის პირველ მდივნად დანიშვნის შემდეგ ხრუშჩოვმა, რომელიც საქმის კურსში იყო, ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგა, რათა პონომარენკო რაც შეიძლებოდა შორს ყოფილიყო და ის ჯერ ყაზახეთში, შემდეგ, 1955 წელს, პოლონეთში, ბოლოს კი ნიდერლანდებში ელჩად დანიშნა, თუმცა დიდი ხნის მუშაობის საშუალებაც არ მიუციათ. საშიში კონკურენტი პენსიაში რაც შეიძლებოდა სწრაფად გაუშვეს, თანაც ისე, რომ, სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობის მიუხედავად, საკმაოდ მოკრძალებული ანაზღაურება დაუწესეს.** ასე მიატოვეს უბრალო და უანგარო ადამიანი ბედის ანაბარა და სიღატაკისთვის გაწირეს. ხრუშჩოვის შემდეგ მისმა მეგობრებმა ცკ-ს მიმართეს და, როგორც იქნა, პონომარენკოსთვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფას მიაღწიეს. ამ ამბავზე თქვენი ყურადღება სპეციალურად გავამახვილე, რათა „სასტიკი“ და „დესპოტი“ სტალინის ფონზე ხრუშჩოვის „ჰუმანურობისა“ და მისი „ადამიანისადმი სიყვარულის“ შესახებ წარმოდგენა წინასწარ შეგქმნოდათ. **დიახ, სტალინი ზოგჯერ მეტისმეტად სასტიკი იყო, მაგრამ, ამასთანავე, ადამიანს, რომელსაც დაშვებული შეცდომის გამო თანამდებობრივად აქვეითებდნენ, სამუდამოდ არ სწირავდნენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაბამის ორგანოებში კვლავ აღადგენდნენ. რატომ? — იმიტომ, რომ სტალინს ადამიანების გატეხვა არ უყვარდა, კარგად ემოდა, მცოდნე ადამიანების მოძებნა არც ისე იოლი იყო და მათ შეცდომების გამოსწორების შანსს ყოველთვის აძლევდა.** ხრუშჩოვი კი მხოლოდ თავისი ძალაუფლების განმტკიცებაზე ფიქრობდა და ერთხელ უკვე განაწყენებული და უკან დაბრუნებული ადამიანები პოტენციურ საფრთხეებად მიაჩნდა.

**კითხვა:** — **საინტერესოა, როგორ შეგიძლიათ აგვიხსნათ, 30-40-იანი წლების მასობრივი რეპრესიების ფონზე პიროვნების კულტის გამოცხადებას დადებითი რეზონანსის გამოწვევა როგორ შეეძლო?**

**პასუხი:** — სახელმწიფო და პარტიულ აპარატებში ხრუშჩოვის მოღვაწეობის მთავარ მამოძრავებელ ძალას ძალაუფლებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა, რასაც ცკ-ის პირველი მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების ერთდროულად მიღებით მიაღწია. თავდაპირველად ნიკიტა სერგეევიჩის მდგომარეობა რთულად იყო. მიუხედავად პარტიაში მისი პირველობისა, პოლიტბიუროში ყველა არ იყო მისი მომხრე, პირიქით, მოწინააღმდეგეები სჭარბობდნენ. მოლოტოვს, მალენკოვს, კაგანოვიჩსა და ვოროშილოვს, აგრეთვე, სტალინის ყოფილი გარემოცვიდან გამოსულ სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, ხრუშჩოვზე არც ისე დიდი წრმოდგენა ჰქონდათ. მას ისე უყურებდნენ, როგორც უკომპრომისო ფიგურას და „ერთი საათის ხალიფას“. ხრუშჩოვი ამას კარგად ხედავდა. ამას გარდა, სახელმწიფო აპარატში სტალინის სკოლაგამოვლილი არც ისე ცოტა მოღვაწე იყო დარჩენილი, რომლებიც ხრუშჩოვის „ნოვატორულობას“ სკეპტიკურად აფასებდნენ. ხრუშჩოვის მოსვლისთანავე დღის წესრიგში „ოპოზიციის“ დასუსტებისა და განადგურების, აგრეთვე, საზოგადოების ცნობიერების ანტისტალინურ სულისკვეთებად გადაგვარების საკითხი დადგა. ამ მიზნით სტალინის საწინააღმდეგო და „რეპრესიების“ შედეგად დაზარალებულთა რეაბილიტაციის კამპანიები შესანიშნავად გამოდგებოდა, მით უმეტეს, რომ რეაბილიტირებულთა უმრავლესობა თანამდებობებს სახელმწიფო აპარატებში იკავებდნენ და, შესაბამისად, ხრუშჩოვის პოტენციურ მხარდამჭერებად იქცეოდნენ.

„საზოგადოების ფართო რეზონანს“ რაც შეე- ▶

**„ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲨᲘ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲘᲪᲝᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲤᲘᲨᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲔᲜ“.**

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲐ ᲮᲔᲚᲘ. ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲘᲧᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲜᲙᲝ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲨᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 1955 ᲬᲔᲚᲡ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲔᲚᲩᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲪᲘᲐᲗ. ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲐᲨᲘ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲔᲡ»**

ხება, ეს გარკვეული სოციალური ფენებისა და ჯგუფების ინტერესების გატარებით აიხსნება. ევროპაში სტალინის დისკრედიტაციის კამპანია საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციად გადათარგმნეს, რამაც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის დაასუსტება და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების გონების არევა გამოიწვია. მოკლედ, ეს ყველაფერი სოციალიზმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ მოხდა, რომლებიც, ძირითადად, ამ კამპანიას უკრავდნენ ტაშს.

**ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲗᲨᲘᲪ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲘᲡ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲝᲓᲐ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲔᲡᲔᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲔᲑᲘ, ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲗᲣ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲡ „ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘᲖᲛᲖᲔ“, „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲘᲓᲘᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ.**

სტალინის კრიტიკა იმ ადამიანების ნაწილსაც აძლევდა ხელს, რომლებიც სახელმწიფო და პარტიულ აპარატებში დაძაბული და მკაცრად განსაზღვრული შრომის რიტმისაგან იყვნენ გადაღლილნი და მშვიდი და შემსუბუქებული ცხოვრების მოლოდინში ხრუშჩოვის მართვის „ახალ სტილს“ იმედის თვალით უყურებდნენ. ხრუშჩოვის გამჭრიახობამ მომხრეები შემოქმედი ინტელიგენციის ფართო წრეებშიც მოიპოვა, რომელიც, საზოგადოებრივი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გამუდმებით **ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲐ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲚᲢᲝᲚᲕᲐᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲐᲛᲦᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“, „ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ „ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ“ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲜᲘᲦᲑᲐᲕᲓᲐ. ᲛᲐᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ-ᲬᲐᲛᲔᲑᲐ.** ასეთებს არ ესმით, რას ნიშნავს დაკაპიწებული მკლავებით მუშაობა და საკუთარი იდეალების დაცვა, ნებისმიერი უსამართლობისა და უმსგავსობის წინაშე იბნევიან, ფარ-ხმალს ყრიან და ამ ყველაფრის გავრცელებას „სრულ“ თავისუფლებას ანიჭებენ. **„ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲖᲛᲘᲗ“ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲨᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲔᲜ.**

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: — გულახდილად რომ გითხრათ, აზრთა თქვენეული განლაგება სქემატური მეჩვენება, თუმცა არც თანმიმდევრობა და ლოგიკა აკლია. მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში სოციალიზმის ერთგულ ადამიანებს არაერთხელ შევხვედრივარ, რომლებიც სტალინს დამნაშავედ თვლიან... თანაც, თუ კარგად გავიგე, ხრუშჩოვს სახელმწიფო და პარტიული აპარატის უმეტესობა უჭერდა მხარს. კი მაგრამ, აპარატი ხალხის მასებზე ზემოთ სტალინმა არ დააყენა და ბიუროკრატებს არნახული ძალაუფლება თავად მან არ მიანიჭა?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** — დიახ, ტენდენციურად შერჩეული და გაყალბებული საბუთების მეშვეობით ძალიან ბევრი სამართლიანი და მოაზროვნე ადამიანია შეცდომაში შესული. მით უმეტეს, რომ ოფიციალურ ვერსიასთან პოლემიკა ჩვენში მიღებული არ არის, თანაც ფიქრისა და დისკუსიის უნარი დაბალ დონეზეა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. საკუთარი მიზნების განსახორციელებლად უწმინდურმა პოლიტიკოსებმა როგორც უნდა მალონ, ისტორიაში არსებული ნამდვილი ფაქტები, ადრე თუ გვიან მაინც ამოტივტივდება.

პროფესორებისა და ლიტერატორების შეცდომაში შეყვანა უფრო ადვილია, ვიდრე უბრალო მუშის, რომელიც პოლიტიკოსს სინამდვილეში არსებული კრიტერიუმის მიხედვით აფასებს. **ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲨᲘ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲘᲪᲝᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲤᲘᲨᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲔᲜ.** ბიუროკრატებს რაც შეეხება, რომლებსაც სტალინმა დიდი უფლებები მიანიჭა, ამ მხრივ ცდებით. სტალინმა, მუშაობის გარდა, არაფერი იცოდა და თავიდან ბოლომდე საქმეში იყო ჩაფლული. დღეში 14, 15 და 16-საათიანი მუშაობის დროსაც კი თავს დასვენების უფლებას არ აძლევდა. დაწესებული რიტმის მიხედვით მუშაობდნენ პოლიტბიუროს, კომისარიატებისა და სხვა ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებში მოღვაწე პირებიც. 14-16-საათიანი სამუშაო დღე ჩვენთვის, გამონაკლისს კი არა, უფრო მეტად დადგენილ წესს წარმოადგენდა. შვებულებაში 5-6 წელიწადში ერთხელ გავდიოდით, თანაც ყველას არ ეკუთვნოდა. დასვენების დღეები თითქმის არ გვქონდა.

რკინის დისციპლინა, გამუდმებული კონტროლი, მაქსიმალური ძალით მუშაობა, და რაც მთავარია, საქმის რეალური გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული შედეგების მოთხოვნა, რომლის არარსებობის შემთხვევაში თანამდებობას ემშვიდობებოდი, ისეთ შედეგებს იძლეოდა, როგორზეც დღეს მხოლოდ ოცნება შეიძლება. მაგალითად, **ᲪᲙ-ᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ...** სხვათა შორის, შექმნილი „სირთულეების“ „ობიექტურ გარემოებებზე“ გადაბრალება არ განიხილებოდა. „ხელმძღვანელ თანამდებობებს იმიტომ იკავებთ, რომ სირთულეები გადალახოთ“, — გვეტყოდა ხოლმე სტალინი მსგავს შემთხვევებში.

წავიკითხე თქვენ მიერ ნახსენები წიგნი, რომელიც 1937 წელს **ᲚᲘᲝᲜ ᲤᲝᲘᲮᲢᲕᲐᲜᲒᲔᲠᲛᲐ** საბჭოთა კავშირის მონახულების შემდეგ დაწერა. იგი წერს, რომ საპასუხისმგებლო ადგილის განმკარგავი პირები **„ᲭᲐᲛᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲣᲗᲛᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲑᲔᲜ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲐᲜ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛ-ᲝᲗᲮ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲗᲣ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐᲕᲔᲜ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲣᲦᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲕᲜᲐᲮᲔ... ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲙᲐᲒᲝᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲗᲣ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲕᲜᲐᲮᲔ“.** სწორი დაკვირვებაა, ასეც იყო!

სხვათა შორის, სპეციალურ კვებაზე, აგარაკებზე, სასადილოებსა და მსგავს რაღაცებზე ჩვენ, კომისარიატის ხალხი, ნამდვილად არ ვფიქრობდით. ამისთვის არც გვეცალა. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ უმცირესი გადაჭარბებაც კი მკაცრად ისჯებოდა. სახკონტროლი და ცკ-ის პარტორგანოები ეფექტიანად მუშაობდნენ, მშრომელთა მხრიდან მოსალოდნელ კრიტიკასაც ითვალისწინებდნენ. **ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲕᲘᲥᲝᲜᲘᲔᲑᲗ.**



ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲓ ᲞᲐᲜᲢᲔᲚᲔᲘᲛᲝᲜ ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ



ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲝᲕᲘ

სტალინი, რომლის ცხოვრების წესი და ყოფა ბურჟუაზიული ასკეტიზმისა და პურიტანიზმისგან შორის იდგა, აპარატს ეკლიანი ხელთათმანებით იჭერდა და, მგონი, ამის მიზეზიც ჰქონდა, რადგან ცხოვრებაში არსებულ მრავალრიცხოვან ცდუნებას ხელმძღვანელების შრომისუნარიანობის დაქვეითება შეეძლო. მათდამი ნდობის დაკარგვა კი პარტიაში უბრალო ადამიანებისადმი არსებული ნდობის დაკარკვის ტოლფასი იყო, რომელზეც ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ იყო დამოკიდებული. თუმცა მსგავსი ზეექსპლუატაცია და დრაკონული რეჟიმი ყველას არ მოგვწონდა, ადამიანები ვართ და მოდუნება, ოჯახისა და პირადი ინტერესებისთვის მცირე დროის დათმობა ჩვენც გვჭირდებოდა...

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: — შეიძლება იმ დასკვნამდეც მივიდეთ, რომ ხრუშჩოვი სტალინს ბევრ რამეში ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ის ხომ პატიოსან ადამიანებს ციხეებში არ სვამდა და სისხლს არ ღვრიდა? ამას ხალხი არასოდეს აპატიებს...**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** — დარწმუნებული ხართ, რომ ხალხის გასაგონად გონივრულად მსჯელობთ? გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანები ცხოვრობენ. **ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, „ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘ“ ᲓᲐ „ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ ᲘᲧᲝ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ — ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐ.** დღეს კი ეს ხელისუფლება მეტისმეტად დანაყრებულია, ბიუროკრატიზმში არის გახვეული და ხალხის მასებს დაშორებული. გულუბრყვილო თვალსაზრისია? — შეიძლება, მაგრამ... როდესაც ამ ორ პერიოდს ერთმანეთს ვადარებ, **ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ** სიტყვები მახსენდება ხოლმე იმის შესახებ, რომ ინტელიგენტს უფრო მეტი აქვს მუშისგან სასწავლი, ვიდრე მუშას ინტელიგენტისაგან...

**ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: — უკაცრავად, მაგრამ, ამას ჩემ მიერ დასულ კითხვასთან რა კავშირი აქვს?**

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** — პირდაპირი. **ᲮᲐᲚᲮᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲡ ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ „ᲓᲠᲝᲐ, ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲡ. ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲒᲐᲞᲐᲠᲢᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲙᲕᲔᲗᲠ ᲖᲝᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲠᲘᲓᲝᲗ“. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲮᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ, ᲮᲛᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ!**

ხრუშჩოვის მონოპოლიური მართვის შედეგებმა ქვეყანა განვითარების რელსებიდან გადაიყვანა და მისი წინსვლა შეანელა, შედეგად მილიონობით ადამიანი დაზარალდა. არადა, ამ ყველაფრის თავიდან არიდება შეიძლებოდა, სტალინს სოციალიზმისთვის საშიში გამოვლინებებისადმი მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცე რომ გამოეჩინა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხრუშჩოვისა და ჟუკოვისთვის პირველი როლის შესრულების საშუალება არ უნდა მიეცა. რა თქმა უნდა, სასამართლოსა და ციხეს არ ვგულისხმობ. ამ მართლაც გამორჩეული ადამიანების პენსიაში გაშვებაც საკმარისი იქნებოდა... ალბათ, მეტყვით, რომ უსამართლო და სასტიკი გადაწყვეტილებაა. საქმეს მათი გადასახედიდან თუ შევხედავთ, ნამდვილად ასეა, მაგრამ ათობით მილიონი ადამიანის ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ, ეს რეპრესიები აუცილებელი და სამართლიანიც კი იქნებოდა. სხვათა შორის, ნამდვილი ლენინური პოლიტიკაც მსგავსი ინტერესების დაცვას ემსახურება, როცა საერთო კერძოზე მაღლა დგას.

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოსტსაბჭოთა სივრცეში სოციალურმა და პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ და საზოგადოებების დემოკრატიზაციის დასავლურმა მიდგომამ უკუეფექტი გამოიღო, რაც უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ პოლიტიკურ სივრცეში, ადგილობრივი ღირებულებების, ეროვნული მენტალიტეტის გაგებისა და გათვალისიწინების გარეშე, დასავლური ცხოვრების სტანდარტებისა და პოლიტიკური თეორიული ნორმატივების იძულებითმა დანერგვამ, მისი არადასავლური საზოგადოებებისთვის იძულებითმა თავს მოხვევამ, იგი კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა.**

# ალტერნატიული პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური კონტურები

**ქართული პოლიტიკური სივრცე ღარიბია კონკრეტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკური პარტიებით. პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა, გაცხადებული ღირებულებითი კუთვნილებიდან გამომდინარე, ლიბერალური იდეოლოგიური ორიენტაციისადმი ერთგულებას ავლენს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ისინი თავიანთ თავს ვის მხარდამჭერებად აცხადებენ — ლიბერალიზმის მემარჯვენე-ცენტრისტული თუ მემარცხენე-ცენტრისტული განშტოებების. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათ მსოფლმხედველობრივი ორიენტირის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ქართული პარტიების სურვილი, მოხდეს საქართველოს ინტეგრირება დასავლურ სტრუქტურებში — ნატოსა და ევროკავშირში.**



პოლიტიკური პარტიების ლიდერები და, აგრეთვე, მათი წარმომადგენლები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იდეოლოგიურ კუთვნილებაზე საუბრისას ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ, რომ შეუძლებელია მათი იდენტიფიცირება რომელიმე იდეოლოგიურ მიმდინარეობასთან. ეს მოცემულობა ქართველ ელექტორატში იწვევს გაურკვევლობას, დეზორიენტაციას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ ნიჰილისტურად განაწყობს კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისადმი და, საზოგადოდ, პოლიტიკური პროცესებისადმი. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ქართველ საზოგადოებაში იკვეთება მოთხოვნა, ჩამოყალიბდეს ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელიც დაეყრდნობა ლიბერალურ იდეოლოგიასთან მსოფლმხედველობრივ კონფრონტაციაში მყოფ იდეოლოგიურ მიმდინარეობებს. სანამ უშუალოდ გამოვკვეთდეთ ალტერნატიული პოლიტიკური პარტიისთვის აუცილებელ იდეოლოგიურ პარადიგმას, მიზანშეწონილი იქნება, მიმოვიხილოთ ის კრიზისული პროცესები, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში ახლავს ლიბერალურ იდეებს და ლიბერალურ პოლიტიკურ ფილოსოფიას.

**პოლიტიკური იდეები და პოლიტიკური ფილოსოფია ფასდაუდებელ ფუნქციას ასრულებდა კაცობრიობის ისტორიაში. პოლიტიკური ფილოსოფია იყო ის ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სოციალური და პოლიტიკური სისტემების კონსტრუირება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და მათ ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობდა სოციალური განვითარების ერთი საფეხურიდან გადასვლას მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე, დამახასიათებელი იყო მანამდე გაბატონებული პოლიტიკური იდეების კრიზისი.**

როგორც ადრე, ყოველ გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური თეორიებისთვის დამახასიათებელი იყო პერიოდული კრიზისი, რომელიც დღევანდელ ეპოქაშიც აშკარად შეიმჩნევა. სრული დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თანამედროვე ეპოქაში საზოგადოებების სრულმა ლიბერალიზაციამ, შეგნების მკვეთრმა ინდივიდუალიზაციამ და სეკულარიზაციის მასობრივმა პროცესმა დომინანტური პოლიტიკური თეორიები და იდეები გლობალური მასშტაბით მიიყვანა ღრმა კრიზისამდე და ხშირად მათი დანერგვა-იმპლემენტაციის პროცესი წინააღმდეგობაშია საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. ეს პროცესი ასახვას ჰპოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, რაც თავისთავად აისახება პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციობასა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთერთქმედებაზე.

**XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ეტაპზე დასავლურ ინტელექტუალურ წრეებში (და არა მხოლოდ) სჯეროდათ, რომ გაიმარჯვა ლიბერალურ-კაპიტალისტურ პლატფორმაზე მდგარმა პოლიტიკურმა იდეებმა და მის პრინციპებზე ფორმირებულმა საზოგადოებრივმა წესრიგმა.** მათი გათვლებით, ამას უნდა გამოეწვია არალიბერალურ სახელმწიფოებში იმ სოციალური სისტემებისა და სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების გავრცელება და დანერგვა, რომლებიც დაეფუძნებოდა გამარჯვებულ ლიბერალურ სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებს. საკუთრივ ამ ფაქტმა დასავლელი მოაზროვნეები და, კერძოდ, **ფრენსის ფუკუიამა** მიიყვანა „ისტორიის დასასრულისა“ და პოსტისტორიის ერის დადგომის კონცეფციამდე. ამის არსს წარმოადგენდა ის, რომ დასავლურმა ლიბერალურმა ღირებულებებმა და მასზე დაშენებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს, რომელიც, ამასთანავე, ნიშნავდა ლიბერალურ პოლიტიკურ იდეებზე აგებული სოციალური და პოლიტიკური სისტემების ფორმირების გარდაუვალობას. ამ პროცესს თავისთავად უნდა გამოეწვია, როგორც სახელმწიფოების, ასევე ინდივიდუალური კულტურული ორიენტაციის მქონე ადამიანების ჰარმონიული თანაარსებობა.

შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ გამარჯვებული დასავლური პოლიტიკური თეორიები და მიდგომები აღმოჩნდა პრობლემების წინაშე, როგორც არადასავლური, ასევე დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში ჩამოყალიბებულ საზოგადოებებში. ბევრი დასავლელი ინტელექტუალის აზრით, **კრიზისის მიზეზს წარმოადგენენ ცივილიზაციათა შორის ურთიერთობებისა და ევოლუციის პროცესში წარმოქმნილი, განსხვავებული სოციო-კულტურული ტიპები, რომლებსაც განსხვავებული მიდგომები აქვთ, როგორც ადამიანის ცხოვრების მიმართ, ასევე ზნეობრივ-მორალურ საწყისებზე.** ამას დიდად შეუწყო ხელი გლობალური, ულტრალიბერალური ძალებისა და მათი ინტერესების გამტარი პოლიტიკური ელიტის ძალისხმევამ, შეესუსტებინათ ეროვნული სახელმწიფოს პოზიციები. საიდუმლო არავისთვისაა, რომ სხვადასხვა ცივილიზაციის ფარგლებში არსებულ ერებსა და მასზე დაშენებულ, ეროვნული სახელმწიფოების შიგნით მცხოვრებ სოციალურ ჯგუფებს გარემო პირობების განსხვავებული აღქმა აქვთ, ამიტომ ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა გააჩნიათ მორალისა და ადამიანის უფლებების მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **დასავლელი ინტელექტუალების, ფილოსოფოსების მიერ შემუშავებული პოლიტიკური იდეებისა და თეორიების გავრცელებამ, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური დღის წესრიგი, არადასავლურ რეგიონებში საზოგადოების ფართო მასების ცნობიერებაში სრული კრახი განიცადა, რადგან მათი მიდგომები და კონცეფციური ხედვები თუ მისაღები იყო დასავლურ საზოგადოებებში სოციალიზებული ინდივიდებისთვის, სრულიად მიუღებელი და ნეგატიური შედეგების მომტანი აღმოჩნდა არადასავლურ საზოგადოებებში მცხოვრები ადამიანებისთვის, როგორც ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მოხდა ისე, რომ დასავლურმა ლიბერალურმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ ვერ გაუგო არადასავლური ცივილიზაციის წიაღში აღზრდილი და სოციალიზებული ადამიანების ბუნებას, რომელმაც, თავის მხრივ, გააღრმავა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები.**

თუ ჩვენ მივუდგებით პოლიტიკურ თეორიას, როგორც ნორმატიულ და საბაზისო ჩარჩოს, საზოგადოებრივი სტრუქტურების ფუნქციონირებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთქმედებისთვის, მაშინ საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი, დიდი ალბათობით, იძულებული იქნება, გადახედოს, გადააფასოს და მოახდინოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მისაღები პოლიტიკური იდეებისა და თეორიების კონცეპტუალიზაცია, რომელიც სასარგებლო იქნება საზოგადოებრივი სტრუქტურების ნორმალური და გონივრული ფუნქციონირებისთვის. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ **პოსტსაბჭოთა სივრცეში სოციალურმა და პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ და საზოგადოებების დემოკრატიზაციის დასავლურმა მიდგომამ უკუეფექტი გამოიღო, რაც უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ პოლიტიკურ სივრცეში ადგილობრივი ღირებულებების, ეროვნული მენტალიტეტის გაგებისა და გათვალისიწინების გარეშე, დასავლური ცხოვრების სტანდარტებისა და პოლიტიკური თეორიული ნორმატივების იძულებითმა დანერგვამ, მისი არადასავლური საზოგადოებებისთვის იძულებითმა თავს მოხვევამ იგი კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა.**

საქართველოს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ **დასავლური პოლიტიკური თეორიებით შეიარაღებული და დასავლელი კონსულტანტებით ზურგგამაგრებული ადგილობრივი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ძალისხმევამ, მოეხდინათ ადგილობრივი საზოგადოების ტრანსფორმაცია-გარდაქმნა,სრული კრახი განიცადა.** ტრანსფორმაციისა და გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობდა და დღესაც ხორციელდება ულტრალიბერალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების ტოტალური დანერგვით, რომელიც ხშირად პოლიტიკური კლასის მიერ ხორციელდება ვოლუნტარისტულად, ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. თვით დასავლური პოლიტიკურ-სამართლებრივი გაგებითაც ლიბერალური საზოგადოებრივი წესრიგის დანერგვის პროცესი (მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში) მიმდინარეობდა ადამიანის უფლებებისა და პირადი ღირსების შელახვით და უხეში დარღვევით. ზუსტად ამ პროცესმა შეუწყო ხელი ქვედა ფენის, ანუ არაელიტის კონსოლიდაცია-მობილიზაციას მმართველი კლასის წინააღმდეგ, რაც დასრულდა კიდეც „ქართველი რეფორმატორული ელიტის“ სრული მარცხით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

აქვე აუცილებელია, აღინიშნოს, რომ დასავლურ სამყაროშიც შეიმჩნევა თანამედროვე პოლიტიკური იდეების კრიზისი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან: **1.** დასავლური პოლიტიკის თეორეტიკოსებმა, რომელთა იდეები ეფუძნება ლიბერალურ თეორიულ მიდგომებს, ყურადღება არ მიაქციეს იმ მთავარ ლიბერალურ პრინციპებს, რომელთა ფუნდამენტზეც დგას ეს თეორიები, კერძოდ, მის ინდივიდუალისტურ ბუნებას, რომელმაც გამოიწვია საზოგადოებების ფრაგმენტაცია, მკვეთრად დაყოფილ და ეგოიზმზე დაფუძნებულ ატომიზებულ ინდივიდუუმებად. ეს კი თავისთავად წინ გადადგმულ ნაბიჯად იქცა მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოების დემონტაჟისკენ მიმართულ საქმეში, რომლის გაგრძელება საფრთხეს უქმნის ერების თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და სუვერენული სახელმწიფოების არსებობასაც, მოდერნისტული გაგებით. აღნიშნული არის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მარჯვნიდან, ანუ კონსერვატიული იდეოლოგიური პლატფორმიდან წინააღმდეგობის გაწევა ულტრალიბერალური სოციალური მოდელისთვის. ამ ყველაფერმა ბიძგი მისცა საზოგადოებრივი წესრიგის კრიზისს, რომელიც ეფუძნებოდა ულტრალიბერალურ და ულტრა-მოდერნისტულ თეორიებს; **2.** ლიბერალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის პროცესმა ასევე მისცა სტიმული საზოგადებების არანორმალურ და შეუზღუდავ ფინანსურ კაპიტალიზაციას, რომელმაც შექმნა ეკონომიკურ-მატერია- ▶

**დასავლური პოლიტიკური თეორიებით შეიარაღებული და დასავლელი კონსულტანტებით ზურგგამაგრებული ადგილობრივი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ძალისხმევამ, მოეხდინათ ადგილობრივი საზოგადოების ტრანსფორმაცია-გარდაქმნა, სრული კრახი განიცადა**

ერთი ფიქრი მაწუხებდა: ნუთუ ვერ შევასრულებ ბერი გაბრიელისთვის მიცემულ პირობას? სრულიად მოულოდნელად და ჩემდა უნებურად (არ ვაჭარბებ) წავედი ბაზრობის იმ რიგისკენ, რომელთანაც მისვლას არ ვაპირებდი. „ალბათ, კარგად ვერ გამოვიძინე“, — გავიფიქრე იმწამს და... აღმოვჩნდი ქართული მონასტრის მაღაზიის წინ, რომლის თითქმის ნახევარი ბერი გაბრიელისადმი იყო მიძღვნილი. „მან მოგიყვანათ ჩვენთან!“ — დაასკვნეს მორჩილებმა, ჩემი გაოცების მიზეზი რომ შეიტყვეს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლური თვალსაზრისით საზოგადოებების მკვეთრი იერარქია, რომელმაც ფინანსური კაპიტალისა და სახელმწიფო რესურსების გადაქაჩვა გამოიწვია საზოგადოების ზედა ფენებში. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ხელი შეუწყო საზოგადოების მდიდარი უმცირესობის კიდევ უფრო მეტად გამდიდრებას.

ჩემ მიერ აღწერილი პროცესი შეიძლება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში იმ დოზით და მასშტაბებით არ ჩანდეს, როგორც საქართველოში, თუმცა ბევრი დასავლელი ინტელექტუალი ამაზე პირდაპირ მიუთითებს.

ზემოთ გადმოცემული ანალიზიდან ნათლად იკვეთება ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული და დასავლეთში დღემდე მოქმედი სოციალური და პოლიტიკური სისტემები გადახურების მდგომარეობაშია. ეს ეფუძნება მიმდინარე ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებზე დაყრდნობითაც ჩანს ულტრაკონსერვატიული და ულტრამემარცხენე იდეების ზრდის ტენდენცია ევროპის კონტინენტზეც. თუ ჩვენ განვაზოგადებთ მიმდინარე პროცესებს უფრო გლობალურ ფარგლებში და გავცდებით ევროპას, მაშინ ეტაპობრივად მოხდება იმ იდეებისა და იდეოლოგიური მოდელების გარდაუვალი აღმავლობა, რომლებიც ლიბერალური იდეოლოგიის პარადიგმის გარეთ არის მოქცეული და მომავალში ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდება პოლიტიკური და სოციალური დღის წესრიგის ფორმირებისას.

მსოფლმხედველობრივი ცვლილების ტენდენციის გაანალიზების შემდეგ, სადაც იკვეთება თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკური თეორიის ღრმა კრიზისი, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ რეალობასთან, ჩვენ შეგვიძლია ერთი დასკვნის გაკეთება: ის სოციალური და პოლიტიკური თეორიული მოდელები, რომლებიც ეფუძნება ულტრალიბერალურ იდეოლოგიურ პლატფორმას, როგორც ჩანს, ახლო მომავალში სრულიად მიუღებელი გახდება ბევრ ქვეყანაში საზოგადოებების უმრავლესობისთვის, ამიტომ, თუ ლიბერალური პოლიტიკური თეორიები გამოუსადეგარი იქნება, უნდა დავსვათ შეკითხვა: **რომელი იდეოლოგიური მიდგომა იქნება ჩვენთვის უფრო მისაღები?**

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღევანდელობა გახდება ის ეპოქა, რომელშიც გაიზრდება ანტიგლობალისტური ტენდენციები და შესაბამისად მოიმატებს მოთხოვნა ანტილიბერალურ პოლიტიკურ თეორიებზე. თუ პირდაპირ ვიტყვით: **ეს იქნება კონსერვატიული და ნაციონალისტური პოლიტიკური იდეების აღმავლობის ეპოქა.** პირველ რიგში, როგორც დასავლურ ნახევარსფეროში, ასევე მის ფარგლებს მიღმა საზოგადოებებში არსებული სოციალური წესრიგი დაეფუძნება მემარჯვენე პოლიტიკურ იდეებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომ **უახლოეს მომავალში თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკური იდეები, ისევე, როგორც ლიბერალურ ეკონომიკაზე დაფუძნებული სოციალური მოდელები, აღმოჩნდება ძალიან დიდი კრიზისის წინაშე, რადგან უკვე ველარ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს. ამიტომ უპრიანია, მომავალში ალტერნატიული პოლიტიკური პარტიის სტრუქტურების აგება დაეყრდნოს კონსერვატიული და სოციალისტური იდეების სინთეზირების ბაზაზე შექმნილ იდეოლოგიურ პლატფორმას.**

ამ ორი პოლიტიკური მიმდინარეობის თეორიული დაახლოების პროცესი არც ისე რთულია, ვინაიდან მათი იდეოლოგიური მიდგომები გარკვეულ საკითხებში იდენტურია. კერძოდ, განსხვავებით ლიბერალიზმისგან, ორივე პოლიტიკური თეორია აღიარებს კოლექტივის უპირატესობას ინდივიდზე. თუ სოციალიზმის ამოცანას წარმოადგენს, დაიცვას მუშათა კლასის კოლექტიური ინტერესები, კონსერვატიზმის შემთხვევაში მისი უმთავრესი იდეოლოგიური ფუნქციაა, დაიცვას ერის, როგორც კოლექტიური ერთობის, და სხვა ტრადიციული სოციალური ჯგუფების ინტერესები. აქედან გამომდინარე, ძალიან ადვილია პროლეტარიატის დაცვის პრინციპის გადატანა ტრადიციულ, კოლექტიურ საზოგადოებრივ ჯგუფებზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია, დარწმუნებით აღვნიშნოთ, რომ **ორი იდეოლოგიური პარადიგმის სინთეზირების საფუძველზე შექმნილ თეორიულ მოდელს შესწევს უნარი, არსებული კრიზისიდან გამოიყვანოს როგორც დასავლური, ისე არადასავლური საზოგადოებები.** შესაძლოა, რომ სხვადასხვა ცივილიზაციურ წიაღში ფორმირებულ საზოგადოებებში ერისა და კონსერვატიული მიდგომების გაგება იყოს განსხვავებული, მაგრამ მათი უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესია ის, რომ დაცული და შენარჩუნებული იქნას ის ტრადიციული კულტურული და სულიერი ღირებულებები, რომლებიც კულტურული დომინანტის როლს ასრულებს ამა თუ იმ ერსა და ეთნიკურ ჯგუფში.

ამდენად, ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ **უახლოეს მომავალში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც საზოგადოებრივი დაკვეთა დაეყრდნობა, კონსერვატიული და სოციალისტური იდეების შერწყმის საფუძველზე კონცეპტუალიზებულ და მის ბაზისზე შექმნილ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარ პოლიტიკურ პარტიებს; ამიტომ დროა, ქართველი საზოგადოების პატრიოტი ნაწილი დაფიქრდეს ალტერნატიულ, არალიბერალურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პარტიის შექმნის აუცილებლობაზე**, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, ისტორიის მოცემულ ეტაპზე გადალახულ იქნას კულტურული და ეროვნული იდენტურობის ის კრიზისი, რომელშიც ღრმად არის ჩაფლული ქართველი საზოგადოება და რომლისკენაც მიაქანებს მას თანამედროვე საქართველოში გაბატონებული პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასი.

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

# ბერი გაბრიელის პატარა სასწაული



**წმინდანების „პირადად გაცნობა“ ყოველთვის მიუღწევლად და აუხსნელად ხდება. ალბათ, იმიტომ, რომ, როგორც საღვთო წერილშია ნათქვამი, „სული იქ სუნთქვას, სადაც სურს“. ამ პირველსახეშია ღმერთის ჩვენეული აღქმის თავისუფლება — განწმენდა ცოდვებისგან, დამმონებელ სისუსტეთაგან, იმ ყველაფრისგან, რასაც უფალს შევთხოვთ და რასაც ჩვენდა შესაწევნად თავიანთ ლოცვებში აღავლენენ წმინდანები.**

**ბერი გაბრიელის (ურგებაძის)** შესახებ შემთხვევით შევიტყვე და იმთავითვე პატივისცემითა და სიყვარულით განვიმსჭვალე მისდამი. წარმოუდგენელია, სხვაგვარად ყოფილიყო. მისი მხურვალე რწმენა, რომელიც ძველი აღთქმისდროინდელ წინასწარმეტყველებს გვახსენებს, გარშემო მყოფებზე ზრუნვა, მათ მიმართ მამა-შვილური დამოკიდებულება, მისკენ იზიდავდა ადამიანებს ბერის მიწიერი ცხოვრების ჟამს და ასე გრძელდება დღესაც: მავანთათვის — წმინდანების ცხოვრების აღწერის კითხვის დროს, სხვებისთვის (ასეთები კი ცოტანი არ არიან) — ძილში გამოცხადებისას რომ ამხნევებს მათ რჩევით, ამშვიდებს და აკვალიანებს გაჭირვებულებს.

ყველაფერი მარტივად დაიწყო: წავიკითხე წმინდა გაბრიელის შესახებ და შევთხოვე მას, კალთა გადაეფარებინა ჩემი ოჯახისთვის. მალევე ჩემი ქმარი გაემგზავრა წმინდა აღდგომის მონასტერში, რომელიც ქალაქ ტოლიატთან ახლოს მდებარეობს, სადაც დაკრძალულია ჩვენი სულიერი მამა. დიდად გავოცდი, რომ სწორედ იმ მონასტერში, ადამიანმა, რომელიც წმინდა მამას თავის მემკვიდრედ მიაჩნდა, ჩემს ქმარს აჩუქა... ზეთი, რომელიც ნაკურთხი იყო ბერი გაბრიელის წმინდა ნაწილებზე. **ყოფითმა ცნობიერებამ ვერ გაითავისა ასეთი რამ: სად ტოლიატი და სად ის ადგილი, ბერი გაბრიელი რომ ცხოვრობდა! გული კი ხარობდა.**

დაახლოებით ერთი თვის წინათ ინდოეთიდან, სადაც ჩემი ქმარი მსახურობდა, რუსეთში დაბრუნება მოგვიხდა. ზუსტად გამოფრენის წინ ჩვენი ბიჭი ძალიან ავად გაგვიხდა. ადგილს ვერ ვპოულობდით. ერთი მხრივ, გვიუქმდებოდა ძვირად ღირებული ბილეთები, რომლებიც კეთილისმყოფელებმა გვიყიდეს; მეორე მხრივ, ვერ გავრისკავდით ავადმყოფი ყმაწვილის თვითმფრინავით მგზავრობას, რომელიც ისეთ მდგომარეობაში იყო, როცა ნორმალური ადამიანები „სასწრაფო დახმარებას“ გამოუძახებენ პაციენტის საავადმყოფოში გადასაყვანად. **საქმეში „მესამე ფაქტორი“ ჩაერია — ჩვენი ბიჭი, რომელმაც კატეგორიულად განგვიცხადა: აუცილებლად უნდა გავფრინდეთო. „მოდი ვილოცოთ და ყველაფერი კარგად იქნება!“ — თქვა მან.**

ნაკურთხი ზეთი მის საწოლთან იდგა. **წავიცხეთ ზეთი, დავიწყეთ ლოცვა და პირობა დავდეთ, რომ ბერის ხატს აუცილებლად შევიძენდით ჩვენი ტაძრისთვის. შვილის მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა — ფეხზე წამოდგომა შეძლო. დროს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ჩვენი ბიჭი ერთ დღე-ღამეში სრულიად გამოჯანმრთელდა.**

ჩავედით სამარაში და ყველა ეკლესიაში, სადაც კი მივედით, საეკლესიო ატრიბუტიკის მაღაზიაში ბერი გაბრიელის ხატი მოვიძიეთ, მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ. წავედით მართლმადიდებლურ ბაზრობაზე, მაგრამ ვერც იქ ვიპოვნეთ.

ერთი ფიქრი მაწუხებდა: ნუთუ ვერ შევასრულებ ბერი გაბრიელისთვის მიცემულ პირობას? სრულიად მოულოდნელად და ჩემდა უნებურად (არ ვაჭარბებ), წავედი ბაზრობის იმ რიგისკენ, რომლისკენაც წასვლას არ ვაპირებდი. „ალბათ, კარგად ვერ გამოვიძინე“, — გავიფიქრე იმწამს და... აღმოვჩნდი ქართული მონასტრის მაღაზიის წინ, რომლის თითქმის ნახევარი ბერი გაბრიელისადმი იყო მიძღვნილი.

**„მან მოგიყვანათ ჩვენთან!“ — დაასკვნეს მორჩილებმა, ჩემი გაოცების მიზეზი რომ შეიტყვეს.**

მათ რომ მოვუსმინე, ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ახლახან წავიკითხე. ქალს სამშობლოში დაბრუნება სურდა და დახმარებას სთხოვდა წმინდა გაბრიელს. ბერი მას გამოეცხადა და უთხრა: „როგორ ამბობ, რომ ჩემზე ლოცულობ? სად გაქვს ჩემი ხატი, სადაა აკაფისტი?“ (აკაფისტი — ქების სიმღერა ან საზეიმო საგალობელი, რომლის შესრულება-მოსმენა მხოლოდ ფეხზე დგომით შეიძლება).

**ამოვირჩიე ხატი ტაძრისთვის და გავიფიქრე, რომ ჩემთვის არც ხატი მქონდა შეძენილი, არც აკაფისტი. მაშასადამე, ბერს შეეძლო ჩემთვის ეთქვა იგივე, რაც იმ ქალს უთხრა. მაშინვე, როგორც კი ეს გავიფიქრე, მორჩილმა მითხრა: „მე თქვენ გაჩუქებთ მის პატარა ხატს და აკაფისტს!“ ნაჩუქარი ხატი ზუსტად ისეთივე აღმოჩნდა, რომლის რეპროდუქცია დაწებებული იყო წმინდა ზეთის ჭურჭელზე, შინ რომ გვქონდა შენახული.**

ბერი გაბრიელისადმი მიძღვნილი აკაფისტები სოციალურ ქსელში უამრავია, მაგრამ ისეთი, მე რომ მაქვს, ვერ ვიპოვე.

საეკლესიო მაღაზიაში დასვენებული ბერის დიდი ხატი მის წმინდა ნაწილებზე იყო ნაკურთხი. ხატის წინ ვილოცეთ, შემდეგ მარტო დავრჩი ხატის წინაშე, რათა ბერისთვის რჩევა მეკითხა. ლოცვის დამთავრებისთანავე მორჩილებმა მითხრეს: „აიღე — მისი სისხლია“.

**ეს იყო ფოტოსურათი პატარა სინჯარისა, რომელშიც ესხა სისხლი. გაირკვა, რომ ერთ ხანს წმინდა ბერი საავადმყოფოში იწვა და, როგორც ყველა პაციენტი, ისიც გამოიკვლიეს, სისხლიც აუღეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს სინჯარა არავის გახსენებია. იპოვეს საკმაოდ მოგვიანებით. ანალიზით დადგინდა, რომ ეს სისხლი ისეთ მდგომარეობაში იყო, თითქოს წუთის წინათ აეღოთ.**

ამ საჩუქრის აზრი თავდაპირველად ვერ გავიგე. „ამბობენ, ლოცვა სისხლის გაღებას ნიშნავსო... ეგებ, წმინდა გაბრიელს სურს, მითხრას, რომ იგი ჩემთვის ლოცულობს?“ — გავიფიქრე.

რამდენიმე დღის შემდეგ მძიმედ ავად გავხდი. ამ ავადმყოფობამ ხელი დამრია იმ დღეს, როცა სტავროპოლის მამათა მონასტერი დავტოვეთ და წინ მრავალსაათიანი გზა გვედო. „ადამიანები მონასტრიდან სულიერად და ფიზიკურად გაჯანსაღებულები ბრუნდებიან. მე კი... რა დიდი ცოდვილი ვყოფილვარ!“ — მტანჯავდა ფიქრი. **მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, როცა მდგომარეობა უკიდურესად გამირთულდა და მედდამ ჩემი სისხლის ანალიზი გამაცნო, გამახსენდა ჩემთვის მორთმეული სინჯარის ფოტო. ჩანს, წმინდა ბერს სურდა, სასო არ წარმკვეთოდა, მანიშნა, რომ „ყველაფერს აკონტროლებს“, რომ ეს უსიამოვნებაც ღვთის ნებით შემეყარა, და იგი საბოლოოდ რაღაც სარგებლის მომტანი იქნებოდა.**

ყოველ დილით ვკითხულობ ნაჩუქარ, ძალიან ლამაზ აკაფისტს. მწამს, რომ სიძნელეები, რომელთა დაძლევა მიწევს, რაღაცისთვისაა საჭირო. მწამს, რაც გინდა მოხდეს, ბერი გაბრიელი გვერდით გვეყოლება და ჩვენთვის ილოცებს.

**იულია კულაკოვა,**
„პრიხოჟანინი“,
2018 წლის 8 ოქტომბერი

ყოველ დილით ვკითხულობ ნაჩუქარ, ძალიან ლამაზ აკაფისტს. მწამს, რომ სიძნელეები, რომელთა დაძლევა მიწევს, რაღაცისთვისაა საჭირო. მწამს: რაც გინდა მოხდეს, ბერი გაბრიელი გვერდით გვეყოლება და ჩვენთვის ილოცებს

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვინც გვპირდებოდა მილიონ სამუშაო ადგილს, მან მილიონი უმუშევარი წარმოშვა და მილიონზე მეტი იძულებული შეიქნა, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად ქვეყნის გარეთ გასულიყო... ვინც გვპირდებოდა სიღარიბის დაძლევას, მან სიღატაკემდე მიგვიყვანა. ვინც გვპირდებოდა სტაბილურობასა და კეთილდღეობას, ომამდე და დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანა“.**

# თემურ შაშიაშვილი: ასე ცხოვრება აღარ შეიძლება —

**თავისი საპრეზიდენტო პროგრამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ კორესპონდენტს ესაუბრება ბატონი თემურ შაშიაშვილი.**

**— ბატონო თემურ, ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ხაზგასმით აცხადებდით, რომ იწყებთ საერთო-სახალხო მოძრაობას სიყალბის წინააღმდეგ. სიყალბეში, კერძოდ, რას გულისხმობთ?**

— დღემდე ყველა მთავრობა ამბობდა, რომ მუშაობს კარგად, მივდივართ წინ, პირველები ვართ ყველაფერში. თუ ეს ყველაფერი სწორი იყო, მაშინ რატომ ცხოვრობს ხალხი უარესად — ღარიბი უფრო ღარიბი როგორ გახდა, მდიდარი უფრო როგორ გამდიდრდა?!

გენიალურად თქვა მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა მეცნიერმა, განწყობის თეორიის ფუძემდებელმა **დიმიტრი უზნაძემ:** „...გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ლატაკნი ვართ, არამედ ლატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“

მოქმედებაა საჭირო — **ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, უპირველესად, მოსახლეობა დაინახავს, რა მასშტაბის სიყალბესთან გვაქვს საქმე.**

**— ბრძოლის რა პროგრამას გვთავაზობთ?**

— არსებული კანონის დაცვით შევეცდები, გამოქვეყნდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ წარდგენილი ხელმომწერთა სიები. მოსახლეობას თმა ყალყზე დაუდგება. **რას უნდა ველოდოთ იმ პარტიებისა და ადამიანებისგან, რომლებიც სიყალბით იწყებენ პრეზიდენტობისთვის ბრძოლას...**

დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით შევქმნი კომპეტენტურ ჯგუფებს და გავაანალიზებ არჩევნების წინ პარტიებისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საარჩევნო დაპირებების შესრულებას. ვიფიქრებ ისეთ საკანონმდებლო სისტემაზე, რომელიც არ მისცემს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იმ პოლიტიკურ ძალას თუ პიროვნებას, რომელმაც ხალხი მოატყუა. ექსპერტთა მონაწილეობით შევადგენთ ადამიანის საარსებო კალათას. **გაირკვევა, რომ ყველა ეტაპზე ყველა გვატყუებდა: რომ საარსებო მინიმუმი რამდენჯერმე აღემატება მთავრობის მიერ დადგენილს.**

გავაანალიზებთ: რას ლაპარაკობენ პოლიტიკოსები ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ. ვნახავთ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო იქნება ეს გამოსვლები. ისინი პარპაშებენ, ჩვენ კი მონებად გვაქციეს.

**სიყალბის დაფინანსებად მივიჩნევ პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების იმ სისტემას, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო და წარმატებულად განაგრძო „ქართულმა ოცნებამ“. ტრაგედიაა, როცა ქვეყანაში პარტიებს ხალხის ფულით გაცილებით მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე მეცნიერებას, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ მის გასაუქმებლად. მიმაჩნია, რომ ეს თანხა მეცნიერების განვითარებისკენ უნდა იქნას მიმართული.**

მაღალი პოლიტიკური კულტურა და სტანდარტები უნდა დამკვიდრდეს სიყალბეზე აგებული მახინჯი სისტემის ნაცვლად.

**— რას ეფუძნება ეს საყოველთაო სიყალბე, საიდან მოდის?**

**— დღეს ყველგან და ყველაფერში იგრძნობა უმცირესობის დიქტატურა, რომელიც დემოკრატიად მონათლეს. პოლიტიკური უმცირესობის ხელშია ფულიც, ქონებაც, კარგად ცხოვრების პრივილეგიაც, მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში შვილების სწავლის უფლებაც, პარლამენტსა და ხელისუფლებაში უმრავლესობის მოპოვების მექანიზმებიც და, აქედან გამომდინარე, თავიანთი ძალაუფლების განმტკიცების საკანონმდებლო ბაზის შექმნის უფლებაც.** პირდაპირ გეტყვით: **რეალურად ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხი კი არ არის, როგორც ეს კონსტიტუციითაა აღიარებული, არამედ ის უმცირესობა, რომელმაც ყველაფერი მიითვისა, ცენტრშიც და პერიფერიაზეც. ნიშანდობლივია, რომ ეს სენი სოფელსაც მოედო, არაფრად აგდებს უმრავლესობის უფლებასა და ინტერესებს!**

ჩვენ ვცხოვრობთ მოჩვენებითი დემოკრატიის, ყალბი ეროვნული პათოსის, სოციალური დემაგოგიისა და ელიტარული კორუფციის ქვეყანაში.

**ყველაფერი ეს ურცხვად არის გამყარებული კანონმდებლობით. კონსტიტუციაც კი იცავს პარტიულ და არა სახელმწიფოებრივ ინტერესს, საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ტყუილზე, სიცრუესა და სიყალბეზე არიან აგებული. ვინც გვპირდებოდა მილიონ სამუშაო ადგილს, მან მილიონი უმუშევარი წარმოშვა და მილიონზე მეტი იძულებული შეიქნა, ოჯახის გადასარჩენად ქვეყნის გარეთ გასულიყო... ვინც გვპირდებოდა სიღარიბის დაძლევას, მან სიღატაკემდე მიგვიყვანა. ვინც გვპირდებოდა სტაბილურობასა და კეთილდღეობას, ომამდე და დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანა, კორუფციის დაძლევის ნაცვლად ელიტარული კორუფციული სისტემა შექმნა... და დღეს იგივე ხალხი გვმოძღვრავს ტელეეკრანებიდან, გვკვებავს დემაგოგიით, მათი წარმომადგენლები კი პრეზიდენტობისთვის იბრძვიან.**

სიყალბეზე აგებული ეს მახინჯი სისტემა უნდა დაინგრეს!

**— და მის ნაცვლად, როგორც თქვენს კრებულში „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ ჩამოაყალიბეთ, აპირებთ ეროვნული მიზნისა და ნაციონალური იდეისთვის მებრძოლი ხელისუფლების შექმნას. ასეა?**

— დიახ, ასეა: ქვეყნის მისია, ეროვნული მიზანი და ნაციონალური იდეაა.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის მისიაა, ვიყოთ ქრისტიანობის დასაყრდენი სამხრეთ კავკასიაში და ქრისტიანული ფასეულობებითა და ცხოვრების წესით მისაბაძი მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. ეს ნიშნავს ტოლერანტულ განწყობას ყველა ტრადიციული რელიგიისადმი. ჩვენი ისტორიული წარსული გვარწმუნებს, რომ ამის ძალაც შეგვწევს და მორალური უფლებაც გვაქვს.

ეროვნული მიზანი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს, საზღვრების განმტკიცება და დაცვა, ხოლო ნაციონალური იდეა — ადგილის დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროში.

ამ ყველაფრის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს ქვეყანაში ყველას რაღაც დასაკარგი ექნება: ასე გაჩნდება ქვეყნის მოფრთხილებისა და მოვლის სურვილი. ვფიქრობ, ეს არის გარანტია საქართველოს ჭეშმარიტი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული გამთლიანების. ამის საფუძველი გახდება საუკეთესო ▶



## «ეროვნული მიზანი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს, ხოლო ნაციონალური იდეა — ადგილის დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროში»



ყოველთვის პრინციპული მებრძოლი



პატრიარქთან კურთხევის მისაღებად



ახალგაზრდებთან

„სიყალბის დაფინანსებად მივიჩნევ პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების იმ სისტემას, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო და წარმატებულად განაგრძო „ქართულმა ოცნებამ“. ტრაგედიაა, როცა ქვეყანაში პარტიებს ხალხის ფულით მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე მეცნიერებას. მიმაჩნია, რომ ეს თანხა მეცნიერების განვითარებისკენ უნდა იქნას მიმართული“.

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთად გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!

◀ განათლების სისტემა, გამართული საინვესტიციო გარემო და საფინანსო პოლიტიკა, არაკრიმინოგენური გარემო და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა.

**— გაქვთ კონკრეტული წინადადებები?**

— მეცნიერულად დამუშავებული პროგრამები გვაქვს. მათ შორის:

ახალგაზრდობის,

პენსიონერებისა და საერთოდ, უფროსი თაობის,

დევნილთა,

ემიგრანტთა,

სოფლისადმი, როგორც დიდი კულტურული ფენომენისადმი მხარდაჭერის,

სამუშაო ადგილების შექმნის,

ბიზნესისა და, ზოგადად, მეწარმეობის,

სოციალურად დაუცველი და შრომის უუნაროების დახმარების,

ქართული ჯარის,

წესრიგის დამცველთა,

წარმატებულ ადამიანთათვის ხელის შეწყობის,

საკუთრების დაცვის,

თავისუფალი მედიის,

ხალხის ინტერესების გამომხატველი არასამთავრობო სექტორის დემოკრატიული განვითარების პროგრამები.

**— ბატონო თემურ, რაც თქვენ ბრძანეთ, კარგია და მოსაწონი, მაგრამ არ გაგიკვირდებათ, თუ შეგეკითხებით, შედის კი პრეზიდენტის კომპეტენციაში ამ მრავალფეროვანი და ასეთი მოცულობის პროგრამების განხორციელება? ეს ხომ სახელმწიფო მმართველობის სხვა შტოების უფლებამოსილების სფეროებია?**

— პირდაპირ და ხმამაღლა გეტყვით თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს: პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი, ზემოთქმული კი გარანტირებულია სწორედ საქართველოს კონსტიტუციით.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისთვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები.

**ჩემი, როგორც პრეზიდენტის, მოვალეობა იქნება, შევძლო ეს ყველაფერი მთავრობასთან, პარლამენტთან, მთელ სახელისუფლო ვერტიკალთან ერთად. თუ საჭირო გახდება, ვაიძულო კიდეც, უფრო მეტიც, თუ მათში იგივე განწყობა არ იქნება, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოვიყენებ კონსტიტუციით მონიჭებულ მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნის უფლების შესახებ.**

დარწმუნებული ვარ, შევძლებთ თანამშრომლობას დაპირისპირების გარეშე.

მინდა ვუთხრა ჩემს ხალხს, რომ მოვდივარ სუფთა და შიშველი ხელებით, სიმართლით და წრფელი განწყობით, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ცოდნით.

მოვდივარ უდიდესი პასუხისმგებლობით, რადგან ვიცი, რომ ნამდვილი პოლიტიკოსობა დღეს, მით უფრო პრეზიდენტობა, ხალხისა და ქვეყნისთვის თავგანწირვით მუშაობის მზადყოფნაა.

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ყოველთვიურად მექნება ღია შეხვედრები პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით, როგორც მეცნიერების სხვადასხვა ჯგუფებთან, ექსპერტებთან, სპეციალისტებთან, ასევე, საქართველოს მოქალაქეებთან ქვეყნის წინაშე არსებული პროგრამების თაობაზე.

**ერთ იდეასაც გაგანდობთ: პრეზიდენტობის ორი წლის თავზე, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, ჩავატარებ პრეზიდენტისადმი ნდობის რეფერენდუმს და, თუ მოსახლეობა ჩათვლის, რომ დანაპირები არ შევასრულე, გადავდგები თანამდებობიდან.**

**— ხომ არ გეუხერხულებათ, რომ ჩვენს საუბარში ხშირად გამოიყენეთ ნაცვალსახელი „მე“?**

— ასე ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ჩემი პირადი, დიახ, უპირველესად, პირადი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე, რადგან მინდა ვიყო თქვენი და არა რომელიმე პარტიის, პოლიტიკური გუნდის თუ ჯგუფის, მითუმეტეს, ოლიგარქის მორჩილი პრეზიდენტი.

თავის დროზე, 1990 წლის დასაწყისში, ხალხის განწყობიდან და ქვეყნის მიზნებიდან, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საპარლამენტო რესპუბლიკა რეფორმირდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად. სამწუხაროდ, ყოველგვარი რეფერენდუმისა და ხალხის განწყობის გათვალისწინების გარეშე, ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო და უმნიშვნელოვანეს მომენტში გადავედით საპარლამენტო მოდელზე, პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული იგნორირებით. **მე მოვდივარ მართვის იმ პროგრამით, რომლითაც ქვეყანა კვლავ დაუბრუნდება საპრეზიდენტო მმართველობას და პარტიული ინტერესების კონსტიტუცია გახდება ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი.** ამ მიზნით, ყველაფერს გავაკეთებ რეფერენდუმის ჩათვლით. ამავე დროს, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ.

**თემურ შაშიაშვილის პროგრამას ერთი ორიგინალური ხელწერილი ერთვის, რომლის მსგავსი პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ გამოუქვეყნებია.**

**ბატონი თემური აცნობებს საზოგადოებრიობას, რომ არც იგი, არც მისი ოჯახის წევრები არც ერთ სამეწარმეო სუბიექტში არ ფლობენ საწესდებო კაპიტალის წილს ან აქციას და არ გააჩნიათ არავითარი ფინანსური თუ სხვა სახის პირადი ინტერესები.**

**და შემდეგ:**

„თუ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის განმავლობაში შევიძენთ საცხოვრებელ სახლს, მანქანას ან გავხდებით მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელები, ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ ოფიციალურად იქნება ინფორმირებული საზოგადოება შეძენამდე ერთი თვით ადრე საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით...

მაქსიმალურად დავეხმარები თითოეულ დაინტერესებულ პირს, მოიპოვოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ ხელწერილით განსაზღვრული პირობების ნამდვილობის შესამოწმებლად.

დასასრულ, პიროვნებას, რომელიც მის მიერ დადებული პირობების დარღვევის ფაქტს აღმოაჩენს, „საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვაჩუქებ აღნიშნული საწესდებო კაპიტალის წილს, აქციას, სახლს და მანქანას“.

გამოქვეყნდა პრესაში, ჩაბარდა დეკლარაციების ბიუროს... „ანალოგიურის გამოქვეყნებით მივმართე ყველას — ქვეყნის პრეზიდენტითა და დეპუტატებით დაწყებული, მერიისა და გამგეობების რიგითი მუშაკით, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებით დამთავრებული... დღემდე არავის გამოუქვეყნებია...

**— გიდასტურებთ, ბატონო თემურ, არც ჩვენ გვინახავს მსგავსი რამ ჩვენს პერიოდიკაში დაბეჭდილი.**

ესაუბრა

**არმაზ სანებლიძე**



მორიგი შეხვედრა ამომრჩევლებთან

**«რეალურად ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხი კი არ არის, როგორც ეს კონსტიტუციითაა აღიარებული, არამედ ის უმცირესობა, რომელმაც ყველაფერი მიითვისა ცენტრშიც და პერიფერიაზეც. ნიშანდობლივია, რომ ეს სენი სოფელსაც მოედო, არაფრად აგდებს უმრავლესობის უფლებასა და ინტერესებს!»**

# საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის — თემურ შაშიაშვილის პოლიტიკური დეკლარაცია

**მე მოვდივარ** ქვეყნის მართვის ახალი სისტემით, რომლის საფუძველი იქნება არა დღევანდელი — რაც შემიძლია ვაკეთებ — არამედ ქვეყნის შესაძლებლობის მაქსიმუმისთვის ყოველდღიური მუშაობა.

**მე მოვდივარ** იმ პროგრამით, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ მთავარი ფუნქციის შესრულებას: შექმნას კონკურენტული გარემო და დაიცვას ადამიანი.

**მე მოვდივარ** იმ პროგრამით, რომ ხელისუფლება გადასახადის ამოღებით კი არ იყოს დაკავებული, არამედ თავის უპირველეს საქმედ თვლიდეს, ადამიანები აქციოს გადამხდელუნარიანებად... დღევანდელი დამამცირებელი ბრძოლა არსებობისთვის შეიცვალოს შესაძლებლობების რეალიზაციის სისტემით.

**მე მოვდივარ** საქართველოს გაერთიანების, ჩვენს ძმებთან — აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის, თაობათა ერთიანობის, საქართველოში და საქართველოს გარეთ მცხოვრებთა ერთიანობის პროგრამებით.

**მე მოვდივარ** წინადადებით, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაბადებული ქართველი და აფხაზი დაბადებისთანავე საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდეს, რადგან ორივენი ერთი მიწის შვილები ვართ და სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია.

**მე მოვდივარ** საქართველოს თითოეული მოქალაქის, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა, დაცვის გარანტად.

**მე მოვდივარ** იმის გარანტად, რომ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს შვილებს საზღვარგარეთის ქვეყნებში ჰქონდეთ იგივე უფლებები, როგორიც ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს აქვთ საქართველოში.

**მე მოვდივარ** საფინანსო და ეკონომიკური სისტემის დეცენტრალიზაციის, რეგიონებისადმი, განსაკუთრებით ქალაქებისა და რაიონებისადმი, მხარდაჭერის, სოფლისთვის ისტორიული სტატუსის დაბრუნების პროგრამით; იმ წინადადებით, რომ გუბერნატორებს ცენტრი კი არ ნიშნავდეს, არამედ რეგიონების საკრებულოების წევრები ირჩევდნენ;

**მე მოვდივარ** იმ პროგრამით, რომ საქართველოში დასრულდეს გარედან დაფინანსებული მართული პარტიების, პოლიტიკოსების, მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პარპაში.

**მე მოვდივარ** სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის დადგენის გარანტად.

**მე მოვდივარ** იმის გარანტად, რომ საქართველოში დამკვიდრდება პრინციპი: ქვეყანას მართავს ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული ხელისუფლება; ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა; რომ საქართველოში დასრულდება ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით ცხოვრება... იმის გარანტად, რომ დასრულდება უზნეო უმცირესობის ბატონობა ზნეობრივ უმრავლესობაზე და ქვეყნის ბატონ-პატრონი იქნება ხალხი.

**მე მოვდივარ** იმის გარანტად, რომ იყოს მხოლოდ ერთი ძალაუფლება — ნიჭისა და ზნეობის ძალაუფლება.

**მე მოვდივარ** წინადადებით, რომ საქართველოს ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი არასდროს დაიწყება.

**მე მოვდივარ** იმის გარანტად, რომ ნამდვილ მეწარმესა და ბიზნესმენს არ სჭირდებოდეს ხელისუფლების კეთილგანწყობის ყიდვა ბიზნესის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

**მე მოვდივარ** ისეთი სისტემის შექმნის გარანტად, როდესაც სახელმწიფო სამსახურში სამუშაოდ მოვლენ მაღალმორალური, მაღალკვალიფიციური, საქმისათვის და ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნებები; როცა შეუძლებელი იქნება არაკანონიერი და არამორალური გზით ქონების მოხვეჭა. ამ თეზის განსამტკიცებლად მე წარმოვადგენ ჩემს ხელწერილს, იმედია, კოლეგა-პრეტენდენტები გაასაჯაროებენ თავიანთ ანალოგიურ დოკუმენტს. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, შეიქმნება იურიდიული საფუძველი იმისა, რომ ყველა მოხელე ვალდებული იყოს, წარმოადგინოს ანალოგიური. აქვე დავძენ, რომ ვიქნები ის პრეზიდენტი, რომელიც დაიცავს მოქალაქეების მიერ კანონიერი გზით მოპოვებულ მატერიალურ სიკეთეებს.

ჩვენ ეს შევქმენით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს რა მდგომარეობაა საქართველოში? დასაქმების პრობლემა უმწვავესია, კოლოსალურად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, ჩვენი მოსახლეობა საზღვარგარეთ მიდის სამუშაოს საძებნელად. საქართველოში შემოსულია სხვა ქვეყნებიდან სამუშაოს მძებნელთა და ჩვენთან დამკვიდრების მსურველთა მთელი არმია. სამწუხაროდ, მათ ნაკადებს არავინ აკონტროლებს, სრული განუკითხაობაა“.**

# «ინდუსტრიის მშენებელი»

**გალაქტიონმა ქუთაისზე თქვა, — ინდუსტრიის მშენებელი ქალაქიაო. ამჯერად ამ წერილის სათაურად განვაზოგადე და საქართველოს მოვარგე პოეტის მოსწრებული სიტყვა. გვქონდა განვითარებული ინდუსტრიული მრეწველობა. დღეს ნარჩენებია. აქა-იქ. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომელზეც დღეს გვექნება საუბარი, 1961-1978 წლებში აგებულ და მწყობრში ჩამდგარ საწარმოთა შორის იყო გამორჩეული.**

ამ წლებში ამუშავდა 241 მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. მათ შორის: ხრამჰესი II, სიონჰესი, ჩხოროწყუჰესი, შატილჰესი, ენგურჰესის 4 აგრეგატი, ვარციხის კასკადი, შახტები ტყიბულსა და ტყვარჩელის ქვანახშირის მომპოვებელი სიმძლავრეები, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს, სამშენებლო და საგზაო მანქანების სარემონტო ქარხნები, ასევე გამომრთველი მანქანების, „მიკროძრავის“, „ელექტროძრავის“ ქარხნები, სახლსაშენი კომბინატები, საშენი მასალების საწარმოები, სამკერვალო ფაბრიკები, კვების მრეწველობის მრავალი საწარმო და ა. შ.

**დავიწყებული ისტორია, რომელიც, „ფერადი რევოლუციის“ გზით მოსული ახალგაზრდა რეფორმატორების მტკიცებით, თურმე არ გვქონია: მათით დაწყებულა საქართველოს აღმშენებლობა(!). გავიხსენოთ, არ იქნება ურიგო: არავითარი ნოსტალგია, მხოლოდ ისტორიული რეალობის აღდგენა. მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატით ვიწყებთ თხრობას. ჩვენი სტუმარია ამ გიგანტის მშენებელი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი ომარ მარგველაშვილი.**

— მშენებლობის იმჟამინდელმა მინისტრმა **გრიგოლ ვაშაკიძემ,** მართლაც არაჩვეულებრივმა და კრისტალურმა პიროვნებამ, „მადნეულმშენის“ უფროსად ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი რომ მოაწერა, სწორედ იმ დღეს გავხდი 25 წლის. ეს მოხდა 1967 წლის 6 სექტემბერს, — **იხსენებს ბატონი ომარი.**

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამკვეთი ფერადი მეტალურგიის საკავშირო სამინისტრო იყო. მინისტრი **პეტრე ლომაკო** გახლდათ, მშვენიერი გარეგნობის, მრავალმხრივ თვალსაჩინო კაცი — გულისხმიერი და დიდი პროფესიონალი. ლომაკო, სოციალისტური შრომის გმირი, ფერადი მეტალურგიის მინისტრად სამჯერ დანიშნეს: პირველად — 1950 წელს. საერთო ჯამში 28 წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე, იყო საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეც... პირველად მადნეულში ლომაკო საქართველოს ცკ-ის პირველ მდივან **ვასილ მჟავანაძესთან** ერთად გვესტუმრა.

დიდი საწარმო თათბირი რომ დამთავრდა, მჟავანაძემ განზე გამიხმო და დაწვრილებით გამომკითხა, როგორი მდგომარეობა გვქონდა მუშახელით მშენებლობის უზრუნველყოფის საკითხში. ეს თემა თათბირზე მე წამოვჭერი, ვთქვი, მადნეულის მშენებლობაზე ყველაზე დიდი პრობლემა კადრებით უზრუნველყოფა რომ იყო. ეტყობა, ამით რესპუბლიკის ხელმძღვანელი დაინტერესდა.

— ვატყობ, — მითხრა მან, — რომ თქვენთან სწრაფად იზრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა, რაც მუშახელის შესაბამისად გაზრდის აუცილებლობის წინაშე გაყენებს.

— ჩვენ ხალხის დიდ დეფიციტს განვიცდით, — დავუდასტურე.

— ვინ მუშაობს თქვენთან, ძირითადად? — კვლავ მეკითხება.

ვუპასუხე, რომ ჩვენთან უმეტესად ადგილობრივები მუშაობენ: ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანელები, თქვენ წარმოიდგინეთ, გერმანელებიც კი... ისიც ვუთხარი, რომ მშენებლობაზე დასაქმებული ხალხის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები ნორმალურია, ხუთსართულიანიდან გადავდივართ ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, და რომ კვალიფიციური მუშის ხელფასი მაღალია.

ვხედავ, ყურადღებით მისმენს და განვაგრძობ საუბარს:

— ბევრ წერილს ვიღებთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, დემობილიზებული ახალგაზრდები გვწერენ. ისინი მზად არიან, იმუშაონ ჩვენთან და განსაკუთრებულს არაფერს ითხოვენ. ერთადერთი პირობა საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფაა.

— სწორედ ეგაა ყურადღებამისაქცევი: ჩამოვა, დაოჯახდება, აქვე დასახლდება.

— რა თქმა უნდა, ასე იქნება-მეთქი.

— ჰოდა, მაგ საქმეს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი რაიონებიდან მოვიზიდოთ ახალგაზრდობა. დიდად პერსპექტიულია მადნეულის კომბინატი, მშენებლობაზე დასაქმებული ხალხი საწარმოს ამოქმედების შემდეგ აქვე გადავა სამუშაოდ, ფეხს მოიკიდებს, ოჯახს შექმნის, დარჩება საცხოვრებლად და სამუშაოდ.



ლაპარაკობდა ვასილ მჟავანაძე თითქოს მხოლოდ მშენებლობის უკეთ ორგანიზიების საკითხებზე და ვხვდებოდი, რომ ეს ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანი, მე, ახალგაზრდა კაცს, მიმანიშნებდა: წარმოების ორგანიზების საკითხების გარდა, არსებობს უპირველესი ფასეულობა და საფუძველთა-საფუძველი — მამულიშვილური გრძნობა, ეროვნული სულისკვეთება...

— ახალგაზრდობის თქვენთან მოზიდვა კომკავშირს ვთხოვე. მათ კარგად ეხერხებათ ასეთი საქმეებისთვის ახალგაზრდების მობილიზება.

მაშინ შევთავაზე:

— არის ასეთი კატეგორიის ხალხი — პირობით მსჯავრდებულნი, რომლებიც რეციდივისტების კატეგორიას არ განეკუთვნებიან. როგორც ვიცი, მათი დასაქმება უჭირს შრომა-გასწორების სტრუქტურას. ჯანმაგარი ახალგაზრდები არიან, რომლებსაც ერთხელ, ისიც შემთხვევით, დაუცდათ ფეხი. მათი მომაგრება ჩვენს მშენებლობაზე შრომით დასაქმებასაც შეუწყობს ხელს, მათ გამოსწორებასაც და მადნეულის საქმესაც.

შევთანხმდით, რომ ამ კონტიგენტს მე კი არ ვუხელმძღვანელებდი, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვლინებული თანამშრომლები. მშენებლობის ხელმძღვანელობა სწორედ მათ მისცემდა სამუშაოთა განაწესს და მათვე მოსთხოვდა საქმის შესრულებას.

ჩვენ კი უზრუნველვყოფდით დასაქმებით, საცხოვრებლით, საყოფაცხოვრებო პირობებით.

ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ვთხოვეთ და გამოგვიყო კიდეც 60-ადგილიანი ხის ოთხი ასაკრები საერთო საცხოვრებელი. თითოს ასაწყობად ერთი კვირაც არ დაგვიხარჯავს. მაქსიმალურად უზრუნველვყავით ახალჩამოსულები ნორმალური საცხოვრებელი პირობებით, და აეწყო საქმე. მუშახელის პრობლემა ძირითადად მოიხსნა: რესპუბლიკის გარედან მათი შემოყვანა აღარ დაგვჭირვებია...

პირობით მსჯავრდებულებზე ასეთი შემთხვევა მახსენდება.

კაზრეთში ვარ, საღამოა. ჩემს კაბინეტში ვმუშაობ. იღება კარი და შემოდის ცნობილი კომპოზიტორი **გოგი ცაბაძე** მეგობრებთან ერთად.

ბატონი გოგი მეუბნება:

— გავიგე, რომ გულისხმიერი კაცი ხართ და ამიტომ გადავწყვიტე პირდაპირ თქვენთან მოსვლა ერთი სათხოვრით. პირობით მსჯავრდებულთა შორის ერთი ჩვენი მეგობრის შვილი მუშაობს. ხვალ ამ ჩვენი მეგობრის იუბილეა. გვინდოდა, განსაკუთრებული პატივი გვეცა და ვკითხეთ, რა გაუხარდებოდა ამ იუბილისთვის ყველაზე მეტად. თვალებზე ცრემლი მოადგა და გვითხრა: ჩემი შვილი ჩემ გვედით რომ იყოსო.

**«მშენებლობის იმჟამინდელმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაკიძემ, მართლაც არაჩვეულებრივმა და კრისტალურმა პიროვნებამ, «მადნეულმშენის» უფროსად ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი რომ მოაწერა, სწორედ იმ დღეს გავხდი 25 წლის. ეს მოხდა 1967 წლის 6 სექტემბერს»**

დავპირდით, რომ შევუსრულებდით ამ ნატვრას და იმედგაცრუებულებს ნუ გაგვაბრუნებო.

ერთი მაიორი იყო იმ მსჯავრდებულთა ბანაკის უფროსი, ძალიან კარგი ადამიანი. დავუძახე, სტუმრების თხოვნა გადავეცი და თან ჩემიც დავუმატე: იქნებ, დავეხმაროთ-მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ის ბიჭი წესიერად იქცეოდა და კარგადაც შრომობდა.

— წავიდეს, მაგრამ ზეგ დილით დაბურნდესო, — თავისი პირობა წამოაყენა მაიორმა.

— ეგებ, სამი დღით გაგვატანოთ, — მორიდებით გვთხოვა ბატონმა გოგიმ.

მაიორს გავხედე. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

გაიხარეს სტუმრებმა. დიდი მადლობა გადაგვიხადეს.

წარმომიდგენია, რა სიხარულით შეხვდებოდნენ იმ ბიჭს ოჯახში.

მადლიერმა მამამ დათქმულ დროს ჩამოიყვანა შვილი კაზრეთში და მაიორს ჩააბარა.

დღეს კი რა მდგომარეობაა საქართველოში? დასაქმების პრობლემა უმწვავესია, კოლოსალურად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, ჩვენი მოსახელობა საზღვარგარეთ მიდის სამუშაოს საძებნელად. საქართველოში შემოსულია სხვა ქვეყნებიდან სამუშაოს მძებნელთა და ჩვენთან დამკვიდრების მსურველთა მთელი არმია. სამწუხაროდ, მათ ნაკადებს არავინ აკონტროლებს, სრული განუკითხაობაა.

* * *

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო საკავშირო მშენებლობის მინისტრის — **გიორგი კარაპაევის** პიროვნება, რომელიც ისე მექცეოდა, როგორც საკუთარ შვილს. მოსკოვში მივლინებით რომ ჩავდიოდი, საქალალდეში მოთხოვნებისა და გადასაწყვეტი საკითხების მთელი ნუსხა მედო. არ მახსოვს, რომელიმე პრობლემის მოგვარებაზე უარი ეთქვას. ყოველთვის გულთბილად მიღებდა და დაუყოვნებლივ შეუდგებოდა „მადნეულმშენის“ საკითხების განხილვას.

მადნეული რომ ჩავიბარე, საქმე უკიდურესად ჩავარდნილი იყო. მძიმე სურათი დამხვდა, როგორც საფინანსო, ისე საწარმოო მაჩვენებლების მხრივ. იყო ძალიან დიდი გადახარჯვა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ასევე, პროფესიონალი მუშახელის დიდი დენადობა და ამით გამოწვეული კადრების დეფიციტი. იყო მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო მასალების უკმარისობაც.

რისი და ვისი იმედი უნდა მქონოდა? ვიცოდი, უპატრონოდ და ბედის ანაბარა არ მიმატოვებდნენ. აი, აქ გამომადგა წარსული წლების გამოცდილება და უფროსი კოლეგების რჩევა-დარიგება.

ჩამორჩენა თანდათან დავძლიეთ.

მშენებლობას მაშინ საქართველოს ცკ-ის მდივანი **ნიკა ცხაკაია** კურატორობდა, არაჩვეულებრივი კაცი, რომელიც სულ ჩემი დახმარების, მხარში ამოდგომის მცდელობაში იყო.

— სად გირჩევნია, რომ თათბირები ჩავატაროთ — აქ, მადნეულში, თუ ჩემთან, ცენტრალურ კომიტეტში? — მკითხა ერთხელ, როცა მორიგი თათბირის დამთავრების შემდეგ ჩემს კაბინეტში მარტონი დავრჩით.

— თქვენთან, ცეკაში სჯობს, — ვუპასუხე და იქვე განვმარტე, — ცეკაში უფრო მეტი შიში, რიდი და კრძალვა აქვთ-მეთქი.

მდივანს ჩემი გულახდილობა მოეწონა, გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა...

ასეთი თათბირები წესად იქცა და რეგულარულადაც იმართებოდა. საქმ- ▶



**„რუსეთის მხრიდან ბაზრის გახსნა და მიმოსვლის გამარტივება ჩვენთვის ძალიან დიდი ეკონომიკური შვება, რადგან, როცა ქვეყანას აქვს კრიზისი და დასავლეთ საქართველო ფაროსანამ გადაჭამა, აღმოსავლეთს კი ხან სეტყვა ანადგურებს, ხან — ქარი და ყინვა, რომ არა ეს ბაზარი, ალბათ, მოსახლეობას საარსებო წყარო აღარ ექნებოდა“.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ეში აქტიურად ერეოდა ნიკა ცხაკაია. მასთან ერთად განვიხილავდით მშენებლობის მიმდინარე საკითხებს: რა და როგორ სრულდება, რა გვიჭირს და გვაბრკოლებს. თათბირებს ესწრებოდნენ მინისტრები, ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი პირები. მათ, ჩემი ინფორმაციის საფუძველზე, იქვე აძლევდნენ ოპერატიულ დავალებებს, ხოლო მომდევნო თათბირზე ანგარიშს სთხოვდნენ. ამ პრაქტიკამ გაამართლა და მოკლე ვადაში ჩამორჩენას თავი დავაღწიეთ.

შრომის მკაცრი და ზუსტი ორგანიზაცია რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გრაფიკი მრავალჯერ ჩაიშლებოდა. როგორია, თუნდაც ათასობით ტონა ლითონკონსტრუქციის წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით დამზადება, ობიექტამდე ტრანსპორტირება და მონტაჟი, თანაც — დროულად და ხარისხიანად. აღარაფერს ვამბობ სხვა მასალებით უზრუნველყოფაზე. წამოიდგინეთ, როგორი სირთულეები შეგვექმნებოდა 28 ქვემოიჯარე და სამჯერ მეტ მომწოდებელ ორგანიზაციებთან!

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა და რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გდადჭიმული როგორც ბინათმშენებლობის, ასევე, სამრეწველო კომპლექსის სამშენებლო მოედანზე აშკარად იგრძნობოდა სამუშაოების ორგანიზების მაღალი კულტურა. უკლებლივ ყველა მუშა უზრუნველყოფილი იყო სპეცტანსაცმლითა და დამცავი აღჭურვილობით. ყველა სტუმარი ამას აღნიშნავდა, განსაკუთრებით უხაროდა მინისტრ კარავაევს, დარგის დიდ პროფესიონალს. ერთხელ დაინტერესდა ჩვენი სასაწყობე მეურნეობით. შევედით ჩვენს ბაზებში. ყურადღებით დაიარა და გაოცებულმა სიამოვნებით აღნიშნა: „ასეთი წესრიგი და სისუფთავე იშვიათად მინახავსო“.

როცა მინისტრს მოვახსენე ქვემოიჯარადე ორგანიზაციების, მომწოდებლების, დამკვეთის პოზიციების კომპლექტაციის სერიოზული ჩამორჩენის შესახებ, მან მითხრა:

— ახლა აქ, კაზრეთში, საუბარს აზრი არ აქვს. შეიმუშავე წინადადებები და მოსკოვში ჩამოდიო...

ასეც მოვიქეცი — ჩავედი, ჩავიტანე საჭირო მასალები და მოვამზადეთ ერთობლივი ბრძანება, რომელსაც ხელი მოაწერეს მშენებლობის მინისტრმა **კარავაევმა,** სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების მინისტრმა **ბაკინმა** და ფერადი მეტალურგიის მინისტრმა **ლომაკომ.** ამ ბრძანებას დავარქვით „Приказ трех министров“.

ბრძანებაში დეტალურად გაიწერა, შეთანხმდა და დაზუსტდა არა მარტო სამუშაოთა შესრულების ვადები, არამედ მითითებული იყო კონკრეტული პასუხისმგებელი პირები. ერთი სიტყვით, ეს იყო კონკრეტიკით და დეტალებით გამაგრებული მასშტაბური დოკუმენტი, სამოქმედო პროგრამა.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ბრძანებამ განაპირობა დირექტივებით გათვალისწინებულ ვადებში მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამთავრება და საექსპლუატაციოდ ჩაბარება...

მადნეულის მშენებლობაზე საქმიანი ვიზიტით ჩამოსულმა საკავშირო ცკ-ის მდივანმა და პოლიტბიუროს წევრმა **ალექსანდრე დოლგიხმა** ჯერ დეტალურად დაათვალიერა კომპლექსი, შემდეგ თათბირზე ჩემი და კომბინატის დირექტორის **აბესალომ ჭანტურიას** ინფორმაციები მოისმინა. კმაყოფილი დარჩა მშენებლობის მიმდინარეობით. თათბირის დამთვარებისთანავე თავისთან მიხმო და რუსეთში, ნორილსკის ფერადი მეტალურგიის უზარმაზარი კომბინატის მშენებლობის ხელმძღვანელად გადაყვანა შემომთავაზა; მითხრა, მეც იქ ვმუშაობდი, იქიდან გადამიყვანეს კრასნოირსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და შემდეგ — საკავშირო ცეკაშიო.

ცდუნება დიდი იყო — როგორია, ახალგაზრდა კაცს ამხელა საკავშირო ობიექტის ხელმძღვანელობას გთავაზობენ... უზარმაზარი შესაძლებლობები და პერსპექტივა იშლებოდა ჩემ წინ, მაგრამ შემოთავაზებაზე მაინც თავაზიანი უარი ვუთხარი. ამ საუბარს საქართველოს მაშინდელი ცკ-ის პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე** და საკავშირო ფერადი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე **ვლადიმერ ვოროტნიკოვი** ესწრებოდნენ.

ერთ დეტალსაც დავუმატებ: შემოთავაზებაზე უარი ასეთი არგუმენტით „განვამტკიცე“: ჩემს ობიექტს ვერ მივატოვებ-მეთქი.

ამ „ჩემს ობიექტზე“ მაღალმა სტუმრებმა გულიანად იცინეს.

საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა, რომელიც სტუმრებს ჩამოჰყვა, მაგრამ აღნიშნულ საუბარს არ დასწრებია, მკითხა, რაზე გაიცინესო, ავუხსენი, რაც მოხდა და მომიწონა: — კარგად გითქვამსო.

მადნეულის კომბინატი ექსპლუატაციაში ჩაბარდა ოთხ რიგად — ოთხივე ჩაბარებას დაესწრო საქართველოს ცკ-ის ბიუროს მთელი შემადგენლობა ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. შევარდნაძეს ყოველი ჩამოსვლისას თან ახლდა პირადი დაცვის ერთადერთი თანამშრომელი, რომელიც მის მანქანაში წინა სავარძელში იჯდა — **ამირან გურგენიძე.**

ბევრი საინტერესო პიროვნება ჩამოდიოდა მადნეულში. ერთხელ ტრესტის მმართველის მოადგილემ **ნიკუშა ალხაზიშვილმა** ჩამოიყვანა თავისი მეგობარი, გადასახლებამოხდილი, ცნობილი მსახიობი გრიგოლ კოსტავა — ქართული სცენის ვარსკვლავის, **მედეა ჯაფარიძის** პირველი ქმარი. მათ დავათვალიერებინე კომპლექსის მშენებლობა. ვივახშმეთ. დიდხანს შევრჩით სუფრას იმის გამო, რომ ბატონმა გრიგოლმა ბევრი საინტერესო ისტორია გვიამბო თავისი ცხოვრებიდან.

ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. დღევანდელ ქართულ პერიოდიკაში ამოიკითხავთ, რომ მადნეულის კომბინატი, რომელსაც ერთ დროს საქართველოს ეკონომიკაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა, „ბოლო წლებში აბსოლუტურად არაპროფესიული ქმედებების შედეგად სერიოზულ სირთულეებს განიცდის“.**

# შეძლებს თუ არა ზურაბიშვილი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რუსეთთან პირდაპირ დიალოგს?

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „ქართული ოცნების“ არაოფიციალური კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, მიერ მედიასთან გაკეთებულმა მინიშნებებმა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მისი პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და კრემლის მესვეურებთან საერთო ენის გამონახვა იქნება, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში უკვე გარკვეული განწყობები შექმნა. მოლოდინმა, რომ ოლიგარქის ფავორიტი ორ ქვეყანას შორის არსებულ მრავალწლიან დაძაბულობას სწორი პოლიტიკით განმუხტავს, ბევრს იმედი გაუჩინა, რომ სახელმწიფო ძირეული ცვლილებების შეუქცევად გზას დაადგება. რწმენასა და მოლოდინს აჩენს ის ფაქტიც, რომ რუსეთთან მოლაპარაკების პარალელურად აქცენტები აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირ დიალოგზეც კეთდება; რომ ამით ხაზი გაესმევა მოძმე ხალხებს შორის მტრობის დასრულების პერსპექტივას და აუცილებლობას, რაც, წლებია, ქართველი საზოგადოების უპირობო მოთხოვნა და დაკვეთაა, თუმცა როგორ და რა მექანიზმებით შეძლებს ამას ახალი პრეზიდენტი, როცა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია უცვლელი რჩება, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, „ხელისუფლების კანდიდატი“ ამის თაობაზე განმარტებებს არ ჩქარობს და მედიასთან საკუთარ გეგმებზე მხოლოდ ზედაპირულად საუბრობს...**
**რას მოუტანს რეალურად ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება საქართველოს და როგორია შესრულების ალბათობა მოლოდინისა, რომელიც ჩნდება რუსეთთან ურთიერთობის მიმართ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**



**— ბატონო გულბაათ, სალომე ზურაბიშვილმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, იმაზე ააწყო, რომ მისი პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იქნება. რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს მის მიმართ ამ თვალსაზრისით? რა რესურსი აქვს რეალურად ზურაბიშვილს?**

— ჩემი აზრით, ის, რომ საქართველოს საგარეო კურსი არ იცვლება და იცვლება მხოლოდ სახეები, დიდწილად განპირობებულია ისევ რუსეთის პოლიტიკით, იმიტომ, რომ კრემლი დღეს, ფაქტობრივად, სრულიად უმოქმედოა ჩვენ მიმართ და თავიდან ბოლომდე თვითდინებაზე აქვს მიშვებული საქართველოს მიმართულება. ახლა ვილაც იტყვის, რომ იყო ძვრებიც, რომლებიც წინგადადგმული ნაბიჯია, მაგალითად, ის, რომ აღდგა სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ფაქტია, ექვსი წლის განმავლობაში ამის იქით ვერ წავედით. მე, რა თქმა უნდა, ვეთანხმები აზრს, რომ **რუსეთის მხრიდან ბაზრის გახსნა და მიმოსვლის გამარტივება ჩვენთვის ძალიან დიდი ეკონომიკური შვება, რადგან, როცა ქვეყანას აქვს კრიზისი და დასავლეთ საქართველო ფაროსანამ გადაჭამა, აღმოსავლეთს კი ხან სეტყვა ანადგურებს, ხან — ქარი და ყინვა, რომ არა ეს ბაზარი, ალბათ, მოსახლეობას საარსებო წყარო აღარ ექნებოდა.**

რაც შეეხება შეკითხვას, რა რესურსი აქვს სალომე ზურაბიშვილს, იმის ფონზე, რაც ადრე გვესმოდა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ვგულისხმობ აგრესიულ ანტირუსულ რიტორიკას, უკვე მისასალმებელია, რომ **პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობაზე საუბრობს. მით უფრო მისასალმებელია, თუ ის ამას მიიჩნევს პრიორიტეტად, მაგრამ აქ ერთი მომენტია: თავის დროზე მსგავსი მოლოდინები, მეტი თუ არა, ჩნდებოდა ივანიშვილის მიმართაც და თქვენ გახსოვთ, რომ „ლიბერალურმა მედიამ“ იგი რუსეთის კაცად გამოაცხადა,** თუმცა არც მანამდე და არც მერე ვერაფრით დამტკიცდა ის, რომ ივანიშვილი „რუსეთის კაცი“ იყო. ცხადია, ჩვენ არ გვჭირდება პრეზიდენტად ვილაცის კაცი ან ქალი, გარე ძალას ვგულისხმობ, მაგრამ ფაქტია, დღევანდელ ვითარებაში რუსეთთან პოლიტიკური სტაბილურობის აუცილებლობა ჩნდება.

**— და საზოგადოების დაკვეთა არის ეს?**

— სწორედ იქით მიმყავდა საუბარი, რომ საზოგადოების მოთხოვნაა, უპირველესად, და ამით არის ხელისუფლების ეს წინასაარჩევნო რიტორიკა შეფარვით, მაგრამ მაინც, განპირობებული, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იქნება პრიორიტეტი. სხვათა შორის, ადრე **მარგველაშვილმაც** გააკეთა განცხადება, რომელიც შეიცავდა მინიშნებებს რუსეთთან დიალოგის თაობაზე და თქვა, რომ ეს დიალოგი საზოგადოების დაკვეთაა. წარმოიდგინეთ, ისეთმა ფიგურამაც კი, როგორიც მარგველაშვილია, არ ითაკილა იმის თქმა, რომ ქართველი საზოგადოება ხელისუფლებისგან რუსეთთან დიალოგს ითხოვს. არადა, ამის გამო მას საშინელი კრიტიკა დაატყდა მედასავლეთე „ლიბერალებისგან“. ზურაბიშვილს რაც შეხება, ვფიქრობ, ის უფრო თამამი და ამბიციური პრეზიდენტი იქნება. ისე, **მისგან ისეთ უსიტყვო მორჩილებას, როგორსაც მარგველაშვილისგან ითხოვდა თავის დროზე მისი პოლიტიკური გარანტორი, ალბათ, არც მოითხოვენ, თუმცა მოლოდინი, რომ ის რაღაც პოლიტიკურ სასწაულებს მოახდენს, არ უნდა გვქონდეს.** მით უმეტეს, საქართველო დღეს რუსეთისთვის მეორეხარისხოვანია, მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს სულ სხვა მიმართულებით, იქნება ეს სირია, უკრაინა თუ ეკლესიის ამბები, რომლებიც ბოლო დროს განვითარდა. საერთოდ, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ განცხადებების დონეზე მაინც ხდება რუსეთთან დიალოგისთვის მზადყოფნის გამოხატვა; ყოველ შემთხვევაში, იმ ანტირუსული ისტერიკის ფონზე, რომელიც, წლებია, გრძელდება, ეს ნამდვილად დადებითი მოვლენაა.

**— გასაგებია, რომ პიროვნულ დონეზე ზურაბიშვილი უფრო ამბიციური და გაბედული პრეზიდენტი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც ბოჭავდა მარგველაშვილს კრემლის მესვეურებთან დიალოგში, უცვლელი დარჩა. ეს არ იქნება მისთვის შემაკავებელი ფაქტორი?**

— სხვათა შორის, მე ყოველთვის უსამართლობად მიმაჩნდა ცინიზმი და ირონია მხოლოდ მარგველაშვილის მიმართ იმის გამო, რომ ის არ თუ ვერ ხვდებოდა ვლადიმერ პუტინს. რატომ? თქვენ გახსოვთ, რომ ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი **ირაკლი ღარიბაშვილი**, თუ არ ვცდები, ეს 2014 წელს იყო ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე, ერთ სივრცეში იმყოფებოდა ვლადიმერ პუტინთან. მიუხედავად იმისა, რომ მას თავისუფლად შეეძლო მისვლა და გასაუბრება კრემლის მესვეურთან, მისკენ არც გაუხედავს. მერე გარეთ აწურული იდგა კაზინოს დირექტორთან, რომელსაც მონაკოს პრინცს ეძახიან. აი, ასეთი პრიმიტიულობა ახასიათებდა ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს და ეს მხოლოდ მარგველაშვილის პოლიტიკური კომპლექსი არ იყო.

რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, სიმართლე გითხრათ, ცოტა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლებას დასავლეთი ბოჭავდა, თორემ ესენი მზად იყვნენ დიალოგისთვის. კი იყო გარკვეული დირექტივები, მაგრამ **კაცი შენ წინ რომ დგას, ორ ნაბიჯში და თავისუფლად შეგიძლია მიხვიდე, ხელი ჩამოართვა, გამოელაპარაკო, ამას ვერავინ აგიკრძალავს, თუ, რა თქმა უნდა, შენ თვითონ არ ხარ პოლიტიკურად დაკომპლექსებული; ასე რომ, მოდი, ყველაფერს ნუ დავაბრალებთ ამერიკასა და ევროპას, ისევე, როგორც „ლიბერალები“ აბრალებენ ყველაფერს რუსეთს.** ისე, თუ რამ წნეხი და ზემოქმედება იყო ამერიკის წინა ადმინისტრაციისგან საქართველოს ხელისუფლების მიმართ რუსეთთან ურთიერთობის მხრივ, დღეს ეს წნეხი უკვე მოხსნილია. მეტსაც გეტყვით: ამერიკის ახალ ადმინისტრაციას არ სცალია საქართველოსთვის, რომ, უკვე რამდენიმე თვეა, ელჩს ვადა ამოეწურა და ახალი არ დანიშნულა. ეს გარკვეულწილად, ალბათ, იმაზე მიანიშნებს, რომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც პრიორიტეტები იცვლება და ამის ფონზე, ნორმალური მთავრობა რომ გვყავდეს, კონფრონტაციის ადგილი კი არ ვიქნებოდით მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, პირიქით — თანხმობისა და მოლაპარაკების არეალად ვიქცეოდით. სხვათა შორის, **ეს რუსებსაც ძალიან მოეწონებოდათ და, დარწმუნებული ვარ, დასავლეთშიც არაფერი ექნებოდათ საწინააღმდეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბოლოოდ ვიქეცით ნებადაკარგულ, უუფლებო და უუნარო ქვეყნად, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება.** მათ შორის იმ მომენტშიც, როცა ჩვენი ბედი და მომავალი წყდება... აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი ტრაგიკომიკური რეალობა, რომელიც, რომელიმე პარტიამ და ხელისუფლებამ როგორც არ უნდა შეფუთოს, კარგად ჩანს და ყველასთვის ნათელია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მრავალპოლუსიანი მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის მმართველმა ელიტამ კურსი აიღო იზოლირებული ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისკენ, რომელიც მინიმალურად იქნება დაკავშირებული დანარჩენ პლანეტასთან. ეს, სავარაუდოდ, უბიძგებს სხვა რეგიონებს მსგავსი დახურული ეკონომიკური კლასტერების შექმნისკენ, რომლებიც დიდწილად ორიენტირებული იქნებიან შიგა მოთხოვნებზე და მინიმალურად დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე.**

# აშშ-ის, კანადისა და მექსიკის წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოამერიკული შეთანხმების ხელახლა გაფორმებაზე

**მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ხელმოწერა საზეიმო ვითარებაში ტელეკამერებისა და ფოტოაპარატების წინ ბუენოს-აირესში 2018 წლის 29 ნოემბერს გასამართ G20-ის სამიტზე იგეგმება, ფაქტობრივად, ყველაფერი უკვე საბოლოოდ გადაწყდა.**



**ტრამპმა შეასრულა ერთ-ერთი საკვანძო წინასაარჩევნო დაპირება გააუქმა აშშ-ისთვის აშკარად არახელსაყრელი ჩრდილოამერიკული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ — NAFTA.** და აი, ამერიკის პრეზიდენტს შეუძლია პირველი აღნიშვნა გააკეთოს შესრულებული საქმეების სიაში. 1 ოქტომბერს ახალ შეთანხმებას შეუერთდა ბოლო პარტნიორი — კანადა. ამ მომენტიდან NAFTA უკვე აღარ მოქმედებს. ის შეცვალა USMCA-მ The United States-Mexico- Canada Agreement. ახლახან ჩვენ თვალწინ მოხდა საფუძვლიანი ტექტონიკური ძვრა, რომლის შედეგებიც მომავალში განსაზღვრავს მსოფლიოს პოლიტიკას, ყოველ შემთხვევაში მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებამდე. **თუ NAFTA, უბრალოდ, სავაჭრო შეთანხმება იყო სამ „მეზობელ სახელმწიფოს" შორის, უფრო ზუსტად, განსაზღვრავდა კანადისა და მექსიკის განსაკუთრებულ სავაჭრო პირობებს აშშ-თან, USMCA, ფაქტობრივად, ნიშნავს მათ გადაქცევას ამერიკის კოლონიებად,** ჯერჯერობით სავაჭრო კოლონიებად, მაგრამ, როგორც ჩინეთში ამბობენ, 1000 ლი (ლი-ჩინ. — 360 ნაბიჯი, ანუ, დაახლოებით 500 მ) ყოველთვის იწყება პირველი ნაბიჯიდან.

საქმე შეთანხმებაში ჩადებულ პირობებშია. თუ შეთანხმებაზე ხელმომწერი რომელიმე ქვეყანა დადებს ნებისმიერ სავაჭრო გარიგებას სახელმწიფოსთან, რომელიც არის „არასაბაზრო ეკონომიკის" მქონე ქვეყნების ჩამონათვალში, ზუსტად 6 თვის შემდეგ ის აღარ იქნება შეთახმების წევრი, შეთანხმება კი გადაიწერება ხელახლა, რა თქმა უნდა, ახალი პირობებით.

ეს ნიშნავს შემდეგს: **კანადის წილი ამერიკის იმპორტში არის 16%, კანადის ექსპორტი კი აშშ-თან ვაჭრობაში 74%-ს შეადგენს. თითქმის ანალოგიური მაჩვენებლები აქვს მექსიკასაც: 14% და 74%. სავაჭრო შეთანხმების გაუქმება ორივე მეზობლისთვის გაცილებით დამანგრეველი იქნება, ვიდრე ამერიკისთვის, რაც შესაძლებლობას აძლევს ვაშინგტონს, პროექტი გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკურ წნეხში მეზობლების მოსაქცევად. თუ გსურთ, ხელი მიგიწვდებოდეთ აშშ-ის მდიდარ საშინაო ბაზარზე, დათანხმდით შეზღუდვებს. სხვაგვარად, ხელმისაწვდომობა გადაიხედება და გამკაცრდება. ამერიკა შეძლებს უთქვენოდ ცხოვრებას, თქვენ ამერიკის გარეშე ვერა.**

ციფრების გათვალისწინებით, მაგალითად, მექსიკას აშშ-ში საექსპორტოდ გააქვს 290 მლრდ დოლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება, ანუ თავისი მთლიანი შიგა პროდუქტის 25,2%, მექსიკისთვის ამერიკასთან ვაჭრობის შენარჩუნება, ფაქტობრივად, ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. ამიტომ ფორმულირება პირობების ავტომატურად გადახედვის შესახებ, ფაქტობრივად, საფეთქელთან პისტოლეტის მიბჯენის ტოლფასია.

**პისტოლეტი კი ხელში ამერიკას უჭირავს, იმიტომ, რომ სწორედ ის განსაზღვრავს, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია საბაზრო ეკონომიკა და რომელში არა.** ამასთანავე, ამას აკეთებს ვოლუნტრისტულად მეზობლების, პარტნიორებისა თუ მოკავშირეების აზრის გაუთვალისწინებლად. თვითონ განსაზღვრება საბაზროს ბუნდოვანება იძლევა იმის საშუალებას, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეიძლება მიუსადაგოს ფრაზა: „მაღალი სტანდარტების შეუსაბამო".

სხვათა შორის, „მოწყალების არაღირსი" ქვეყნების ამჟამინდელი სიის გადახედვაც საკმარისია იმისთვის, რომ ჩავწვდეთ ოპერაციის არსს. დღეს ამ სიაში პირველ ადგილზეა ჩინეთი, რომელთანაც ვაშინგტონი პრინციპულ ეკონომიკურ ომს აწარმოებს „უკანასკნელ ვაზნამდე". **ასე ქმნის დაცვის ბარიერებს ოფიციალური თეთრი სახლი ჩინეთის მცდელობის წინააღმდეგ, შეაღწიოს ამერიკის ბაზარზე მესამე ქვეყნების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ეს ქვეყნებია კანადა და მექსიკა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანადასა და ჩინეთს შორის ჯერ კიდევ 2014 წელს ხელმოწერილი 5,7 მლრდ დოლარის სავაჭრო ხელშეკრულების გათვალისწინებით, რადგან ეს ხელშეკრულება ახლა ძალას დაკარგავს.** USMCA-ს ყველა პარტნიორი მკაცრად იქნება მიბმული დოლარზე. **ტრამპმა ამ შეთანხმებით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოამერიკულ ეკონომიკურ კლასტერს (რომელიმე ტერიტორიაზე კონცენტრირებული რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპანიის ჯგუფი ნ.კ) დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებულს თითქმის ნახევარი მილიარდი მოსახლეობით.**

ამასთანავე, ახალი წესების მიხედვით, კანადასა და მექსიკას ჩამოერთმევათ თავიანთი მთავარი უპირატესობა: **დაბალი სახელფასო ანაზღაურება და სხვა მწარმოებლების იაფფასიანი მაკომპლექტებელი დეტალების გამოყენება სხვათა შორის, ეს დეტალები ან ჩინურია, ან თურქული.** ახალი შეთანხმების მიხედვით, მაგალითად, აშშ-ისთვის მიწოდებულ ავტომობილებში აშშ-ში წარმოებული დეტალების რაოდენობა 75%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამრიგად, ავტოკონცერნები, რომლებსაც ადრე თავიანთი ქარხნები აშშ-ის გარეთ გაჰქონდათ მაქსიმალური ეკონომიის მიზნით, ახლა კუთხეში მომწყვდეული აღმოჩნდნენ, ამერიკის მზა ავტომობილების ბაზარზე თავიანთი ნაწარმის გაყიდვის უფლება რომ შეინარჩუნონ, ისინი ვალდებულნი არიან, აშშ-ში აწარმოონ მაკომპლექტებელი დეტალები.

**ტრამპმა ამ შეთახმებით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოამერიკულ ეკონომიკურ კლასტერს (რომელიმე ტერიტორიაზე კონცენტრირებული რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპანიის ჯგუფი), დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებულს თითქმის ნახევარი მილიარდი მოსახლეობით**

USMCA-ს ჰყავს თავისი ტროას ცხენიც. **ახალი შეთანხმების მიხედვით, ამერიკისთვის მოწოდებული ავტომობილებიდან არანაკლებ 4/5-სა აწყობილი უნდა იყოს მუშა-მოსამსახურების მიერ, რომლებიც საათში 16 დოლარს ღებულობენ, რაც შეესაბამება მინიმალურ ანაზღაურებას აშშ-ის საავტომობილო დარგში.** ეს ნაბიჯი, ერთი შეხედვით, თითქოს სასიკეთოა მექსიკელებისა და კანადელებისთვის, განსაკუთრებით მექსიკელებისთვის, რომლებსაც 3-5-ჯერ ნაკლებს უხდიან, მაგრამ ამ მოთხოვნას, ფაქტობრივად, ნულამდე დაჰყავს ამ ქვეყნების მიმზიდველობა იქ ქარხნების შესანარჩუნებლად.

**თუკი ხელფასი ამერიკული ანაზღაურების ტოლი იქნება, თუკი დეტალების, კვანძებისა და ბლოკების 4/5 აშშ-ში უნდა აწარმოონ, მაშინ რისთვისღა იქნება საჭირო ქარხანა აშშ-ის საზღვარებს გარეთ? ქარხნების უცხოეთში აშენება მოგებას აღარ მოიტანს, სამაგიეროდ შექმნის ისეთ პრობლემებს, რომელთა პროგნოზირებაც ძნელი იქნება. შესაბამისად, USNCA-ს ნორმების ამოქმედებიდან ძალიან მალე ქარხნებს უცხოეთიდან ამერიკაში დააბრუნებენ.**

როგორც ოფიციალური პირები ამბობენ, თეთრი სახლი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს შინაარსობრივად ანალოგიური შეთანხმების გაფორმება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის წამყვან ქვეყნებთან; პირველ რიგში, **ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან, ფილიპინებთან, ვიეტნამთან, იაპონიასა და სამხრეთ კორეასთან.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი შეთანხმების გაფორმება ბოლო ორ ქვეყანასთან, თუ ჩინეთთან მათ სავაჭრო კავშირებს გავითვალისწინებთ.

ძნელი სათქმელია, რა და როგორ გამოუვა სხვებთან, მაგრამ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან (ინგლისურენოვან ქვეყნებთან) ტრამპს ეს ნამდვილად გამოუვა.

**ჩანს, რომ აშშ-ის მმართველმა ელიტამ კურსი აიღო იზოლირებული ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისკენ, რომელიც მინიმალურად იქნება დაკავშირებული დანარჩენ პლანეტასთან. ეს, სავარაუდოდ, უბიძგებს სხვა რეგიონებს მსგავსი დახურული ეკონომიკური კლასტერების შექმნისკენ, რომლებიც დიდწილად ორიენტირებული იქნებიან შიგა მოთხოვნებზე და მინიმალურად დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე.**

როგორც ვხედავთ, დასავლურ სამყაროში გაბატონებულია პრინციპი: ძლიერი იმორჩილებს სუსტს და კარნახობს მას თავის პირობებს. ახლა ამას რუსოფილიაში ჩაგვითვლის მავანი, მაგრამ სრულიად სხვა პრინციპებზეა აგებული კლასტერი, რომელიც ჩვენ ირგვლივაა შექმნილი და რომლის წამყვანი ქვეყანა რუსეთია — საუბარია ერთიან ევრაზიულ ეკონომიკურ სივრცეზე, ე.წ. ЕАЭС-ზე. ამ გაერთიანებაში გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მონაწილე ქვეყნის ინტერესებისა და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ისე, რომ შედეგი ყველა მონაწილე მხარისთვის მისაღები იყოს. ევრაზიის (ევროკავშირის გამოკლებით) სივრცეში მოქმედებს კიდევ ერთი მსგავსი გაერთიანება „ШОС"-ი (თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია), რომლის მონაწილეები არიან რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. არის კიდევ ჩინური პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა". ЕАЭС-ისგან განსხვავებით, ШОС-ი უფრო პოლიტიკური პოზიციების შესათანხმებელი დიალოგის ფორმატია, ვიდრე ეკონომიკური გაერთიანება. „ერთი სარტყელი — ერთი გზა" თითქმის მთლიანად ჩინეთის ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება და მისი არსი ჩინური პროდუქციის ექსპორტისთვის სახმელეთო გზების შექმნაა (აშშ-ნატოს მიერ გაკონტროლებული საზღვაო გზების ალტერნატივა). სრულფასოვანი ინტეგრაციული პროექტი ეკონომიკური თანამშრომლობის (თანამშრომლობისა და არა დაქვემდებარების!) შინაარსით მხოლოდ რუსული ЕАЭС-ის პროექტია. სრულყოფილად ეს პროექტი ჯერ არ მოქმედებს, მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია. ამ გაერთიანების წევრია ჩვენი მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანიც დღეს-ხვალ შეუერთდება მას. ჩვენ, ქართველები, სად მივდივართ? აშშ-ის კლასტერში, რომელიც ცხრა მთას იქითაა და იქ არავინ არ გვეპატიჟება? თუ ევროკავშირში, რომელიც დაშლის პირასაა, თავისი თავი გასჭირვებია და იმას ცდილობს, ვინმე სხვის ხარჯზე (მაგალითად, ჩვენს ხარჯზე — მარტო გერმანული გაზსაცავის მაგალითი გვეყოფა) გამოძვრეს? თუ ამაყად მარტოდ ყოფნას ვაპირებთ, აქედან მოძალებული თურქეთის, იქიდან — ირანისა და კიდევ ვინ იცის, ვის პირისპირ მარტოდ დარჩენას, რომლებსაც, რომ იტყვიან, ძინავთ და იმას ხედავენ, როგორ გადაგვყლაპავს სხვაზე ადრე?

**ჩვენ, ქართველები, სად მივდივართ? აშშ-ის კლასტერში, რომელიც ცხრა მთას იქითაა და იქ არავინ არ გვეპატიჟება? თუ ევროკავშირში, რომელიც დაშლის პირასაა, თავისი თავი გასჭირვებია და იმას ცდილობს, ვინმე სხვის ხარჯზე (მაგალითად, ჩვენს ხარჯზე — მარტო გერმანული გაზსაცავის მაგალითი გვეყოფა) გამოძვრეს? თუ ამაყად მარტოდ ყოფნას ვაპირებთ, აქედან მოძალებული თურქეთის, იქიდან — ირანისა და კიდევ ვინ იცის, ვის პირისპირ მარტოდ დარჩენას, რომლებსაც, რომ იტყვიან, ძინავს და იმას ხედავს, როგორ გადაგვყლაპავს სხვაზე ადრე?**

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**სავაჭრო ომი ჩინეთთან, არსით კი სრულიად მსოფლიოსთან, ფაქტობრივად წამოწყებულია იმიტომ, რომ დაანგრიოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო სივრცის ერთიანობა. საბოლოო ჯამში, პლანეტა მიჰყავს რამდენიმე ჩაკეტილი ეკონომიკური კლასტერის შექმნისკენ, რომლებიც საკმაოდ ჩაკეტილია იმპორტისთვის. იმიტომ, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილ თითოეულ პერანგს, შარვალს, საბავშვო სათამაშოს, მით უმეტეს, კომპიუტერსა თუ სმარტფონს ავტომატურად მიაქვს გარკვეული რაოდენობის სამუშაო ადგილები.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მრავალპოლუსიანი მსოფლიოს გეგმა მოქმედებაში ტრამპის შესრულებით

**აშშ-ის წამყვანი ფინანსური გურუები აქტიურად ალაპარაკდნენ ამერიკისთვის დოლარის დომინირების მავნებლობაზე.**



## გლობალიზმი დასრულდა. მსოფლიო ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მიდის მრავალპოლუსიანი სამყაროს ფორმირებისკენ

ბრიტანელი ფინანსური ანალიტიკოსი **ჯიმ ო'ნილი** ცნობილია პროფესიონალთა წრეში. ყოფილი მთავარი ეკონომისტი და შემდეგ ბანკ Goldman sachs-ის პარტნიორი, 2010 წლიდან Goldman Sachs Asset Management-ის აქტივების მმართველი, Chatham House-ის თავმჯდომარე, აკრონიმ „ბრიჩ"-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) ავტორი, საერთაშორისო ბიზნესსა და გლობალურ ფინანსებზე მრავალი პოპულარული წიგნის ავტორი, არის ადამიანი, რომელმაც ამ ფინანსებში, თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ იცის.

აი ეს ადამიანი გამოვიდა ტელეარხ CNBC-ს ეთერში და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ განაცხადა: **„ჩვენ ვცხოვრობთ ამ ძალიან თავისებურ ვითარებაში, როდესაც დოლარის როლი მსოფლიოს ფინანსებში იდიოტურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-ის ეკონომიკა".**

ბოლო პერიოდში ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ **დოლარმა, როგორც მსოფლიოში დომინირებულმა ვალუტამ, დაიწყო ხელის შეშლა თვით ამერიკელებისთვის.**

**ტრამპი,** ალბათ, შეძლებს პრეზიდენტობის შენარჩუნებას მეორე ვადით, მის უკან მდგომ ადამიანებს კი მოუწევთ ლოზუნგ „ამერიკა ამერიკელებისთვის" ახალი ვერსიის რეალიზება, უკან, აშშ-ში ტრანსნაციონალური კორპორაციების დაბრუნებით. ამით **ნაციონალური მრეწველობის მოცულობას მსოფლიოს წამყვან პოზიციაზე დააბრუნებენ, შესაბამისად, ქვეყანას იმპორტიორების რიგიდან ექსპორტიორებში გადაიყვანენ,** მათ კაპიტალს კი, მოგებასთან ერთად, საგადასახადო სამსახურის მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარებენ.

**სავაჭრო ომი ჩინეთთან, არსით კი სრულიად მსოფლიოსთან, ფაქტობრივად წამოწყებულია იმიტომ, რომ დაანგრიოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო სივრცის ერთიანობა. ამას საბოლოო ჯამში, პლანეტა მიჰყავს რამდენიმე ჩაკეტილი ეკონომიკური კლასტერის შექმნისკენ, რომლებიც საკმაოდ ჩაკეტილია იმპორტისთვის. იმიტომ, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილ თითოეულ პერანგს, შარვალს, საბავშვო სათამაშოს, მით უმეტეს, კომპიუტერსა თუ სმარტფონს ავტომატურად მიაქვს გარკვეული რაოდენობის სამუშაო ადგილები.**

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ში პროდუქტის ექსპორტით ჩინეთში პირდაპირ იქმნება, სულ ცოტა, **1,6 მლნ** სამუშაო ადგილი, ხოლო ლოჯისტიკისა და დამხმარე ბიზნესპროცესის გათვალისწინებით სამუშაო ადგილის რაოდენობა 8-10-ჯერ მეტია. თუ ერთ ადგილას რაღაც ჭარბად არის, სხვა ადგილებში — ის კვდომას იწვევს.

**ჩინეთის პროდუქციის იმპორტი აშშ-ში ამ უკანასკნელს 15-16 მლნ სამუშაო ადგილს აკარგვინებს.**

სახელმწიფო ვალის პრობლემაც შეიძლება მოგვარდეს. არა, მის დაბრუნებას არავინ აპირებს, მაგრამ ბოლო პერიოდში მკვეთრად დაეცა აშშ-ის საერთო ვალის ზრდის ტემპი და თუმცა ნელა, მაგრამ მაინც, ტრამპი აშშ-ის საგარეო ვალს გამუდმებით გამოისყიდის.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აშკარაა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ჩრდილოეთ ამერიკის საზღვრებში მოქცევის მცდელობის ტენდენცია. კანადასა და მექსიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება NAFTA შეიცვალა ახალი შეთანხმებით. ამ ახალ შეთანხმებაში ჩადებულია პირობა, რომელიც „პარტნიორებს" უზღუდავს სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩინეთთან, თანამშრომლობას.**

ზემოაღნიშნული გეგმების რეალიზაციის შემდეგ, ამერიკული ეკონომიკური კლასტერი თვითკმარი იქნება, თანაც ფინანსების მიხედვით, პლანეტაზე ყველაზე დიდი.

ამ პირობებში **რისთვის სჭირდება ვაშინგტონს გლობალური დოლარის შენარჩუნება? ის ამერიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ, რაც შეიძლება, ცოტა უნდა იყოს. მხოლოდ ასე შეინარჩუნებს დოლარი თავის ზემაღალ ღირებულებას, კლასტერს კი საშუალებას მისცემს, იაფად შემოიტანოს აუცილებელი სანედლეულო რესურსი.**

მოკლედ, გლობალიზმი დასრულდა. მსოფლიო ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მიდის მრავალპოლუსიანი სამყაროს ფორმირებისკენ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# დოლარის მომავალი და ჩვენი პერსპექტივები

**ზუსტად ერთი წლის წინათ, 2017 წლის ოქტომბერში ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ აამუშავა რაოდენობრივი გამკაცრების (QT-quantstati tiqhtening) პროგრამა, რომლის მიხედვით ბრუნვიდან სამ რაუნდად უნდა ამოიღონ ადრე, 2009-2014 წლებში, დაბეჭდილი დოლარები.**

ამ პროცესს ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსის შემცირება დაარქვეს. ყველაფერი დაიწყო შარშან, სულ რაღაც, 10 მლრდ დოლარით თვეში. ამას ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაპყრო. სულ ტყუილუბრალოდ. ამ პროცესს აქვს დაგროვებითი ეფექტი. დიახ, **თავდაპირველად არა, მაგრამ შემდეგ უზარმაზარ გავლენას იქონიებს ყველა აქტივების ღირებულებაზე მსოფლიოში. ამჟამად ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსი უკვე შემცირდა 300 მლრდ დოლარით** (300 მილიარდი დოლარი ნაღდი ფული ბრუნვიდან ამოღებული და განადგურებულია). გაისად ფედერალური სარეზერვო სისტემა ბრუნვიდან კიდევ 600 მლრდ დოლარის ამოღებასა და საბაზისო საპროცენტო განაკვეთის 3%-მდე მომატებას გეგმავს **(დოლარში აღებული კრედიტები გაძვირდება, ამასთანავე, მათი მიღება სულ უფრო გართულდება). ეს უკვე აისახა ე.წ. განვითარებადი ქვეყნების ვალუტებზე, მაგალითად, ქართულ ლარზე. ფედერალური სარეზერვო სისტემის ძალისხმევით, ბრუნვაში დოლარების რაოდენობაც მცირდება, ე.ი. განვითარებული ქვეყნების ვალუტებსაც ორმაგი დარტყმა მიადგება.**

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი გამკაცრების პროგრამას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ბალანსის შემცირების პიკური სიმძლავრისთვის და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. მარტივად რომ ვთქვათ, დოლარებს ნელ-ნელა იღებენ სისტემიდან და ისინი გამუდმებით გაძვირდება, ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენს კონტინენტზე საჭირო აღარ იქნება და ბრუნვიდან გაქრება.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**მომავალ წელს ფედერალური სარეზერვო სისტემა ბრუნვიდან კიდევ 600 მლრდ დოლარის ამოღებასა და საბაზისო საპროცენტო განაკვეთის 3%-მდე მომატებას გეგმავს (დოლარში აღებული კრედიტები გაძვირდება, ამასთანავე, მათი მიღება სულ უფრო გართულდება). ეს უკვე აისახა ე.წ. განვითარებადი ქვეყნების ვალუტაზე, მაგალითად, ქართულ ლარზე. ფედერალური სარეზერვო სისტემის ძალისხმევით, ბრუნვაში დოლარების რაოდენობაც მცირდება. ე.ი., განვითარებული ქვეყნების ვალუტებს ორმაგი დარტყმა მიადგება**

# აშშ-მა სირიის ქალაქი ჰაჯინი აკრძალული თეთრფოსფორიანი ყუმბარებით დაბომბა

**სირიაში გამოიყენეს ჟენევის კონვენციით აკრძალული მასობრივი განადგურების საბრძოლო მასალა — თეთრი ფოსფორი.**



საერთაშორისო კოალიციამ, აშშ-ის მეთაურობით, დეირ-ეზ-ზორის რეგიონის ქალაქი ჰაჯინი დაბომბა, იუწყება სირიული სააგენტო Sana. საერთაშორისო კოალიციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჰაჯინის რამდენიმე რაიონზე. დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა საცხობი ას-სუსა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა საავიაციო შეტევის შედეგად.

ჰაჯინი ადრეც დაბომბეს ფოსფორიანი ყუმბარებით. სირიაში დაპირისპირებული მხარეების შერიგების ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მსგავსი დარტყმა ორმა გამანადგურებელმა F-15-მა 8 სექტემბერს განახორციელა. საერთაშორისო კოალიცია კი ირწმუნება, რომ არ აქვს ფოსფორიანი ბომბები.

ფოსფორი საშიშია იმით, რომ წვის დროს გამოყოფს შხამიან ბოლს, რომელიც წვავს სასუნთქ ორგანოებს, იწვევს ტოქსინებით მოწამვლასა და დახრჩობას, აგრეთვე, ძლიერ დამწვრობას, თუ კანზე მოხვდება.

საერთაშორისო შეთანხმებით აკრძალულია ფოსფორიანი ბომბებისა და ყუმბარების გამოყენება.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართულ წერილობით წყაროებში ჩუხური მეორედ 1721 წელს ქართლის აღწერის დავთარში გვხვდება. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ ტფილისის გეგმაზე დატანილია, როგორც სოფელი, და ისაზღვრება ჩუღურეთის ხევით, სოფელ კუკიათი, მტკვრით, დიდხევითა და სამგორის მინდვრებით.**

# ჩუღურეთი

**ჩუღურეთი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ეს არის ტერიტორია დღევანდელი ბარათაშვილისა და ჩუღურეთის ხიდებს შორის. სიტყვა ჩუღურეთი წარმოდგება თურქული „ჩუღურ“-იდან და ქართულად ფოსოს, ორმოს, ღრმა ფლატეს ნიშნავს.**



ეს უბანი პირველად მოხსენიებულია 1707 წელს გაცემულ წყალობის სიგელში სოფელ ჩუხურის სახელით:

„იქ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, დედოფლით დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ბაქარ თქვენ, ჩვენის კარის მღრდელს ნაობს, შვილსა შენსა პეტრესა, გიორგის და იაკობს, ასრე რომ შვილიან კაცი იყავით და ერთი კაცის სასახლისა და საბრძელ-კალოს ალაგს დაგვეაჯენით, ჩვენცა მოკითხული ვქენით და გალმა **ჩუხურში**, შენისავ სიმამრის ნაქონი ცოტა რამ ბეითალმანი ნაოხარი ალაგი იყოს, რადგან ქალაქში მისი ნაქონი სახლ-კარი შენ გქონდა, არცა ვის ხელი ჰქონდა არცა ვის ეხელყოდა, და თვინიერ შენსა, და რადგან შენის სიმამრის ნაქონი იყო, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და როგორათაც შენს სიმამრს ლუარსაბს ქონებოდეს, რისაც მზღურითა და გზით, იმ გვარად შენთვის და შენთა შვილთათვის გვიბოძებია. ჰქონდეს და გიბედნიეროს ღ-თნ...“

**ქართულ წერილობით წყაროებში ჩუხური მეორედ 1721 წელს ქართლის აღწერის დავთარში გვხვდება. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ ტფილისის გეგმაზე დატანილია, როგორც სოფელი, და ისაზღვრება ჩუღურეთის ხევით, სოფელ კუკიათი, მტკვრით, დიდხევითა და სამგორის მინდვრებით.**

1824 წლიდან ჩუღურეთი ქალაქს შეუერთდა და იგი თბილისის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნად იქცა. მოგვიანებით აქ მდინარე მტკვარზე აშენდა ერთმალიანი რკინის ხიდი — **მუხრანის ხიდი**. მისი პროექტი 1882 წელს დაამუშავა ინჟინერმა უმანსკიმ (ვერის ხიდის ავტორმა). ამის შემდეგ რამდენიმე საპროექტო წინადადება იყო წამოყენებული. ბოლოს შეჩერდნენ ე. პატონის პროექტზე. ერთმალიანი ლითონის ხიდი 1911 წელს ხუთ თვეში ააგეს. მისი მშენებლობისას ააფეთქეს XVII საუკუნის **არაგვის ხიდის** ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჯები. ხიდს „მუხრანის“ სახელწოდება გამოჰყვა (ამ ადგილზე არსებულ მუხრანბატონის სახლის და უბნის გამო). იგი მოშალეს 1965 წელს ახალი ხიდის აშენების შემდეგ, რომელსაც **ბარათაშვილის** სახელი ეწოდა.

**ჩუღურეთის ხიდი** კი მდინარე მტკვარზე 1962 წელს აიგო, ჩაანაცვლა 1848-1853 წლებში აშენებული **მიხეილის დიდი ხიდი.**

ხიდის პროექტის ავტორები არიან: ინჟინერი **გ. ქარცივაძე**, არქიტექტორები: **გ. მელქაძე** და **შ. ყავლაშვილი.** ახალი ხიდის მშენებლობისას გამოიყენეს მიხეილის ხიდის ძველი ბურჯები და შეინარჩუნეს ხუთმალიანი კონსტრუქცია და თაღების მოყვანილობა. საბჭოთა პერიოდში კარლ მარქსის სახელს ატარებდა, შემდეგ თბილისთან დაძმობილებული ქალაქ **ზაარბრიუკენის** სახელი ეწოდა. დღევანდელი სახელი 1994 წლიდან ჰქვია.

დედაქალაქის ამ უძველეს უბანში მატერიალური კულტურული ძეგლებიდან შემორჩენილია: **კვირაცხოვლის ეკლესია (**შუა ფეოდალური ხანის), **წმინდა ნიკოლოზის ეკლესია** (18-19 სს.), **ღვთისმშობლის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია** (19 ს.).

* * *


მუხრანის ხიდი, რომელიც ამჟამინდელი ბარათაშვილის ხიდის ადგილას იყო

**ჩუღურეთის კვირაცხოვლობის, წმინდა მოციქულის თომას ეკლესია** თბილისის ერთ-ერთი ძველი ეკლესიათაგანია. ეკლესიის სიძველეს ადასტურებს მოსე ჯანაშვილი, რომელიც წერს, რომ **„კვირა-ცხოველი წმინდა თომასი უძველესი ტაძარია. დანგრეული ლანგთემურისაგან, განახლებულ იქმნა XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორეს მიერ“.**

კვირაცხოვლის ეკლესია ვახუშტის დატანილი აქვს თბილისის 1735 წლის გეგმაზე. 1800 წლის გეგმაზე კვირაცხოვლის ეკლესია უკვე ნანგრევების სახითაა, 1884 წლის გეგმაზე კი აღნიშნულია „წმინდა გიორგის ეკლესია წითელ გორაზე“.


წმ. ნიკოლოზის ეკლესია

საარქივო ფოტომასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ტაძარს გუმბათი და დასავლეთ მხარეს სამრეკლო ჰქონია. ეკლესიის გარშემო მდებარე შენობებში მონაზვნები და სასულიერო პირები ცხოვრობდნენ. ეკლესიის ქვის გალავნის დიდი ნაწილი ამჟამადაც არის შემორჩენილი.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია სასაფლაოს ეკავა.

XIX საუკუნის II ნახევარში თბილისში შემოსვლას იწყებენ ირანიდან დევნილი ასირიელები. ისინი კვირაცხოვლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ. მათ დაზიანებული კვირაცხოვლობის ეკლესია შეიძინეს და თავისი ხარჯით აღადგინეს.

1898 წლის 17 ივნისის ქართული გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ წერენ: **„გუშინ, კვირას, კვირაცხოვლის წმინდა თომას ეკლესიაში (არსენალის წინ) არაჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ დღეს უნდა მიეღოთ მართლმადიდებლობა ტფილისში მცხოვრებ აისორებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორის (430წ.) სწავლას აღიარებდნენ. თუმცა აისორები ქრისტიანები არიან, მაგრამ მათი სწავლა-მოძღვრება მაინც განირჩევა მართლმადიდებელი სარწმუნოებისაგან. მაგალითად, ისინი მარიამს უწოდებენ ქრისტეს მშობელს და არაღვთისმშობელს; პირჯვარს იწერენ მთელი ხელით და არა სამის თითით და სხვა ამგვარს...“**

დღეისათვის კვირაცხოვლობის ეკლესიას დაკარგული აქვს ძველი სახე. თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აღდგომის სწორს ამ ეკლესიასთან კვირაცხოვლობის დღესასწაული იმართებოდა. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩასაგდებად. მრევლის რწმენით, გამარჯვებულ ჯგუფს მთელი წლის მანძილზე არ მოაკლდებოდა სიუხვე და ბარაქა. ზოგჯერ ბურთს ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდნენ და ინაწილებდნენ, რადგან მისი მაგიური ძალისა სჯეროდათ. კვირაცხოვლის გორას წითელგორას („კრასნაიაგორკას“) უწოდებდნენ, კვირაცხოვლობის დღეს აქ წითელი კვერცხების დაგორების გამო. ეს წესი რუსმა მართლმადიდებლებმა შემოიტანეს თბილისში.

2008 წლის 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) კვირაცხოვლობის ტაძრის ეზოში აკურთხა სამრეკლოს აღდგენა-აშენებისთვის განკუთვნილი ადგილი. სამრეკლოს პირველ სართულზე განათავსებენ მთავარანგელოზთა მცირე საყდარს, სადაც კვირაცხოვლობის ტაძრის აღდგენამდე წირვა-ლოცვა აღესრულება.

**წმინდა ნიკოლოზის ეკლესია** აგებულია 1850-იან წლებში დეკანოზ პეტრე იმნაძის მიერ. XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ტაძრის შენობა გამოყენებული იყო ფირფიტების საწყობად. შემდეგ ეკლესია დაიკავა „ფოლკლორის თეატრმა“. საკონცერტო სცენა მოწყობილი იყო უშუალოდ საკურთხეველში. ამ საშინელი მკრეხელობის გამო ანსამბლის ზოგიერთი წევრი დაისაჯა სხეულის დაზიანებით. ღვთის უსაზღვრო მოწყალებით, მათ სასიკვდილო განსაცდელი არ შეხვდათ. რამდენიმე ადამიანმა ცოდვა მოინანია და წმიდა ზიარება მიიღო. 1991 წელს ტაძარში ღვთისმსახურება განახლდა. ეკლესიის რესტავრირება მოხდა დეკანოზ გრიგოლ გოცირიძის ძალისხმევითა და პირადი დანაზოგით.

ტაძარი წარმოადგენს გუმბათოვან ბაზილიკას გვიანდელი მინაშენებით.

ჩუღურეთში მდებარეობს თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი აღმაშენებლის გამზირი.


აღმაშენებლის გამზირი

„ფრენა უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. მერწმუნეთ, ასეთ რამეს ვერც სიმაღლეზე ხტომაში იგრძნობთ და ვერც სიგრძეზე ხტომაში. ჩემი პირველი მნიშვნელოვანი ნახტომი 14 მეტრსა და 90 სმ-ზე იყო, საუკეთესო კი — 17 მეტრსა და 44 სმ-ზე. ეს შედეგი სოხუმში ვაჩვენე 1972 წელს და მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე, თუმცა ამას წინ უძღოდა 20-წლიანი ჯოჯოხეთური შრომა. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მწვრთნელის უპირველესი ამოცანა, სტადიონზე ჩემი სავარჯიშოდ მიყვანა კი არა, სტადიონიდან, ვარჯიშიდან გაგდება იყო“, — იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში ვიქტორ სანეევი.

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს საუკეთესო სამმხტომელი და XX საუკუნის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი

**მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს 73 წელი შეუსრულდა ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მამაკაც სპორტსმენს, ოლიმპიადებში სამგზის გამარჯვებულ სამმხტომელ ვიქტორ სანეევს.**

2012 წლის ზაფხულში, ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მესვეურებმა ლონდონის მეტროპოლიტენის სადგურებს დროებით შეუცვალეს სახელები და მათ ლეგენდარული სპორტსმენების სახელები დაარქვეს. ეს სპორტსმენები იყვნენ ინგლისელი მორბენალი **სებასტიან კოე**, უნგრელი მოკრივე **ლასლო პაპი,** ჩეხი მორბენალი **ემილ ზატოპეკი,** რუსი ტანმოვარჯიშე **ლარისა ლატინინა**, შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი**, ამერიკელი კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი**, არგენტინელი ფეხბურთელი **ლიონელ მესი** და სხვ. მათ შორის იყო საბჭოთა მძლეოსანი **ვიქტორ სანეევიც**, ამ სახელოვან სპორტსმენთა შორის ვიქტორ სანეევი გამორჩეულია იმით, რომ ერთ-ერთი მძლეოსანია მსოფლიოში, რომელმაც 4 ოლიმპიადაზე სამხტომში 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ვიქტორ სანეევი დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში, ქალაქ არმავირიდან აფხაზეთში გადასახლებული კაზაკის ოჯახში. ბავშვობიდანვე ძალიან მოძრავი იყო დახტოდა, დარბოდა, ცურავდა, ტანი რომ აიყარა, კალათბურთის თამაში დაიწყო, მაგრამ მეგობრის რჩევით, მძლეოსნობაში გადავიდა, მწვრთნელმა **აკოფ კერსელიანმა** თავის ჯგუფში ჩარიცხა და ცოტა ხანში მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში სამხტომში, სიგრძეზე ხტომასა და 100 მეტრზე სირბილში საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია. საბოლოოდ კი სამხტომი აირჩია.

**„ფრენა უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. მერწმუნეთ, ასეთ რამეს ვერც სიმაღლეზე ხტომაში იგრძნობთ და ვერც სიგრძეზე ხტომაში. ჩემი პირველი მნიშვნელოვანი ნახტომი 14 მეტრსა და 90 სმ-ზე იყო, საუკეთესო კი 17 მეტრსა და 44 სმ-ზე. ეს შედეგი სოხუმში ვაჩვენე 1972 წელს და მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე, თუმცა ამას წინ უძღოდა 20-წლიანი ჯოჯოხეთური შრომა. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მწვრთნელის უპირველესი ამოცანა სტადიონზე ჩემი სავარჯიშოდ მიყვანა კი არა, სტადიონიდან, ვარჯიშიდან გაგდება იყო“,** იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში ვიქტორ სანეევი.

ვიქტორ სანეევის სპორტული კარიერის პიკი იყო 1975-1976 წლები, თუმცა ყველაზე კარგი შედეგები 1967-1972 წლებში აჩვენა. ამ ხუთ წელიწადში 110 ტურნირში მონაწილეობდა და მათგან 90-ში გაიმარჯვა. ყველაზე დიდი ბრძოლა კი 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში გადახდა, მხოლოდ ის რად ღირს, რომ იტალიელ **ჯენტილესა** და ბრაზილიელ პრუდენსიოსთან ჭიდილში 5-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი და საბოლოო წერტილი დასვა — **17მ და 39სმ.**

შემდეგ მოიგო მიუნხენისა (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიადები.

მოსკოვის ოლიმპიადაზე კი 1980 წელს უსინდისო მსაჯებმა მეტოქეს, ესტონელ **იააკ უუდმიაეს,** რამდენიმე სანტიმეტრი წაუმატეს და ოლიმპიადის ოქროს მედალი მოაგებინეს, 35 წლის სანეევი კი იძულებული შეიქნა, ვერცხლის მედალს დასჯერებოდა.

**„დიდ სპორტში მხოლოდ ნიჭის ამარა ვერაფერს გახდები, მხოლოდ უმძიმესი ინტენსიური შრომით ყალიბდება კარგი სპორტსმენი. ვარჯიში არ უნდა დაგეზაროს ის ხომ თვითდაჯერებისა და საკუთარი თავის გაწვრთნის საუკეთესო საშუალებაცაა. მაღალ შედეგზე ორიენტირებულმა მძლეოსანმა კი საკუთარი თავისადმი ჭეშმარიტად პროფესიული დამოკიდებულება უნდა გამოიმუშაოს. ყველგან და ყველაფერში ის ასკეტურ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს, ჰქონდეს გაანალიზების უნარი, შეცდომებზე დაფიქრების სურვილი და არ დაკომპლექსდეს მარცხით**“, ამბობს ლეგენდარული სპორტსმენი.

1990-იან წლებში, საქართველოსთვის მძიმე პერიოდში, როცა ქვეყანაში ლუკმაპურის შოვნა გაჭირდა, სამშობლოს დატოვება გადაწყვიტა. **1992 წელს წავიდა ავსტრალიაში ოჯახთან ერთად. მუშაობა დაიწყო სენტ-ჯოზეფის პრესტიჟულ კოლეჯში. ამ სასწავლებელმა ვიქტორ სანეევს ბინა მისცა, ვაჟმაც დაიწყო მუშაობა. სიტუაცია 5 წლის შემდეგ აირია და თითქმის 3 წელიწადს გაგრძელდა მომთაბარე ცხოვრება. ერთ ხანს ძალიან გაუჭირდა... იქამდეც კი მივიდა, რომ გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა: ესა და ეს კაცი ვარ და ჩემს ოლიმპიურ მედლებს ვყიდიო, მაგრამ იქაურებმა ოქროს მედლების ხელში ჩაგდება ჩალის ფასად მოისურვეს — 5 ათას დოლარად, ამიტომ აღარ შეელია თავისი მონაგარს. შემდეგ კი ჯილდოების გაყიდვა ახლობლებმა გადააფიქრებინეს. ამ გაჭირვების ჟამს პიცას ჰყიდდა შეკვეთით... ახლა კი, ასე თუ ისე, ყველაფერი რიგზეა.**



ვიქტორ სანეევი. მეხიკო

## საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, უკვე 26 წელიწადია, ავსტრალიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ ავტრალიის ქალაქ სიდნეიში, ბატონი ვიქტორის ოჯახში, დღესაც შეგიძლიათ ნახოთ პატარა საქართველო: მის სახლში მისაღები ოთახის კედლებს საქართველოს ფოტოები ამშვენებს, თაროებზე კი უამრავი ქართული სუვენირია





დღეს



საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, უკვე 26 წელიწადია, ავსტრალიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ ავტრალიის ქალაქ სიდნეიში, ბატონი ვიქტორის ოჯახში, დღესაც შეგიძლიათ ნახოთ პატარა საქართველო: მის სახლში მისაღები ოთახის კედლებს საქართველოს ფოტოები ამშვენებს, თაროებზე კი უამრავი ქართული სუვენირია.

„სანეევების ოჯახში ყოველთვის სიხარულით გხვდებიან. სადღესასწაულოდ აქ დიდი სუფრა იშლება და მაგიდასთან ჩემი კუთვნილი ადგილიც მაქვს. სუფრას ყოველთვის ამშვენებს საგანგებოდ გადანახული ერთი ბოთლი ქართული ღვინო. ვსაუბრობთ საქართველოზე და ყველა სადღეგრძელო საქართველოსა და ქართველ ხალხს ეძღვნება... კარი ამჯერადაც ბატონმა ვიქტორმა გამიღო, წინსაფრითა და ფქვილით დასვრილი ხელებით შემეგება, შენთვის მეგრულ ხაჭაპურს ვაცხობო, მითხრა და სამზარეულოსკენ გაეშურა... მისაღებ ოთახში გაშლილი სუფრა დამხვდა, ვიქტორის ვაჟმა — **სანდრომ** ჭიქები ქართული ღვინით შეავსო და ამასობაში ხაჭაპურიც გამოცხვა.

მიყვარს ქართული წესით სტუმრების გამასპინძლება, თავისუფალ დროს კი ჩემს ბაღში ვფუსფუსებ, თუ საქმე გიყვარს მუშაობით არ იღლები. ყოველდღე ჩემს მეგობრებს ვესაუბრები და ვეფერები. ჩემს ბაღს რომ ვუყურებ, სიცოცხლე მიხარია. მითხრა ვიქტორ სანეევმა“, წერს გაზეთ „საქართელოს დემოგრაფიაში“ (№1, 2015 წ.) ავსტრალიის კიდევ ერთი ქართველი მოქალაქე, კინომსახიობი და მოდელი თათული ბართაია, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა ლეგენდარულ სპორტსმენს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ცნობისთვის:** მძლეოსანი, ლეგენდარული სამმხტომელი ვიქტორ სანეევი დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. პირველი ჯილდო 1963 წელს მოიგო, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში გადმოვიდა და „დინამოს“ სახელით მონაწილეობდა შეჯიბრებებში. 1968 წელს პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამხტომში (სულ რვაჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის პირველობა 1968-71, 1973-75 და 1978 წლებში). არის მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971). საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამარჯვებამ მას მექსიკის 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე წასვლის საშუალება მისცა, სადაც პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო. აქ, 1968 წლის 17 ოქტომბერს, სანეევმა ორჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, გადახტა რა ჯერ 17.23, ხოლო შემდეგ 17.39 მეტრზე. ოთხი წლის შემდეგ, კვლავ 17 ოქტომბერს, სანეევმა კიდევ ერთხელ გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი, გადახტა რა 17.44 მეტრზე. მექსიკის ზაფხულის ოლიმპიადის გარდა, სანეევმა ოქროს მედალი მიუნხენისა (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიადებზეც მოიგო, ეს უნიკალური მიღწევაა — ვიქტორ სანეევი ერთადერთი მძლეოსანია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ შეძლო სამხტომში ოლიმპიური ოქროს მოგება. ძალიან ახლოს იყო ოქროს მედლის მოგებასთან 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზეც, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებისა და და ოლიმპიური ოქროს მედლების გარდა, სანეევს მოგებული აქვს ათენისა (1969) და რომის (1974) ევროპის ჩემპიონატები. არის საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ღირსების ორდენის, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.

# ევროლაქუცი უნდა დასრულდეს!

**ბათუმში მორიგი გაუგებრობა მოხდა — გაიხსნა, „ევროკავშირის დღეები“, ხალხისთვის სრულიად გაუგებარი, სამაგიეროდ, ევრობიუროკრატიას დაქვემდებარებული ქართველი მაღალჩინოსნების კლასისთვის ფრიად სასიხარულო მოვლენა. ამ გზით ხალხმა უნდა დააფასოს მასზე ევრობიუროკრატიის „ზრუნვა“, მაგრამ რა ვუყოთ რეალობას, რომელიც ფრიად არასახარბიელოა, ვიდრე ამას მსგავს საჩვენებელ, სიყალბით გაჯერებულ და არაგულწრფელ ღონისძიებებზე წარმოაჩენენ? ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ევროკავშირთან ურთიერთობები, როგორც ასეთი, უსარგებლოა და საქართველომ თავისი ინტერესები არ უნდა დაიცვას ამ უზარმაზარ სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში. პირიქით, ჩვენ სწორედ საქართველოს ინტერესების გათვალისწინებისკენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას.**

შელამაზებული სტატისტიკის უსაგნო განხილვას სჯობს, რეალობა განვიხილოთ და ის ფაქტორები წარმოვაჩინოთ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებმა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს.

ევროკავშირის ბაზარი საქართველოს მიერ ისევ აუთვისებელი რჩება და, როგორც ჩანს, კვლავაც დარჩება, როგორც რამდენიმე წლის წინათ, „ასოცირების ხელშეკრულების“ დადებამდე. 2018 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, **ევროკავშირის ქვეყნებზე (სულ 28 ქვეყანა) საქართველოდან ექსპორტირებული მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 21 პროცენტი მოდის, ხოლო დსთ-ის ქვეყნებში (სულ მხოლოდ 11ქვეყანა), რომლის წევრობაზეც საქართველოს დანაშაულებრივმა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ცხრა წლის წინათ უარი თქვა, გადის ქართული ექსპორტის თითქმის 48 პროცენტი.**




საქართველომ ვერ მიაღწია ვერც ევროკავშირთან და ვერც ევროკავშირის ცალკეულ სახელმწიფოებთან საქართველოს მოქალაქეებისთვის კვოტების შემოღებას ლეგალური დასაქმების თაობაზე. დასავლელი პარტნიორებისვე აღიარებით, საქართველოს, თავისი შესაძლებლობების ფონზე, უდიდესი წვლილი შეაქვს ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, ასევე დიდი პროგრესი გვქონია დემოკრატიზაციის გზაზე და მყარად მივიწევთ ნათელი მომავლისკენ, მაგრამ ევროპელი მაღალჩინოსნები შეღავათს არ გვაძლევენ. მოგვაჩეჩეს „ასოცირების ხელშეკრულება“, რომელიც უფრო ევროპელი ექსპორტიორების უფლებებს იცავს; ასევე, ქართველი ტურისტებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება, რომელიც მუშაობისა და კომერციული საქმიანობის უფლებას არ ანიჭებს ჩვენს თანამემამულეებს. შედეგად მივიღეთ ის, რომ უამრავი შრომას მოწყურებული, პატიოსანი ჩვენი მოქალაქე არალეგალურად იმყოფება ევროკავშირის ქვეყნებში. ეს ადამიანები გროშებს აგროვებენ და მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობენ, რათა ხელი არ სტაცონ და საქართველოში არ გამოაძევონ, რის უამრავი შემთხვევაც უკვე არსებობს. **ტურისტების ნაცვლად კი ევროპას გასტროლიორი ქართველი მპარავები შეესივნენ, რომლებიც ბოშებზე უფრო დიდი ოსტატობით ახერხებენ იქაური მოქალაქეებისა და მაღაზიების ძარცვას, რითაც სახელი შეუბღალეს ქართველობას ბევრი ევროპელის თვალში... აი მხოლოდ ეს მოგვცა „უვიზო რეჟიმმა“.**

„224 ათასი ტონა გადამუშავებული ყურძენი და 300 მლნ ლარამდე მიღებული შემოსავალი — მხოლოდ კახეთის რეგიონში, რაჭაში კი — 1500 ტონა და შემოსავლის სახით მიღებული — 10 მილიონი. ციფრები რეკორდულია“, — გვამცნობს მაჟორიტარი დეპუტატი **ბელა სამხარაული**, ოღონდ „მორცხვად“ არ ახსენებს რუსეთის ბაზრის წილს ამ რეკორდულ ციფრებში. მისი შეფასებით, ციფრების დაუსახელებლად, ექსპორტი თურმე გაიზარდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის მიმართულებით. დეპუტატი ამბობს, რომ ეს მიმართულებები ჩვენი ღვინის ექსპორტისთვის „სტრატეგიულია“... აი ასეთი პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ და რატომ გვიკვირს, რომ 21-ე საუკუნეში მერამდენე წელია, ესენი ფაროსანას ვერ უხერხებენ ვერაფერს და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს... **ქართველი კაცი თუ ქალი, დიდი და პატარა, თურქეთში გარბის საშინელ პირობებში, უაღრესად დაბალ ანაზღაურებაზე სამუშაოდ, რათა თურქებს მოუკრიფოს ჩაი, ამ დროს კი საბჭოთა დროს გაშენებული ქართული ჩაის პლანტაციები გავერანდა... ჩვენი სალახანა პოლიტიკანები რუსეთის ლანძღვით არიან დაკავებულნი, მაგრამ რომ არა ეს „ოკუპანტი“ რუსეთი, რა ციფრებით მოახერხებდით მანიპულირებას ან რამდენ ხანს გაასაღებდით თურქული ტრაილერების მძღოლებს ტურისტებად, პატივცემულო ხელისუფალნო?..**

ახლა 2008 წლის ომის „გმირი“, რუსულ ტანკებთან ჩანგლებითა და დანებით „მეომარი“ **დავით ბაქრაძე** გვპირდება, რომ ევროკავშირთან გააფორმებს ხელშეკრულებას ქართველებისათვის სამუშაო კვოტების შემოღებაზე. ბაქრაძეს, საერთოდ, რა უნდა ელაპარაკო?! და არც ღირს მასზე ლაპარაკი, უბრალოდ, ფაქტად აღვნიშნეთ. რეალურად **არავინ არის ქართველებისთვის შრომითი კვოტების შემომღები ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა პოლონეთსა და ესტონეთს, რომლებმაც საპილოტე პროექტის სახით ნება დართეს საქართველოს მოქალაქეების მცირე ნაწილს და დასავლეთ ევროპაში თავიანთი მოქალაქეების მიგრირების შედეგად გამოთავისუფლებული არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები დაუთმეს, მაგრამ ეს ექსპერიმენტი ამინდს ვერ ქმნის, ხოლო მდიდარი ევროპული ქვეყნები, როგორც, მაგალითად, გერმანიაა, კატეგორიულად ამბობენ უარს თუნდაც შეზღუდული რაოდენობის ქართველი მოქალაქეების დასაქმებაზე.** გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა **ანგელა მერკელმა** თბილისში ვიზიტისას განაცხადა, რომ გერმანია, შესაძლოა, შემოიღებს გარკვეულ სამუშაო კვოტებს საქართველოსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის, მაგრამ დააკვირდით ციტატას: **„ჩვენ ამჟამად ვამუშავებთ დარგის სპეციალისტების კანონპროექტს, არა ზოგადად, მაგრამ ცალკეული პროფესიებისთვის, სადაც არის დიდი დეფიციტი გერმანულ ბაზარზე“.**

გარწმუნებთ, რომ გერმანულ ბაზარზე არ არის დიდი დეფიციტი მომვლელი ქალების, „მალიარი“ და „ჟეშტიანშიკი“ კაცების, ოფიციანტების, მზარეულების, შავი მუშებისა და ყველა იმ კატეგორიისა, რომლის შეთავაზებაც ევროპული ენების არმცოდნე ქართულ მოსახლეობას შეუძლია. გამოდის, რომ ქალბატონმა მერკელმა უნებურად დაგვცინა, — **გახდით ყველანი კომპიუტერული გენიოსები, ასეთი ხალხი გვჭირდება და ჩამოდითო... აი ეს გვითხრა მან ირიბად, კანცლერმა, რომელმაც გერმანიას ეთნოციდი მოუწყო და ერთბაშად მილიონ არაბს გაუხსნა გერმანიის კარი, რომლებსაც გერმანული სახელმწიფო მსუყე სოციალურ დახმარებას უხდის, ქართველებისთვის კი მეეზოვის „თანამდებობა“ ენანება...** გერმანელები დღესაც შოკში არიან და, ალბათ, მალე მოიცილებენ ქალბატონ კანცლერს, მაგრამ ეს ჩვენს ვითარებას უკეთესობისკენ არანაირად არ შეცვლის.

შესაბამისად, დროა, საქმიანი და რეალისტური დამოკიდებულება გვქონდეს ევროკავშირის მიმართ და ჩვენს ინტერესებზე გავაკეთოთ აქცენტი, ევრობიუროკრატების წინაშე ლაქუცითა და კუდის ქიცინით არაფერი გამოვა. დადებითად შეიძლება შეფასდეს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრ **მიხეილ ჯანელიძის** შარშანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველო არ აპირებს, წამოსწიოს ევროპულ საბაჟო კავშირში საქართველოს გაწევრების საკითხი. იმედია, ეს შემთხვევითი განცხადება არ ყოფილა და ამჟამინდელი მთავრობაც უფრო სიღრმისეულად მიუდგება ევროკავშირთან ურთიერთობებს.

**გულბაათ რცხილაძე**

# ამბობენ, დიონისესაც გაუკვირვებიათ

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატის დავით სონღულაშვილის ინიციატივითა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გასული კვირის შაბათს, ანუ 13 ოქტომბერს, ახტალის პარკში გაიმართა „ღვინის ფესტივალი-2018“-ის დასკვნითი ღონისძიება.**



„შენ თუ ამას დალევ...“

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქვევრში დაყენებული ღვინის 50-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის, ფერისა და ასაკის ნიმუში, ჭაჭა და სხვა სასმელი, რომლებიც დამზადებული იყო ასამდე ღვინის საწარმოში და ინდივიდუალური მეურნეების მიერ. გამოვლინდა საუკეთესო ღვინოები, გამარჯვებული მეღვინეები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. ხოლო ქალაქელებს, კარგად რომ გაეგოთ, ღვინის დაყენება ლუდის სმას რომ არ ჰგავს („დაასხი — დალიე!“), ანუ ფუჟერებით მოქეიფენი ყურძნის დაწურვაზე მიიწვიეს: გაისარჯე, დალიე და შეგერგებაო. კახელი მეღვინეების ნაამაგარს ქვეყნის სხვა რაიონებიდან ჩამოტანილი პროდუქციაც დაემატა.

სტუმრებს წარუდგინეს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაშლა-გაფართოების, ველისციხის რეაბილიტაციის, ახალი ტურისტული ქალაქი-ცენტრის მშენებლობისა და ღვინის მწარმოებელი ახალი ობიექტების პროექტების გამოფენა, გააცნეს ხალხური რეწვის, ეთნოგრაფიული პავილიონები ფრიად მრავალფეროვანი ექსპოზიციებით.

მოილხინა სტუმარ-მასპინძელმა: იყო ცეკვა-თამაში, სახალისო სპორტული შეჯიბრებები, გუგუნებდა კახური „მრავალჟამიერი“ და „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავო“.

ძმობა იყო და მეგობრობა, რომელსაც უწინ „ინტერნაციონალს“ ეტყოდნენ: გურჯაანს სტუმრობდნენ 7 ქვეყნის ელჩები — პერსონალურად — და მათი საელჩოების წარმომადგენლები, დელეგაციები საფრანგეთიდან, ბელარუსიდან, ესპანეთიდან, ლიეტუვადან, უკრაინიდან.



ნაღდი ჩურჩხელა კეთდება აქ

არ ვიცი, მართალია, თუ არა, მაგრამ, როგორც „თვითმხილველებმა“ თქვეს, სადღაც, ვენახის რიგებს შორის, თვალი მოუკრავთ „უდარდელად“ წოდებული დიონისესთვის, ფესტივალის მასშტაბითა და მრავალფეროვნებით მოხიბლულ და ცოტა შეზარხოშებულ ღმერთკაცისთვის. რომელსაც მოყირჭებოდა ყოველწლიური ანტიკური ბაქანალიები და კახეთში შემოპარულა, ფესტივალზე.

„ხომ არ იფარება შუამდინარეთის ფერფლში ღვინის კლასიკური ქვეყნების — საბერძნეთისა და საქართველოს უძველესი კულტურის საიდუმლო?“ **(აკაკი გელოვანი).**

„ღვინის ფესტივალი 2018-ის“ გენერალური სპონსორია სს „$M^2$ უძრავი ქონება“, მხარდამჭერები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, ტარდება საქართველოს პარლამენტის დეპუტატის დავით სონღულაშვილის პატრონაჟით.

დიდი სახალხო დღესასწაული იყო გურჯაანში და იყო ისეთი განწყობილება, როცა გინდა დაიჯერო:

**„წუთისოფელი ასეა,**
**დღეს ღამე უთენებია,**
**რაც მტრობას დაუნგრევია,**
**სიყვარულს უშენებია“.**

**არმაზ სანებლიძე**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894